უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი და კანონმდებლობა

№1 იანვარი-ივნისი 2020

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

№1 January-June 2020

Business & Law

ISSN 1987 - 6041
9 771987 604000

ბიზნესი და კანონმდებლობა

იანვარი-ივნისი 2020

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო ძიებო ბაზაში Google scholar

რეფერირებადია 2008 წლიდან

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 2.

ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27

www.b-k.ge;

E-mail: info@iverioni.com.ge,

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG0000000850902700;

ს/კ 404956455.

გამომცემლები:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია,

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "ივერიონი"

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქუა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალალონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღავთაძე, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტკარაძე, დემნა კვარაცხელია, ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე, ზურაბ ლიპარტია, კახა კვაშილავა, რამინ ცინარიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ავთანდილ სილაგაძე.
სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ გახოკიძე.
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავხელიძე.

როგერტ ვ. მაკგი (აშშ ფაეტეევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი ვ. დნესი (ნორტცენტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიგლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი, ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსეი რუფი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია გრიგოროი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფედერიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარვერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

Business & Law

January -June 2020



INTERNATIONAL
SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the Google schoral international search system

Referenced since 2018

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Kostava str. 6.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge
E-mail: info@iverioni.com.ge,
gfaafm@gmail.com

BANK DETAILS:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455

PUBLISHERS:
The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia;
Information – analytical agency „Iverioni"

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:
ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF
IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE
ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:
LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:
Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavtadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze, Zurab Lipartia, Kakha kvashilava, Ramin Tsinaridze.

Academic of the Georgian Academy of Sciences
AVTANDIL SILAGADZE
Doctor of Law and Politics Sciences
JEMAL GAKHOKIDZE
Doctor of Pedagogical Sciences
MAMUKA TAVKHELIDZE
Fayeteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)
Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,
The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES
Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)
Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)
Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department, Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

ნოდარ ჭითანავა
გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში...
გარღვევის სტრატეგიის კონცეპტუალური წახნაგები ---------- 6

შენარჩუნებული სტატუს ქვო და ღიად დარჩენილი გამოწვევები

მიხეილ ჯიბუტი
გიორგი გახარია მემკვიდრეობით მიღებული კანონდარღვევით წავა? ----------28

იური პაპასქუა
აქცენტები პოსტპანდემიური პერიოდისთვის... ----------44

ოთარ ფარესიშვილი,ლაურა კვარაცხელია, ვალენტინა მირზაევი,
სამედიცინო (სარეაბილიტაციო) ტურიზმის განვითარების პერსპექტივები
საქართველოში პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში----------53

ბადრი გიორგიძე
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის
პროგრამის ფარგლებში გაწეული დაფინანსების სტატისტიკური
მაჩვენებლების დინამიკა და ანალიზი ----------68

ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა მაღლაკელიძე, დიანა უგლავა
ბალანსის ინფორმაციის ანალიზისა და აუდიტის
ზოგიერთი აქტუალური საკითხი ----------72

ნათია კურდღელია
გლობალური გამოწვევების გავლენები მცირე და საშუალო
საწარმოთა განვითარებაზე ----------77

ჟურნალში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების წესი----------82

CONTENTS

NODAR CHITANAVA,
Global Challenges in a Unipolar World ...
Conceptual Implications of Breakthrough Strategy ---------- 6

MAINTAINED STATUS QUO AND OPEN CHALLENGES

Mikheil Jibuti
Will Giorgi Gakharia go with the inheritance violation? ---------- 28

Iuri Papaskua
Accents for the post-pandemic period ... ---------- 44

OTAR PARESISHVILI, LAURA KVARATSKHELIA, VALENTINA MIRZAEVI,
Prospects for the development of medical (rehabilitation)
tourism in Georgia in pandemic and postpandemic period ---------- 53

BADRI GIORGIDZE
Dynamics and Analysis of the Statistical Measures of the Funding for the
Treatment and Rehabilitation of Children with Autism Spectrum Disorder ---------- 68

NATELA VASHAKIDZE, DEZDEMONA MAGHLAKELIDZE, DIANA UGLAVA
Some Topical Issues in Accounting Information Analysis and Auditing ---------- 72

NATIA KURDGELIA
Impacts of Global Challenges on SME Development ---------- 77

RULES FOR PUBLISHING SCIENTIFIC ARTICLES IN A JOURNAL ---------- 82

გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში... გარღვევის სტრატეგიის კონცეპტუალური წახნაგები

ინტერვიუ ნოდარ ჭითანავასთან

ნოდარ ჭითანავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ანოტაცია

ინტერვიუს სახით წარმოდგენილ ამ ნაშრომში გადმოცემულია ცნობილი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის **ნოდარ ჭითანავას** შეფასებები კორონა ვირუსით შექმნილ გლობალურ გამოწვევებსა და კრიზისულ მოვლენებზე, რომლის მძიმე ეკონომიკური, სოციალური თუ მსოფმხედველობრივი შედეგები უახლოესი წარსულიდან იღებს სათავეს და ხანგრძლივ ვადიან პერსპექტივაზეც წარუშლელად უთუოდ აისახება.

ინტერვიუს უძღვება **იური პაპასქუა, -** სწავლული ეკონომისტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მეცნიერები პირველნი გამოეხმაურნენ მასშტაბურობით, საუკუნის დასაწყისის ამ უდიდეს დამანგრეველ მოვლენას და მსჯელობენ განსახორციელებელ პრევენციულ, ანტიკრიზისულ და პოსტპანდემიური პერიოდის ღონისძიებებზე.

ინტერვიუს შეკვეცილი ვერსიები პერიოდულად (ოთხ ნაწილად) გამოქვეყნდა **„საერთო გაზეთში“,** საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო **„ივერიონსა“** და საინფორმაციო სააგენტო **„ეკონიუსში“.** მათ მკითხველი - სპეციალისტები, მეცნიერები, საზოგადოების ფართო წრე, აქტიურად გამოეხმაურა.

ჟურნალი აქვეყნებს ამ ნაშრომის სრულ ვერსიას და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ცნობილი მეცნიერის უაღესად საინტერესო, საყურადღებო მოსაზრებებსა და უნიკალურ გამოცდილებას.

საკვანძო სიტყვები: გლობალური გამოწვევები; ანტიკრიზისული ღონისეძიებების გეგმა, გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური მოდელი; მიწის რესურსები; ინდიკატური დაგეგმვა, პროგრამული მიდგომა.

GLOBAL CHALLENGES IN A UNIPOLAR WORLD ... CONCEPTUAL IMPLICATIONS OF BREAKTHROUGH STRATEGY

INTERVIEW WITH NODAR CHITANAVA

ANNOTATION

This interview paper presents the assessments of Mr. Nodar Chitanava, a renowned Georgian expert, public figure, and former Chairman of the Council of Ministers of Georgia, on the global challenges and crises posed by the corona virus.

The interview is led by Yuri Papaskua - a learned economist, professor at Sokhumi State University.

Scientists were the first to respond to this greatest devastating event, in terms of its scale, of the turn of the century, and are discussing preventive, anti-crisis, and post-pandemic measures to be taken.

The abridged versions of the interview were published periodically (in four parts) in the local newspaper “saertogazeti”, news analytical agency “Iverioni”, and the news agency “Economius”. Their readers - specialists, scientists, a wide circle of society, actively responded.

The journal publishes the full version of this paper and those interested have the opportunity to learn about the highly interesting, thought-provoking opinions and unique experiences of the famous expert.

Keywords: Global Challenges; Anti-Crisis Action Plan, Breakthrough Strategy - Mobilization Model; Land resources; Indicative planning, software approach.

შესავალი

სამყაროს წარმოშობა და განვითარება კანონზომიერებას ემორჩილება. **უმაღლესი გონი და გენი** წარმართავს სიცოცხლის ჯერ კიდევ ამოუხსნელ, აურაცხელი გამოვლინებებისა და უსასრულობაში გატყორცნილი მატერიის უკიდეგანო ერთიანობას. მოლეკულები, ბაქტერიები, პარაზიტები, ვირუსები ამ **„მორჩილების წესრიგის“** შემადგენელია და ევოლუციურ პროცესებში მათ განსაკუთრებული დანიშნულება აქვთ. ვირუსული თუ სხვა სახის ეპიდემიები ისტორიას უთვალავი ახსოვს. უხსოვარი დროიდან ყვავილი, კეთრი, შავი ჭირი, მალარია, ქოლერა მძვინვარებდა ოთხივ კონტინენტზე. შედეგებიც განსხვავებული და საკვალალო იყო, თუმცა ყველა შემთხვევაში, განსაცდელის გარდასვლის შემდეგ (თუნდაც მცირე ხნით), ახალი წესრიგი და მოსალოდნელი სხვა საფრთხეების განრიდების, აღორძინების სამზადისი ისადგურებდა.

გასული წლის დეკემბრის მიწურულს ჩინეთის ქალაქ უჰანში უცნობი წარმოშობის პნევმონიის ეპიდემიის აფეთქებამ მსოფლიო შეაზანზარა. უძლიერესი ქვეყნების საზღვრების საიმედოდ დაცული ჯებირებიც კი უძლურნი აღმოჩნდნენ შეეკავებინათ ფეხაკრეფით მოლასლასე კარსმომდგარი უჩინარი ურჩხული. მისი გაღვიძების ვერსიების სიმრავლის, ხელოვნურობაზე ჭორის, ქილიკის მიუხედავად, ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების არეალი და მასშტბები უპრეცენდენტოა. მან ძლიერი, სუსტი, ცნობილი თუ უჩინარი ყველა დააფრთხო და სოციალური ურთიერთობების ფართო სპექტრი - ფსიქოლოგიური, რელიგიური, ფილოსოფიური მიმართულებებიც მოიცვა. უკვე სახეზეა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიის პოლიტიკური და ეკონომიკური გამოვლინებები. მალე კრიზისებიც მოსახლეობის სახლის კარებს უბოდიშოდ მოუკაკუნებს.

კორონავირუსს აღმოსავლურმა ფაროსანამ დაასწრო - ტყეებს, ნათესებს, ბაღჩეულს და ხეხილს შეესია. აზვირთებულ ვირუსს „ეგვიპტის მერვე სასჯელად“ შერაცხული კალიების „ჯარიც“ აედევნა, აფრიკას გასცდა, ახლა უკვე არაბეთის კუნძულს, ირანსა და თურქეთს მედგრად უტევს.

გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმდინარე პროცესების შედეგად, მსოფლიოს ქვეყნები ისეა გადაჯაჭვული, რომ ვირუსული ინფიცირებით, კლიმატური კატაკლიზმებით, პოლიტიკური ბაცილებით თუ ეკონომიკური მოტივებით წარმოქმნილი საფრთხეების (რისკების) აზვირთება პოლუსიდან პოლუსამდე მალე ვრცელდება.

უკვე ჩამოყალიბებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ **პანდემიასთან გამკლავება, ისევე, როგორც მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია, შეუძლებელია ერთი სახელმწიფოს ფარგლებში.** მასში ყველა უნდა მონაწილეობდეს და იცავდეს საერთო წესრიგს. განსაკუთრებით **გამოიკვეთა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და თვითდინებაზე მიშვებული ბაზრის მარეგულირებელ მექანიზმში მართვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩართვის აუცილებლობა.** რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქედანვე უნდა დაიწყოს გარდასული და მიმდინარე მოვლენების პირუთვნელი შეფასება, პოსტპანდემიური პროცესებისა და შეჩერებული ეკონომიკის გამოცოცხლების მექანიზმებზე პროფესიული ზრუნვა. ამ პროცესში ყველამ, განსაკუთრებით კვალიფიციურმა აზრმა, წვლილი უნდა შეიტანოს.

ერის უბედურება იწყება იქ, სადაც ნიჭის, ჭკუისა და ცოდნის მქონე მამულიშვილებს უნდობლობას უცხადებენ!

იური პაპასქუა: ბატონო ნოდარ, თქვენმა მრავალმხრივმა გამოცდილებამ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეოსტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბების მიმართ აქტიურმა პოზიციამ განსაზღვრა გვეთხოვა პირველს გამოგეთქვათ მოსაზრება ამ გლობალური გამოწვევის შედეგებსა და პრევენციის უმთავრეს ღონისძიებებზე.

ორიოდე წლის წინათ გამოცემულ თქვენს მონოგრაფიაში: **„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“**, განსაკუთრებით საყურადღებო სხვა მიზანდასახულობებთან ერთად, გამოყოფთ გლობალურ გამოწვევებთან თავსებადობის იმუნიტეტის გამომუშავებისა და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებლობას. დღეს სწორედ გამოცდილებაზე დაფუძნებულ ამ განჭვრეტის გარდაუვალობის წინაშე აღმოვჩნდით. კორონა ვირუსმა გადასაჭრელი ბევრი პრობლემა და გასათვალისწინებელი გარემოება გამოკვეთა. **რა მივიღეთ, სად ვართ, რა ვაკეთოთ?** კითხვები ბევრია, თუმცა ერთ შეხვედრაზე ყველაფერს ვერ შევეხებით.

ნოდარ ჭითანავა: რთული ვითარებაა, მაგრამ არა უსაშველო. კაცობრიობას არაერთხელ ქონდა განსაცდელი. მსოფლიო ახლა ადამიანის ჯანმრთელობას დამუქრებულ ვირუსს ებრძვის. იყო დრო, როცა ადამიანის სიცოცხლის მოსპობისთვის მძვინვარებდა ომები. **ესეც ომია, თავისებური და განსხვავებული ორიენტირებით.** პირველი, რაც უნდა ვთქვათ, მეტი წინგახედულობა და პანიკის განრიდებაა საჭირო. ეს განსაცდელი აუცილებლად ჩაივლის...

ჯერ კიდევ ადრეა სრულფასოვნად შეფასდეს მძვინვარე ვირუსის შედეგები, მაგრამ საკმარისი დროა გასული იმისთვის, რომ შევნიშნოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესები. ჩემი დაკვირვება ამჯერად სულ 10 თეზაში ეტევა:

1. კორონავირუსმა მსოფლიო მართლაც შოკში ჩააგდო - დაიზაფრა ცნობიერება; არამხოლოდ მოქალაქეები, სახელმწიფოებიც, ალიანსებიც, სამხედრო ბლოკებიც, ყოვლისშემძლედ აღიარებული საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური „მაშველი რგოლებიც“ დაიბნენ; მყისიერად შექმნილმა სიტუაციამ მათი უმწეობაც ამხილა; **„რაც მსურს, იმას ვაკეთებ“** და პასუხისმგებლობისგან დაცლილი ყალბად აღქმული გამოხატვის თავისუფლებაც გაშიშვლდა; მოქალაქე დაუცველი აღმოჩნდა. საზოგადოდ დამკვიდრებული ეს მოვლენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემაცაა. მისი გაცნობიერება საფუძვლიან ანალიზს და ნაციონალური სახელმწიფოს ამჟამად აღიარებული საერთო მოდელის კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს;

2. გლობალური აზროვნება, ლოკალური მოქმედება, სოციალური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრინციპების ერთიანობა, ვირტუალური სლოგანი არ არის - ეს კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ჩამოყალიბებული რეალობაა. ნებისმიერი სახელმწიფო ამ მოცემულობაში საკუთარ რესურსებსა და გარედან მხარდაჭერას ეფექტურად უნდა იყენებდეს. დღეს პოლიტიკურ სიმწიფეზე გამოცდას აბარებს ნაციონალური სახელმწიფო, ეფექტიანობაზე - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო თვითშეგნებაზე - საზოგადოება;

3. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ გლობალური ეპიდემიების და ბუნებრივი კატაკლიზმების რთულ პროცესებს პროგნოზირების უახლოეს მეთოდებსა და თანამედროვე ორგანიზაციულ, ტექნოლოგიურ საშუალებებზე დაფუძნებული, გადაწყვეტილებების მყისიერად მიღების უნარიანი ცენტრალიზირებული მართვა სჭირდება. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაერო, ნატო და ევროკავშირი კორონასთან ბრძოლაში მოუმზადებელი და გლობალური პრობლემების გადაწყვეტის მიმართ უსუსური აღმოჩნდა. ნაციონალურ სახელმწიფოებს კი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), პანდემიამ უმართავი ვითარება შეუქმნა.

4. თავი იჩინა მსოფლიოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ნეგატიურმა შედეგებმა. განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებიც პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს ფაზად მიიჩნევენ და გლობალური პროცესების მართვაც თავის თავზე აიღეს, ისტორიული ამოცანის შესრულება ვერ შეძლეს. უფრო მეტიც. თავის დროზე საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სტრუქტურების მიერ შეთავაზებულმა პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდაქმნების დოქტრინამ („ვაშინგტონის კონსენსუსი“) - „შოკურმა თერაპიამ“ (რომელიც ახალი გამოწვევების ადეკვატური სულაც არ იყო), ისედაც სუსტი ეროვნული ეკონომიკის მატერიალურ-ორგანიზაციული საფუძველი პირწმინდად მოშალა და კრიზისების მართვაში სახელმწიფოს - სისტემამაშემქმნელი ფაქტორის როლის იგნორირება გამოიწვია. მათი ამბიცია, რომ მხოლოდ დასავლეთის მოდელია ერთადერთი და ამიტომ ყველგან უნდა დამკვიდრდეს, წინააღმდეგობაში მოვიდა გლობალურ პროცესებთან ნაციონალური სახელწიფოების ადაპტირების უმთავრეს პრინციპთან - **მრავალფეროვნებასთან**. დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ერთპოლუსიან მართვასთან არის დაკავშირებული მსოფლიოში მიმდინარე ლოკალური ომები, სხვადასხვა ფერის ე.წ. რევოლუციები, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები და სახეშეცვლილი („უხილავი“) დიქტატურის ფორმებიც (სხვადასხვა ყაიდის ტერორისტული ორგანიზაციები და ა.შ.).

კორონავირუსის მძვინვარება სასტიკი გაფრთხილებაა მათთვის, ვინც ერთ თარგზე გამოჭრილ პლანეტარული მსოფლხედველობით განსაზღვრულ ცხოვრების მოდელს (წესს) სთავაზობს ერთმანეთისაგან ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური თავისებურებებით განსხვავებულ ქვეყნებს;

5. კორონასთან ბრძოლის ყველაზე საიმედო საშუალებად მსოფლიომ აღიარა ოჯახი (სლოგანი „დარჩი სა-

ხლში“). უკანასკნელი წლების კატაკლიზმებგამოვლილი ქართული ოჯახი, რომელიც პოლიტიზების წნეხის ქვეშ აღმოჩნდა (ოჯახის წევრების მსოფლმხედველობითი პოზიციები ხშირად დაპირისპირების საბაბიც ხდება), თავის ისტორიულ როლს თითქოს უბრუნდება. სიკვდილის შიშმა ოჯახის წევრების ერთად ყოფნას ხელი შეუწყო. პირდაპირი მნიშვნელობით, სახლში დარჩენა სულაც არაა გამოსავალი, უფრო მოძრაობა და მოქმედებაა უპირატესი, მაგრამ ეს პროცესი ერთობ მნიშვნელოვანია. იგი უხილავ წერტილებზე აღმოცენებული ის მუხტია, რომელსაც შეუძლია ყოვლის მომცველ პროცესს საჭირო ბიძგი მისცეს. **გათითოკაცების სინდრომს, რომელიც დღეს ეროვნულ ცნობიერებას წარმართავს, აშკარად წინ აღუდგა ერთად ყოფნის ქართული ისტორიული გამოცდილება.** ეს შანსი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ქართული ოჯახი ისტორიულად ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ძლიერი საყრდენი იყო. ის მუდამ ასრულებდა ქვეყნის, როგორც საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ასეთად უნდა დარჩეს მომავალშიც.

6. კორონავირუსის ეპიდემია და ბუნებრივი კატაკლიზმები ბევრად განაპირობა ეკოლოგიისა და ეკონომიკის კონფლიქტმა. ბუნება არ პატიობს ადამიანს იმას, რომ იგი მოზღვავებული სიხარბის გამო, მტაცებლურად ექცევა მას. ანგარება წარმართავს ეკონომიკის განვითარებას. მაქსიმალური მოგების ამოღებაზე აგებულმა ეკონომიკურმა სისტემამ, რომელიც ერთნიშნად, კაცობრიობის უდიდეს მიღწევად მიიჩნევა, მწვავე, თითქმის დაუძლეველი, რთულ კვანძებად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური პრობლემები შექმნა. მათი გადაწყვეტა მხოლოდ ძლიერ ეკონომიკას შეუძლია. კორონასთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, ცხადია, დიდი სახსრები სჭირდება. მაგრამ სწორედ აქ მანკიერმა წრემ თავი იჩინა. ბიოლოგიური კატასტროფის საფრთხის დასაძლევად 85 ტრილიონიანი მშპ-ს მქონე მსოფლიომ საჭირო სახსრები ვერ გამონახა. ეს იმიტომ ხდება, რომ კაცობრიობამ აუცილებლობისას (არც თუ ისე ხშირად) ერთიანი ინტერესებით ცხოვრება ვერ ისწავლა; კოლონიზაციის ხაფანგებზე გამდიდრებული ეკონომიკის ქვეყნები, ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობისთვის ისტორიულ პასუხისმგებლობას გაურბიან.

7. კორონასთან ბრძოლის იმპულსურმა ეიფორიამ რეალურად წარმოაჩინა თუ რატომ არის ცუდი სოციალურად პოლარიზირებული და დემორალიზირებული ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ დომინანტი კერძო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება. კატაკლიზმებისას ყველგან და ყოველ ნაბიჯზე თავს წამოყოფს თანამედროვე მსოფლიოს 5 უბედურება: **სიღარიბე, უმუშევრობა, უწიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა**. ცხადია, რომ ვირუსის დამარცხების შემდგომ აღნიშნული პრობლემები უფრო გამწვავდება. სწორედ მათი დაძლევისათვის უნდა იქნას გამოყენებული ყველა რესურსი, რაც გაგვაჩნია. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ყველაზე რთული ამოცანაა. **დღეს საზოგადოებაში პირად და ჯგუფურ ინტერესებს ამოფარებული რევანშიზმი მძლავრობს.** პიროვნული თავისუფლებით თავაშვებული ადამიანები დიდ დროს უაზრო ლაპარაკსა და კინკლაობაში ატარებენ, საშოვარზე გადახვეწილი ოჯახის წევრის სიმწრის ოფლით ნაშოვნი ფულის გაფლანგვას შეჩვეულნი ფიზიკურ შრომას თაკილობენ და არც არავინ სთხოვს საკუთარ ოჯახში სარჩო რატომ არ შემოაქვს. ეს არის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის მოდუნების, გლობალური აგრესიის ზეწოლის, ეროვნული ფენომენის საძირკვლის - **მამული, ენა, სარწმუნოების** რღვევის, ტერიტორიული მთლიანობის მოშლის, ენის დაჩაგვრის, მართლმადიდებელი იდეებისადმი უნდობლობის, წარსულისადმი ნიჰილიზმის ძალისმიერი მეთოდებით დანერგვის, შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების და ათასი სხვა დაშვებული შეცდომის შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბებული რეალობა. აი, რატომ არა ვართ „ისტორიით შედუღებული ერთ სულ და ერთ ხორც მკვიდრთა კრებული“ (ილია). **ეს მაშინ, როცა ქართველებს განგებისაგან მომადლებული ნიჭიც გვაქვს, საუკუნეებს გამორიდებული ღირსებაც და მისი დაცვის უნარიც.** საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, ასეთია ჩვენი ბედისწერა.

8. მწვავე გამოწვევებთან ბრძოლის თითქმის 30 წლის

განმავლობაში, გარედან ნაკარნახევი ილუზიებით მუდმივად დახშული ეროვნული სულისკვეთება, რომელმაც ძნელბედობის ჟამს ასპარეზი დაეთმო კრიმინალურ ცნობიერებას, „მთვლემარე მდგომარეობიდან“ გამოსვლის ნიშნებს ავლენს. იმედის სხივმა გაიელვა: ეროვნული ენერგიის მკვებავი წყარო არ დაწრეტილა, იგი სუფთაა და მისი გონივრული გამოყენებით (დროთა განმავლობაში დაგროვილი მინარევებისაგან გაწმენდით), შესაძლებელია ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება - განმტკიცება. **ეს დიდი იმედია, რეალურად გაცნობიერებული იმედი - ეროვნული თანხმობისკენ და სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმავალი ყველაზე სწორი და მოკლე გზა.**

9. დადასტურდა, რომ ინტელექტუალური პოტენციალი, როცა მას ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის სწორად გამოვიყენებთ, უდიდესი ძალაა, **იგი მილევადი არ არის, სიცოცხლისუნარიანია, მამა-პაპური შეუპოვრობით ყველა დონის გამოწვევებთან გამკლავების შემართება, ღირსება და ცოდნაც შენარჩუნებული აქვს**. ეს მყისიერად სამედიცინო სფეროში გამოჩნდა. ძველმა, ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითა და მაღალი პროფესიონალურ დონეზე აღზრდილმა მედიკოსთა თაობამ საზოგადოებას სანიმუშო მაგალითი მისცა. საბედნიეროდ, **გამყრელიძეები, იმნაძეები, ცერცვაძეები ეზუგბაიები და სხვები ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მრავლად არიან.** ერის უბედურება იწყება იქ, სადაც სახელმწიფო, საზოგადოება სამი არამატერიალური განძის - **ნიჭის, ჭკუისა და ცოდნის** მფლობელ მამულიშვილებს (მოქალაქეებს) უნდობლობას უცხადებს, არარაობის გამოგონილ პერსონაჟებად მიიჩნევს. უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომლის მიმდინარე პროცესების ანალიზიდან გამოდის - უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობების პოტენციალის (როგორც პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის ეროვნული რესურსის) ქვეყნის ამოცანებისა და მასშტაბების შესაბამისად თანაზომიერი გამოყენების აუცილებლობაა. ამ დღეებში საზოგადოებამ ნახა თუ როგორ იშვა ხანდაზმული ადამიანების, ავადმყოფების, ბავშვების მიმართ ზრუნვით, მედიკოსების მიმართ მადლიერების გამოხატვის მაგალითები.

უნდა ვირწმუნოთ, რომ საზოგადოებაში არა პოზიციათა უკომპრომისო დაპირისპირება, არამედ უპირატესად მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისთვის სახელმწიფოს, ეკონომიკის, საზოგადოების, მოქალაქეების ინტერესების **„ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად ბედნიერი მორიგებაა“** (ილია ჭავჭავაძე).

10. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობას, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს; ძლიერი სახელწიფოს გარეშე ძლიერი ეკონომიკა არ არსებობს, მათ გარეშე კი პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია ფიქციაა. დღეს თანაბრად სჭირდება საქართველოს, როგორც ძლიერი და გამჭრიახი სახელწიფო, ასევე ძლიერი და მოქნილი ეკონომიკაც. სამწუხაროდ, თითქმის 30-წლიანი გამოცდილებით ვერ შევძელით ვერც ძლიერი სახელმწიფოს და ვერც ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება. ამას თავისი მიზეზები აქვს.

ახლა მთავარია რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, ეკონომიკა, რომელიც ჩვენივე აქტიური თუ პასიური პოზიციით შეიქმნა. ობიექტურად გავაცნობიეროთ, მოვლენებს, პროცესებს, ტენდენციებს, კანონზომიერებებს საკუთარი სახელი ვუწოდოთ და თანამედროვე მეცნიერული ლოგიკით, როგორც დიდი ილია იტყოდა, „ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით“ განვსაზღვროთ ამჯერად მაინც ქვეყნის განვითარების სწორი სტრატეგია.

გულწრფელად გეტყვით, კორონავირუსთან გამკლავების უაღრესად რთული ამოცანის შესაბამისად კონკრეტული მოქმედებების ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების პროცესში, საზოგადოებამ იხილა საქართველოს მთავრობის წევრების, პირველ რიგში, პრემიერის მხრივ მოვლენებში სწრაფად და სწორად გარკვევის უნარი, გამჭრიახობა, უმაღლესი პასუხისმგებლობა, სიდინჯეც. ეს იძლევა იმედს, რომ საქართველოს მთავრობა გამოწვევებთან ბრძოლის შეძენილ გამოცდილებას გამოიყენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და ქვეყნის მაღალი ტემპებით აღმშენებლობისთვის.

მთავარი რესურსები მართვის გარეშეა დარჩენილი...

იური პაპასქუა: ბატონო ნოდარ, თქვენი 10 თეზა ერთპოლუსიან მსოფლიოში გლობალურ გამოწვევაზე, უაღრესად საინტერესო, საყურადღებო მოსაზრებებთან ერთად, შეიცავს სტრიქონებს შორის ჩაკირულ ზოგად საკაცობრიო მინიშნებებს ერთ თარგზე გამოჭრილი პლანეტარული მსოფლხედველობით განსაზღვრული ცხოვრების მოდელის შეცვლის, გლობალურ პროცესებთან ნაციონალური სახელწიფოების ადაპტირების გამრავალფეროვნების, სახელმწიფოს, როგორც სისტემამაშემქმნელი ფაქტორის როლის ამაღლების, გარედან ნაკარნახევი ილუზიებით მუდმივად დახშული ეროვნული სულისკვეთების გაღვივების, მაქსიმალური მოგების ამოღებაზე აგებული ეკონომიკური სისტემის გადასინჯვის, სოციალურად პოლარიზირებული და დემორალიზირებული ეკონომიკის პირდაპირი შედეგის - მსოფლიოს 5 უბედურების: **სიღარიბის, უმუშევრობის, უწიგნურობის, ავადმყოფობის, უთანასწორობის** დაძლევის გადაწყვეტისთვის საერთო ძალისხმევის გაერთიანების, რესურსების ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

მოვლენის შეფასება (ავადმყოფისთვის ზუსტი დიაგნოზის დასმის მსგავსად) უაღრესად მნიშვნელოვანია შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრისთვის.

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, დღეს მთავარ პრიორიტეტად ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა გაჟღერებული, თუმცა პარალელურად, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის (ომის, ტერაქტების, დაპირისპირებების) სამზადისიც მიმდინარეობს. პანდემიის დაძლევისთვის ჩანიშნულ ღონისძიებებში (დარჩი სახლში, საგანგებო მდგომარეობა, კარანტინები, კომენდატის საათი), არანაკლებ საშიში კრიზისების (ეკონომიკის გაჩერების, ინფლაციის, ვალუტის დევალვაციის, შიმშილის, სხვა სახის ავადმყოფობების) მომასწავებელი საფრთხეებიც ილანდება.

საღი აზრი ითხოვს მდგომარეობის არამარტო შეფასებას, არამედ აქედან გამოსვლის ღონისძიებების დასახვას, გაჩერებული ეკონომიკის ძილ-ბურანიდან გამოყვანას, ხელისუფლებისათვის გონივრული რჩევების მიწოდებას. **თქვენი აზრით, რა არის მთავარი და გადაუდებლად უპირველესი, რაც აქედანვე უნდა დაისახოს და შესრულდეს?**

ნოდარ ჭითანავა: ასეთ რთულ, თანაც გლობალური წარმომავლობის სწრაფად ცვალებად ვითარებაშიც კი, ლოკალური პოზიციებიდანაც შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ნეგატიური და პოზიტიური ფაქტორების დანახვა, აგრეთვე იმის განჭვრეტა თუ როგორი იქნება ეკონომიკური გამოწვევა და მოსალოდნელი შედეგებიც, თუმცა მდგომარეობის სწორად აღქმას ართულებს ორი გარემოება - **გლობალური პრესინგი და ეროვნული ეკონომიკის უკიდურესად მძიმე (კრიზისული) მდგომარეობა.** პირველის ზეგავლენის შემცირება დამოკიდებულია სხვებზე და ბევრ ფაქტორზე, რომელთა შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს. შედარებით ადვილი ასახსნელია ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის განმაპირობებელი გარემოებები. შესაძლოა, სხვას დიდ წარმატებად მიაჩნდეს მშპ ზრდის მიღწეული 5,1%, მაგრამ ის კვლავწარმოების მხოლოდ შეკვეცილ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ იგი თანამედროვე მსოფლიოს ფონზე ქმნის გაზვიადებულ წარმოდგენებს. ამ მაჩვენებლის გაზომვის ამოსავალი საწყისი - არა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პიკური დონე (1988 წელი), არამედ, ეკონომიკის ვარდნის ფსკერია, რომელიც 1994 წელს დაფიქსირდა. სწორედ ამ წელს 1988 წელთან შედარებით მშპ-მა შეადგინა - 27,8%, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ - 15% (ეს დონე მიღწეული იყო 1954 წელს), სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ - 49% (1945 წლის დონე), ინვესტიციების მოცულობამ - 2,8% (1959 წლის დონე), ტვირთბრუნვამ - 33,4% (1940 წლის დონე).

მშპ ზრდის ჯაჭვური ინდექსი 1990 წლის მიმართ 2003 წელს შეადგენდა - 47,1%-ს, 2012 წელს - 80,1%-ს, 2017 წელს - 96,8%-ს (მათ შორის, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა - 42,2%, მრეწველობა - 60%).

2019 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ინფო-

რმაცია, რომლის მიხედვით 2018 წელს 1990 წლის მიმართ საქართველოში მშპ-მ შეადგინა 71%. ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანას (გარდა საქართველოსი და უკრაინისა) გადალახული აქვს 1990 წლის დონე. **ეს, რთულ კვანძად ჩამოყალიბებული პრობლემაა.**

ანგარიშგასაწევია თვისებრივად ახალი საკუთრებითი ფორმების როლი ეკონომიკაში. კერძო საკუთრება დომინირებადი გახდა (მაგალითად, კერძო სექტორი იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 100%-ს, სამრეწველო პროდუქციის 96%-ზე მეტს, ტრანსპორტზე შექმნილი პროდუქციის 60%-ზე მეტს. ვაჭრობა, რომელიც მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, 2019 წლის მშპ სტრუქტურაში პირველ პოზიციაზეა (14,4%)); რესურსებთან წვდომის შესაძლებლობები გაფართოვდა; ინტეგრირებული კავშირები გაღრმავდა; განვითარების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინდექსი საერთაშორისო სტრუქტურების მიერ პოზიტიურად არის შეფასებული. პოზიტიურია ისიც, რომ გაძლიერდა საბაზრო მენტალიტეტი. სიახლეებთან (გლობალურ მოვლენებთან) ადაპტირების პროცესი დინამიურია. მაგრამ რეალობაა ისიც, რომ ეკონომიკა ეფექტიანი არ არის; წარმოების ძირითადი ფაქტორები არარაციონალურად გამოიყენება; მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალია; საერთო მდგომარეობა კრიზისულია. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როცა ექსტრემალური პირობებისათვის ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ღონისძიებებს ვამუშავებთ.

საგანგაშოდ უნდა აღინიშნოს, რომ **დღეს მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, ფაქტობრივად, მართვის გარეშეა დარჩენილი.** გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია, რომ 2018 წელს საქართველოში 1990 წელთან შედარებით ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 600 ათას ჰექტრით შემცირდა. ხორბალზე მოთხოვნილება მხოლოდ 15%-ით კმაყოფილდება. ასე, რომ **მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მოსახლეობას საკმაო გამოცდილება აქვს. ხაზგასმით ვამბობ, იმპორტჩანაცვლებაზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია. ჯერ კიდევ დრო გვაქვს.**

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ექსპორტ-იმპორტის ბალანსი დიდი ხანია დარღვეულია. ან მოცემულობის მკვეთრად უარყოფითი გავლენა ეროვნული ეკონომიკაზე ცნობილია, თუმცა მის ნეიტრალიზებაზე ადექვატური ღონისძიებები არ ტარდება. შორს რომ არ წავიდეთ, უახლოესი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2018 წელს მთლიანად ეკონომიკაში უარყოფითმა სალდომ 5781 მლნ დოლარი შეადგინა. 500 მლნ დოლარით ჭარბობს იმპორტი ექსპორტს სასურსათო პროდუქციის მიხედვით. ცხადია, გარე ფაქტორებზე ასეთი დამოკიდებულება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.

საგანგებო ღონისძიებების შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ფუნქციონირების მიზნები, მათი წვლილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს, გარდაქმნების პროცესში მონაწილე, საზოგადოებრივ პროგრესზე გავლენის მქონე აქტიური სუბიექტები (სახელმწიფო - პოლიტიკური პარტიები - პროფკავშირები - ბიზნესი - არასამთავრობო ორგანიზაციები - მეცნიერება - საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები - ეკლესია) ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან შეუთანხმებლად მოქმედებენ და ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან. ისევე, როგორც ურთიერთობათა გარკვევის დროს ხდება, მოქმედებს პრინციპი „ყველა ერთის წინააღმდეგ“. სწორედ ის ერთი, უმეტეს წილად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებია. ეს იმიტომ ხდება, რომ მათი საქმიანობის კოორდინაცია და საქვეყნო მიზნებისათვის კონსოლიდაცია, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ვერ მოხერხდა. სწორედ ეს არის განვლილ პერიოდში ქვეყნის არასტაბილური, უფრო ზუსტად, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი და ორგანიზაციულ-მმართველობითი კრიზისების წარმოქმნის, გახანგრძლივებისა და გაღრმავების ხელშემწყობი გარემოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.



აღნიშნულ გარემოებაში სახელმწიფო, როგორც სისტემაშემქმნელი, პოლიტიკური სუბიექტისა და მესაკუთრის როლს, აგრეთვე პარტნიორობის საფუძველზე კოორდინაციის ფუნქციას უნდა ასრულებდეს (კორონავირუსმა ამის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა). სამწუხაროდ, განვითარების ასეთი პრინციპი იგნორირებული აღმოჩნდა, შექმნილ ქაოსში კი საზოგადოება კრიმინალურ ცნობიერებას ეზიარა. უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ მოირგეს სახელმწიფოს დანაწევრებული ფუნქციები კრიმინალური ცნობიერების საფუძველზე სპონტანურად აღმოცენებულმა ჯგუფებმა, რომლებიც ოლიგარქიის ტრადიციული პრინციპებით შეერწყნენ სახელისუფლებო ინსტიტუტებს და საზოგადოებრივ გარდაქმნებს საკუთარი შეხედულებებით წარმართავდნენ. ეკონომიკური ცხოვრება აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში, რამაც ეროვნული სიმდიდრის დატაცების ხელსაყრელი გარემო შექმნა. ამას დაემატა ის, რომ „ახალი აზროვნებით" მოსულმა უმრავლესობამ პირად კეთილდღეობას მორგებული ამოცანა შეასრულა და სოციალისტურად აღიარებული ეროვნული ეკონომიკა პირწმინდად დაანგრია. ასეთ შედეგებში განმსაზღვრელი **როლი შეასრულა სახელმწიფოს მართვაში პირდაპირ ქუჩიდან მოსულთა არაკომპეტენტურობამ.** სამწუხაროდ, ეს პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და სახეშეცვლილი ფორმით ახლაც გრძელდება.

მოკლედ თუ ვიტყვით, **გარდაქმნების პერიოდში დაშვებული შეცდომებიდან უმთავრესი (განმსაზღვრელი) იყო ტრანსფორმაციულ პროცესებში სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის და მესაკუთრის** (ამ თავისებურებას ანგარიშს არ უწევენ) **ობიექტური როლის უგულებელყოფა.** სახელმწიფოს მართვა მწირი ცოდნისა და ღარიბი მსოფმხედველობითი (ეროვნული) პოზიციების მქონე შემთხვევითი ადამიანების გატაცებათა და ილუზიების რეალიზაციის ასპარეზიც გახდა. **ამრიგად, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესმა, როგორც ბუნებრივად ობიექტურმა მოვლენამ, მთლიანობაში სისტემის ფორმა და შინაარსი ვერ შეინარჩუნა და ახალ თვისებრიობაში გადასვლის ობიექტური პროცესი დამანგრეველ ფაქტორად გადააქცია.** ინერცია საკუთარ ხელწერას დიდხანს ინარჩუნებს. ასეთია მწარე რეალობა. ახალი გამოწვევების პირისპირ ვდგავართ. ერთად-ერთი გზა გვაქვს - ნებისმიერი გამოწვევა უნდა მივიღოთ და ორგანიზებულად უნდა ვიმოქმედოთ.

იური პაპასქუა: ორგანიზებულად მოქმედებაში რას გულისხმობთ?

ნოდარ ჭითანავა: ცხადია, სამოქმედო გეგმის მუხლობრივ დეტალებზე აქ ვერ ვიმსჯელებთ. მაგრამ განსახორციელებელ ღონისძიებათა კომპლექსის რამდენიმე ძირითად მიმართულებას შევეხები:

პირველი. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით რეალურად უნდა განისაზღვროს კრიზისიდან გამოსვლის მთავარი მიმართულებები, ეტაპები, ტემპები, ტაქტიკურად სწორად უნდა დავსვათ ამოცანა. აუცილებელია ოპერატიული პროგრამა-გეგმის შემუშავება. ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა სამეურნეო სუბიექტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას (საკუთრების ფორმის მიუხედავად), სამინისტროს, მხარეს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური ზრდის საკუთარი პროგრამა-გეგმა, რომელიც წინასწარ იქნება შეჯერებული რესურსულ, საწარმოო-შრომით პოტენციალთან და შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს მექანიზმი დასახული მიზნების შესრულების კონტროლისათვის.

მეორე. ადგილებიდან მიღებული პროგრამა-გეგმის საფუძველზე, საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული რესურსების მოზიდვის გათვალისწინებით შესდგეს საერთო პროგრამა, რომელშიც კონკრეტული პერიოდების მიხედვით განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შენარჩუნების, ახლის შექმნის და სხვა ღონისძიებები. პროგრამა უნდა დაამტკიცოს მთავრობამ. **ამ პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ დიდ რეზერვად უნდა მივიჩნიოთ ქვეყანაში შემოსული და ადგილზე არსებული ფინანსური რესურსების კონცენტრაცია** (ანტიკრიზისული ფონდი) **და აკუმულირებული სახსრების მიზნობრივად გამოყენება.**

მესამე. არ დავუშვათ უხეში შეცდომები ეკონომიკის განვითარებაში, ოპერატიულ პროგრამა-გეგმის რეალიზაციასთან ერთად, აუცილებელია პოლიტიკოსების,

CORONAVIRUS: TACKLING THE ECONOMIC CRISIS



თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა **წარიმართოს მომავალში ეკონომიკის განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის.** ამ მიზნით დეპუტატების, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, მეცნიერების, პრაქტიკოსების მონაწილეობით ჩამოყალიბდეს სპეციალური ჯგუფები, რომელიც უახლოეს 2-3 თვეში მოამზადებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტს და შესაბამისი პროცედურების გავლით დაამტკიცოს პარლამენტმა. მიღებული დოკუმენტით (პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მას „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ - გარღვევის სტრატეგია 2021-2025 წლებისათვის“) განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში აქტიურად უნდა ჩაერთონ პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო სტრუქტურები, სამეცნიერო ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა). აღნიშნული დოკუმენტი ფაქტობრივად უნდა იყოს „გარღვევის სტრატეგია“.

ასეთი პოზიცია შეიძლება მავანმა ეკონომიკაში უხეშ ჩარევად და დემოკრატიულ ფასეულობათა იგნორირების მცდელობად მიიჩნიოს. მოვალენი ვართ ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპის სერიოზულობა, არაწინასწარ აკვიატებული აზრებით, არამედ გონებით, ზნეობით, ქვეყნის მომავლის ინტერესებით განვსაზღვროთ.

„ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით“ მოქმედება გვმართებს!

მეოთხე. ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლას, საჭირო სტაბილიზაციის უზრუნველყოფას, მხოლოდ ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებებით (რაოდენ მობილურიც არ უნდა იყოს მათი მექანიზმი) ვერ მივაღწევთ. საჭიროა შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა. უმთავრესია, სახელმწიფომ (მთავრობამ) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, თამამად და დროულად იმოქმედოს. არ უნდა გამოვრიცხოთ კრიზისის დაძლევისათვის გამოვიყენოთ დროებითი ფუნქციების შესრულებისთვის შესაბამისი სტრუქტურებიც. კარგ შედეგს იძლევა კონკრეტული მიმართულებებით პასუხისმგებელ პირებზე ფუნქციების მინიჭების პრაქტიკა. **ოპერატიული და სტრატეგიული პროგრამების განხორციელებაში აქტიურად უნდა იყონ ჩართული ყველა, ვისაც შესაბამისი უნარი აქვს. ახლა არ არის ძალების დაქსაქსვის დრო. ეროვნული ენერგიის კონცენტრაციის შესაძლებლობა მაქსიმალურად და სწორად უნდა გამოვიყენოთ.** როგორც ინფექციებთან, ასევე ეკონომიკურ კრიზისებთან ბრძოლის ღონისძიებებში უნდა აისახოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესები. მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილოთ ინგირი-გალის მონაკვეთზე (სივრცეში) განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის (ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციით) ფორმირების საკითხი. მისი სწორად გამოყენებით ბევრი სასიკეთო საქმის გადაწყვეტა შეიძლება.

მეხუთე. კრიზისულ მოვლენებთან ბრძოლაში უდავოდ თავს იჩენს მეცნიერების მიმართ თავის დროზე სახელმწიფოს მიერ დაშვებული შეცდომების შედეგები. დღეს ქვეყანაში არც ერთი სამეცნიერო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურა სრულყოფილად არ მუშაობს პროგნოზირებისა და სტრატეგიული განვითარების პრობლემებზე. ეს პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე აისახა. განვითარების ე.წ. სტრატეგიები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იქმნება, მდგომარეობის თვისებრივად შეცვლას ვერ უზრუნველყოფს. დროს უაზრო დისკუსიებში ვკარგავთ.

უნდა შეიქმნას ანალიტიკური ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების კომპლექსურ ანალიზს, მოამზადებს შესაბამის პროგნოზებს, რეკომენდაციებს და შესთავაზებს ხელისუფლებას. ასეთი ცენტრი დღევანდელ პირობებში პრემიერ-მინისტრთან უნდა ფუნქციონირებდეს.

ილუზიებიდან უნდა გამოვიდეთ. თავს მომავლის წარმატებული პეიზაჟებით ნუ ვინუგეშებთ. ეს წარსულის მწარე გამოცდილებიდან მუდამ უნდა გვახსოვდეს. საზოგადოება ბევრჯერ მოტყუვდა. პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია.

ვაშინერს, ბატონებო, მომავალშიც პოლიტიკურ ამბიციებსა და უზნეობაზე დამყარებულ დილეტანტიზმს ქვეყნის მართვა ვანდოთ.

ეროვნული ეკონომიკის სისტემური განვითარების უპირობო პრიორიტეტი - მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები

იური პაპასქუა: ახალმა კორონავირუსმა ორი უმთავრესი გლობალური ამოცანა გამოკვეთა: **ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და გაჩერებული ეკონომიკის ამოქმედება.** სახეზეა საიმედო ნიშნები, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეს ორი უმთავრესი გამოწვევა გაცნობიერებული აქვს. გასაგებია, რომ პანდემიის შემდგომი პერიოდი არანაკლებ რთული იქნება, მით უფრო, ანტიკრიზისული გეგმა ჯერ არ არსებობს და მისი კონტურები მხოლოდ ახლა იკვრება.

თქვენ სავსებით სწორად თქვით, რომ **„დღეს პოლიტიკურ სიმწიფეზე გამოცდას აბარებს ნაციონალური სახელმწიფო, ეფექტიანობაზე - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო თვითშეგნებაზე - საზოგადოება“.** დიახ, სახელმწიფო, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და საზოგადოება განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა და სხვა აზრი არც უნდა იყოს, რომ აქედან გამოსვლის **წარმატების საწინდარი ამ სამი უმთავრესი ინსტიტუციის მაღალი პასუხისმგებლობის, ინტერესების ჰარმონიული თანხვედრის და მიზანმიმართული მოქმედებების უზრუნველყოფაა.** ისინი განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგრამ მათ შორის, გამაერთიანებელ, საფუძველშემქმნელ ადგილს ეკონომიკური მდგომარეობა იჭერს - ძლიერი ეკონომიკის გარეშე ვერ იქმნება ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები; ადამიანებს ვერ უწამლებ და ვერც გამოკვებავ; სამოქალაქო თვითშეგნება ვერ ჩამოყალიბდება.

თქვენ სახელმწიფოს როლსა და ადგილზე არგუმენტირებული მინიშნებები გააკეთეთ. უკვე მართლაც მომწიფდა მოსაზრება, რომ **„საბაზრო ფუნდამენტალიზმი“ იწვევს ქაოსს, უთანასწორობის გაძლიერებას, ანგრევს დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებს“.**

გამოიკვეთა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და თვითდინებაზე მიშვებული ბაზრის მარეგულირებელ მექანიზმში მართვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩართვის აუცილებლობაც. ეს განსაკუთრებით გარდაუვალია ახლა - გადამწყვეტი მოქმედებების დაწყების პერიოდში.

ვფიქრობ, ხელისუფლებამ სწორად დაინახა ეკონომიკაში იმპორტჩამნაცვლებელი მიმართულებების გააქტიურების საჭიროება. აქ, უწინარესად, მხედველობაშია სასურსათო უსაფრთხოება - კვების ინდუსტრიის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება, თუმცა სწორედ ამ, განსაკუთრებით კი მიწის რესურსების გამოყენების სფეროში გვაქვს მწვავე პრობლემები.

ნოდარ ჭითანავა: დიახ, ეს ასეა. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან განვლილ თითქმის 30 წლის განმავლობაში ყველაზე უხეში შეცდომები სწორედ მიწის რესურსების გამოყენებაში დავუშვით.

იური პაპასქუა: წინა შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, ფაქტობრივად, მართვის გარეშეა დარჩენილი. დამეთანხმებით, ეს ძალიან მწვავე შეფასებაა. რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს პრობლემა მოიხსნას, რას გვთავაზობთ?

ნოდარ ჭითანავა: ვადასტურებ, რომ დღეს საქართველოში მრავალ გამოწვევას შორის მიწის, როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის კომპლექსური, რაციონალური გამოყენება უმთავრესი და ეროვნული ეკონომიკის სისტემური განვითარების უპირობო პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს (ხელისუფლებას), უნდა ჰქონდეს მართვის ისეთი სისტემა (მექანიზმი), რომელიც ამ სიმდიდრის ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხერხდება სასურსათო უსაფრთხოების დაცვის, ეკონომიკის შესაბამისი დარგებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, შრომითი რესურსების კვლავწარმოების სტაბილურობის, საბოლოოდ, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის მყარი საფუძვლის შექმნა. ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების მიზანშეწონილობაც ამ ნიშნით უნდა განიჭვრიტოს.

იური პაპასქუა: მაინც, რასთან გვაქვს საქმე, რატომ ვერ მოვახერხეთ დღემდე ქვეყნის მთავარი სიმდიდრე - მიწის რესურსები ამ მიზნებისთვის და უფრო ეფექტიანად გამოგვეყენებინა?

ნოდარ ჭითანავა: სამწუხაროდ, პასუხი ერთადერთია: **მოქალაქეებმა, საერთოდ, საზოგადოებამ და თავად სახელმწიფომ გამოწვევების ადეკვატურად ვერ გააცნობიერეს მიწის რესურსული პოტენციალის როლი და მნიშვნელობა.** უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სიტუაცია ბევრად განაპირობა ობიექტურმა ფაქტორებმა, თუმცა სუბიექტური მიზეზები ჭარბობდა. უხეში შეცდომები დავუშვით მიწის პრივატიზაციის პროცესში; დღემდე ვერ მოგვარდა მიწის აღრიცხვა; გავიძახით, მიწის ბაზარი უნდა განვითარდესო, მაგრამ მიწის ნაკვეთი ბაზრის მოთხოვნისამებრ რეგისტრირებულიც არ აღმოჩნდა; სოფელი დაცარიელდა, 1994-2018 წლებში სოფლის მოსახლეობა 722 ათასი კაცით შემცირდა; მიწების დატაცებამ, მსხვილი მასივების წვრილკონტურიან ნაკვეთებად დაქუცმაცებამ, სამეცნიერო და სამრეწველო პოტენციალის, კადრების მომზადების სისტემის მოშლამ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქვეყნის გარეთ გატანამ (სოფლის მეურნეობის ცოცხალი გამწევი ძალისა და კავის ამარად დარჩენამ) განაპირობა წარმოების კატასტროფული დაცემა. 2017 წელს ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 42,2%-ს შეადგენდა.

დღესაც არ ვიცით რამდენი გვაქვს მიწის ფართობი. მიწის ბოლო ბალანსი 2005 წელს შედგა. არ მოგვეპოვება სანდო ინფორმაცია მიწის სახელმწიფო ფონდში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. არ ვიცით როგორია სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსული პოტენციალი. რა მდგომარეობაშია ნიადაგის დეგრადაციის, მეორადი დაჭაობების, გაუდაბნოების პროცესები. არ გვაქვს მიწის კადასტრიც. არც ის ვიცით, უცხოელებზე რამდენი ათასი ჰექტარი მიწის ფართობია გასხვისებული, იჯარით გაცემული მიწები როგორ გამოიყენება. ანალოგიური

მდგომარეობაა სხვა რესურსების (წიაღისეულის, ტყის, წყლის, რეკრეაციული რესურსების და სხვ.) მხრივაც.

ამრიგად, ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე ეფექტიანი მართვის გარეშე დარჩა მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები. ეს ხომ ყველაფერი მიწის მართვის ხარვეზებია. მიწის მართვაზე პასუხისმგებელი კი სახელმწიფოა.

შეცდომა იყო 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, 1996 წლიდან შექმნილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის გაუქმება. მისი ძირითადი ფუნქციების იუსტიციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებზე გადანაწილებისას მთავარი გამორჩათ: **ვინ შეადგენდა მიწის ბალანსს.** ასევე შეცდომა იყო საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის ბრძანებულებით 1996 წელს შექმნილი მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის (რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა) გაუქმებაც. **ყოველივე ამან ხელი შეუწყო მიწის მართვის პროცესიდან სახელმწიფოს (მთავრობის) თანდათანობით ჩამოცილებას.** აქვე აღვნიშნავ, რომ იმ დროს შექმნილი საჯარო რეესტრი პროგრესული მოვლენა იყო. თუმცა, 2016 წლის დასაწყისში მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25% იყო რეგისტრირებული. ამავე პერიოდიდან იწყება მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტის განხორციელება.

იური პაპასქუა: 2014 წელს საქართველოში ხომ ჩატარდა მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა. რატომ არ შეიძლებოდა მათი შედეგებით სარგებლობა, რატომ არ გასწორდა მიწის აღრიცხვასა და რეგისტრაციაში დაშვებული ხარვეზები?

ნოდარ ჭითანავა: დიახ, 2014 წელს ორივე აღწერა ჩატარდა. მასალებს კარგად ვიცნობ. მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ აღწერით მიღებული ინფორმაცია გამაოგნებელი იყო. არანაკლებ დამაფიქრებელი გახლდათ სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები. აღწერამ მოიცვა მხოლოდ შინამეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (სულ 642,2 ათასი სუბიექტი) და შეეხო მხოლოდ 842,3 ათას ჰექტარ მიწის ფართობს. აქედან, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენდა 787,7 ათას ჰექტარს. ასევე დაფიქსირდა სახნავი - 377,4 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები - 109,6 ათასი ჰექტარი, სათიბ-საძოვარი - 300 ათასი ჰექტარი. ეს მაშინ, როცა 2005 წლის ბალანსის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენდა 3026,6 ათას ჰექტარს, მათ შორის, სახნავი - 802,1 ათას ჰექტარს, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი - 264 ათას ჰექტარს, სათიბი - 143,5 ათასს, საძოვარი - 1796,6 ათას ჰექტარს.

ამრიგად, აღწერის გარეშე დარჩა მიწის ფართობების უდიდესი ნაწილი, ამიტომ მისი შედეგების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების დონის ობიექტურად შეფასება ვერ მოხერხდება.

გვაქვს უფრო საგანგაშო მონაცემებიც. 1990 წელს საქართველოში ნათესმა ფართობმა შეადგინა 701,9 ათასი, 1997 წელს - 577,6 ათასი, 2003 წელს - 561,7 ათასი, 2012 წელს - 259,6 ათასი, 2018 წელს - 207,1 ათასი ჰექტარი. ე.ი. 28 წლის მანძილზე ნათესი ფართობები 494,8 ათასი ჰექტრით, ასევე, მრავალწლიანი ნარგავების ფართობები (1990-2017 წლებში) 202 ათასი ჰექტრით შემცირდა. ბუნებრივია, ასეთმა პროცესმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი დაცემა განაპირობა. შედეგებს ვიმკით. დიდი ხანია ქვეყანა უცხოეთიდან შემოტანილი სასურსათო პროდუქციით იკვებება. საკუთარი ინტენსიური მიწის ფართობები კი დეგრადაციას განიცდის.

მდგომარეობა არასტანდარტულია. ამიტომ, მიწის გონივრულად გამოყენებისათვის საგანგებო ზომების მიღებაა საჭირო.

იური პაპასქუა: საგანგებო ზომებში რას გულისხმობთ, რა გაქვთ მხედველობაში?

ნოდარ ჭითანავა: უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ეროვნული ეკონომიკის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სისტემური კრიზისიდან გამოყვანას მობილიზაციურ მოდელზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება.** ამ მხრივ გარკვეულ გამოცდილებას კორონავირუსთან ბრძოლის მეთოდების გამოყენებითაც ვიძე-

ნთ. სწორედ ანალოგიური მიდგომებია საჭირო, - რა თქმა უნდა, ეკონომიკის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, თავისებურებების გათვალისწინებით. **მობილიზაციური მოდელი გულისხმობს ეკონომიკაში ეფექტიანი საბაზრო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირებისთვის გარე და შიდა რესურსების კონცენტრირებულად გამოყენების მიზანმიმართული საქმიანობის გარემოს შექმნას.**

2021-2025 წლების პერიოდისთვის შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემაში (მისი შემუშავების აუცილებლობაზე უკვე ვისაუბრეთ) საჭიროა მიწის რესურსებს, საერთოდ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, სასურსათო უსაფრთხოებას შესაბამისი ადგილი დაეთმოს. ვიმეორებ: **გარღვევის სტრატეგიაა** საჭირო. პროფესიონალებმა იციან რა, რა დროს და როგორ უნდა გაკეთდეს. პროგრესული მეცნიერული აზრის დეფიციტი ქვეყანაში არ არის. მაგრამ **არის იმის საშიშროება, რომ ქვეყნის განვითარების მაღალი ტემპები და ეროვნული ეკონომიკის რესურსული პოტენციალის სწორად გამოყენება მავანთა ინტერესებმა კვლავაც არ დაბლოკოს. ჩვენ ბევრი მწარე მაგალითი გვახსოვს, როცა უცოდინარობა და ანგარებასთან შერწყმული უპასუხისმგებლობა განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.**

სახიფათო განზრახვებს შეიცავს ამასწინათ გავრცელებული ინიციატივა (თუ რეკომენდაცია), რომ დღევანდელ ექსტრემალურ პირობებში სახელმწიფოს ბალანსზე აღრიცხული მიწის ფართობი სასწრაფოდ აუქციონზე გაიტანონ ან იჯარით უნდა გაიცეს. ამის გაკეთება არ შეიძლება.

იური პაპასქუა: დიახ, გეთანხმებით, ეს საშიშია და მწარე გამოცდილებასთან გვაბრუნებს. სწორედ ამიტომ უნდა გკითხოთ: კონკრეტულად, რა უნდა გაკეთდეს მიწის რესურსების სწორად აღრიცხვის, რეგისტრაციის, ნაყოფიერების ამაღლებისა და დაცვისთვის?

ნოდარ ჭითანავა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ სამეცნიერო ცენტრში, სადაც მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების კვლევები ხორციელდება, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობით გამოკვლეულია 1990 წლიდან საქართველოს მიწის სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ცვლილებები, მიწის პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგები, მიწის რეფორმის პოლიტიკური, თეორიულ-მეთოდოლოგიური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები, ტრანსფორმაციული პროცესებით გამოკვეთილი თავისებურებები, ძირითადი ტენდენციები. შესწავლილია უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებაც. ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნებიდან (რეკომენდაციებიდან) რამდენიმეს მივაქცევ დაინტერესებულ პირთა ყურადღებას:

პირველი. ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელებისთვის, ამოცანები ორ ნაწილად უნდა დაიყოს: **ოპერატიულად** - რომლის მიხედვითაც მიმდინარე წელსვე ავითვისოთ მიწის ფართობები იმ მოცულობით, რომელიც 2005 წლის ბალანსით გვქონდა და **პერსპექტიულად** - მოვემზადოთ სახელმწიფო მიწის ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის. მის გარეშე მიწის ფონდის ობიექტური სურათი არ გვექნება. მეეჭვება, რომ ამ ამოცანას თავი გაართვას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შექმნილმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულმა სააგენტომ.

მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით უფრო მიზანშეწონილია სააგენტოს სტატუსის ამაღლება და მისი საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა - **მოქმედების მასშტაბის გაფართოება, მასზე მთლიანად სახელმწიფო მიწის ფონდის (საკუთრების ფორმების მიუხედავად) რაციონალურად გამოყენებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა მართვის უმაღლეს დონეზე მოითხოვს კოორდინაციის გაძლიერებას. ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნული სამსახური უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს პრემიერ-მინისტრს.** იგულისხმება, რომ ცალკეულ სამინისტროებში მიწის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები კვლავაც დარჩება. მაგალითად, მიწის რეგისტრაციის ფუნქციებს შეასრულებს იუსტიციის სამინისტრო, მიწის პრივატიზაციის ფუნქციას - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მიწის ეკონომიკური შეფასებისა და დაბეგვრის ფუნ-

ქციას - ფინანსთა სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაციონალურად გამოყენების ფუნქციას - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აღნიშნული სააგენტოს სტრუქტურაში უნდა იყოს შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციებიც (კერძო სექტორის მონაწილეობით). სააგენტოს რეგიონებში უნდა ჰქონდეს მართვის შესაბამისი სტრუქტურები.

მიწის ფართობების ინვენტარიზაცია უნდა წარიმართოს წინასწარ შედგენილი პროექტების შესაბამისად. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ფართობების დაზუსტება. სტრატეგიულ ამოცანად უნდა ჩაითვალოს სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების დადგენა.

გასათვალისწინებელია მრავალწლიანი ნარგავების არა მხოლოდ მასივებად, არამედ ადგილზე არსებულ პირობებზე მორგებით ერთეული ნარგავების სახით (ტერასები) გაშენება, საძოვრების (სათიბების) კატეგორიებად დაყოფა, გადასარეკი ტრასების მოწესრიგება, მიწის სახელმწიფო მარაგების შექმნა და სხვ. მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს მიწის კონსოლიდაციის წინაპირობების შექმნას (განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის შესაბამისი ფორმების გამოყენებას). ინვენტარიზაციის საფუძველზე თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით უნდა შეიქმნას მიწის შესახებ ინფორმაციული ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტის (როგორც ტერიტორიის) სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური განვითარების გრძელვადიანი (5-7 წლიანი) პროგრამების შედგენას (მხედველობაში მაქვს ის, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური განვითარება ადგილობრივი მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იქნას მიჩნეული.

მეორე. იმის გათვალისწინებით, რომ წვრილი ოჯახური მეურნეობები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმთავრეს ფორმას (98%), **მათი კოოპერატივებში ინტეგრირება უნდა მივიჩნიოთ წარმოების ინტენსიფიკაციის სტრატეგიულ მიმართულებად.** თითოეულ მუნიციპალიტეტში წარმოების სპეციალიზაციის ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით უნდა განისაზღვროს კოოპერაციის ფორმები (**მიწის ფართობების დამუშავება, ნედლეულის გადამუშავება, რეალიზაცია, შენახვა და სხვ.**) გამოყენება. მიზანშეწონილია სამეცნიერო გაერთიანებებთან (მაგალითად, **ლომთაგორის ტიპის მეურნეობები**), ასევე ქვეყანაში არსებულ **მსხვილ საწარმოებთან** (წისქვილების, ელევატორების, სამაცივრო მეურნეობების, გადამამუშავებელი საწარმოების და სხვ.) **საოჯახო მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ინტეგრირება** (ადგილზე არსებული პირობების შესაბამისად).

დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია რეგიონთაშორისი კოოპერაციის - განსაკუთრებით მთისა და ბარის ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისი (მაგალითად, ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების ერთობლივად დატვირთვა, სამკურნალო მცენარეების გადამუშავება, რეკრეაციული რესურსების ათვისება და სხვ.) ფორმების მიზნობრივად (დიფერენცირებულად) დამკვიდრებას.

თანამედროვე პირობებში, როცა ეკონომიკაში რეალურად ყალიბდება პლურალიზმი, კოოპერაციის (ინტეგრაციის) რთული პროცესების რეგულირება შესაბამისი პირობების მომზადებასთან ერთად საჭიროებს დროსა და სივრცეში სახელმწიფოს აქტიურ მხარდაჭერას. კონკრეტულ სიტუაციაში არ უნდა გამოვრიცხოთ სახელმწიფო ჰოლდინგების (კორპორაციების) გამოყენება დაუმუშავებელი მიწის მასივების ათვისებაში.

მესამე. ახლა მაინც უნდა გავაცნობიეროთ, რომ **თანამედროვე ცხოვრებაში სახელმწიფო დაგეგმვისა და საბაზრო მექანიზმების თანაარსებობა აუცილებელია!** ისინი ანტიპოდები არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. საქართველოს მაგალითზეც დავრწმუნდით, რომ სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის დონე მათი ურთიერთგანპირობებულობის ხარისხით განისაზღვრება. გეგმაზომიერი განვითარება (პროგნოზირება, პროგრამირება, კოორდინაცია) კაცობრიობის განვითარების ფუნდამენტურ მიღწევად არის აღიარებული. პრობლემების პროგრამებით გადაწყვეტის მეთოდი დღეს ყველაზე რაციონალური მეთოდია. კორონავირუსთან ბრძოლის პირველი გამოცდილებაც ამას გვიჩვენებს.

იური პაპასქუა: რა უპირატესობა აქვს პროგრამულ მიდგომას?

ნოდარ ჭითანავა: უპირატესობა დიდია. პროგრამულ მიდგომებში აისახება ლოგიკური კავშირი დასახულ მიზნებს, მისი მიღწევის რესურსულ და პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის (პოლიტიკური მიზნის ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა). რეალურად განისაზღვრება ადგილობრივი, ბუნებრივი და საწარმოო პირობების, ფაქტორების, ხარვეზების კომპლექსურად ამოქმედების გზები და საშუალებები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რესურსული პოტენციალის მიზნობრივ კონცენტრაციას. სწორედ ასეთ მიდგომას უნდა დაეფუძნოს ზემოთ ნახსენები ქვეყნის განვითარების მობილიზაციური მოდელი.

ამრიგად, პროგრამა, როცა იგი თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებს ეფუძნება, სამ მთავარ კითხვაზე მოგვცემს პასუხს: განვითარების რომელ საფეხურზე ვართ (რეალობის ობიექტური შეფასება), საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), როგორ, რომელი რესურსებით და პერიოდულობით ვფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას.

გავიმეორებ მრავალგზის ნათქვამს - თითქმის 30 წელი ეროვნული ეკონომიკა „ვითარდებოდა" არა მეცნიერულად გააზრებული სტრატეგიის მიხედვით, არამედ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (თანაც სწრაფი მონაცვლეობით) ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნიშნით.

რთული პროცესების პროგრამული მართვა, როგორც სტრატეგიული განვითარების წინააღმდეგობრივი პროცესების რეგულირების ყველაზე საიმედო ფორმა - ამიერიდან მაინც ქვეყნის ინტერესებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ეპიდემიასთან ბრძოლის ორგანიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ინფორმაციამ. ასეა ეკონომიკაშიც. სახელმწიფომ (ბიზნესმა) უნდა იცოდეს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის „ანატომია“, რათა დროის მოთხოვნების შესაბამისად, პროგნოზირება და მოსალოდნელი საფრთხეების პრევენცია შეძლოს. ამისათვის საჭიროა სტატისტიკურ მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომელიც მიმდინარე რთული პროცესების სისტემური ანალიზისა და შეფასების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, დახვეწას მოითხოვს ქვეყანაში ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა.

მოდით, დავუბრუნდეთ წინა კითხვას, მივყვეთ მიწის აღრიცხვისა და გამოყენების ორგანიზაციული ღონისძიებების ჩამონათვალს.

მეოთხე. ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში პროგნოზირების და სტრატეგიული დაგეგმვის როლის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების (პირველ რიგში მიწის) გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში შეიქმნას პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი (სააგენტო). ამ სტრუქტურამ უნდა განსაზღვროს არსებული რესურსების გამოყენების ოპტიმალური მიმართულებები, განვითარების ინდიკატორები და კოორდინაცია გაუწიოს ამ სფეროში სახელმწიფო, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, შეიმუშაოს პროგნოზები და ა.შ.

მეხუთე. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამჟამინდელი დონის (სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოძველებული ტექნოლოგიები, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და სხვ.) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია **სპეციალიზებული საადგილმამულო ბანკის ან სხვა ორგანიზაციული ფორმის - მსოფლიოში ცნობილი სპეციალიზებული კოოპერატიული აგროსაკრედიტო სისტემის ანალოგების** შექმნა. ასეთმა მრავალფუნქციურმა სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს მიწის რაციონალური გამოყენების ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

მეექვსე. მიწის ფართობების დეგრადაციის შესაჩერებლად (შესაბამისი ღონისძიებები 1990 წლიდან არ ტარდება), **მიზანშეწონილია შედგეს მიწის დეგრადაციის (ეროზიის, მეორადი დაჭაობების, გაუდაბნოების, დაბინძურების და სხვ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა (ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო, მელიორაციული, ჰიდროტექნიკური და ა.შ.) გენერალური სქემა 2030 წლამდე პერიოდისათვის.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების დონე უკიდურესად დაბალია. 90-იანი წლებიდან მოიშალა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამეცნიერო მომსახურება, კადრების მომზადების სისტემა, სტიქიურად ხდება იმპორტით მინერალური სასუქების შემოტანა და ადგილზე გამოყენება. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გაუაზრებელი გარდაქმნებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამეცნიერო მომსახურება ფაქტობრივად შეწყდა. **უნდა შემუშავდეს „ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების პროგრამა“, რომელშიც განისაზღვრება ორგანულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა.**

მეშვიდე. ქვეყანის ეკონომიკის (სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დარგების) კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას **სამთავრობო (მუდმივმოქმედი) კომისია (საბჭო), რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მეცნიერებათა ეროვნული და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების, სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით მოამზადებს ინოვაციურ განათლებაზე გადასვლის გრძელვადიან (10-15 წელი) პროგრამას.**

მანამდე კი ოპერატიულად გადასაწყვეტ (წელსვე განსახორციელებელ) ღონისძიებებზე მივმართოთ საერთო ძალისხმევა და ჩვენზე დამოკიდებული ყველაფერი გავაკეთოთ არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისთვის.

გვჭირდება გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური (ინოვაციური) განვითარება. ყველაფერს კორონა ვირუსს ნუ დავაბრალებთ...

იური პაპასქუა: ახალმა კორონა ვირუსმა ბევრი ნეგატივი ამოატივტივა. ხელისუფლების გაბედული, მიზანმიმართული გადაწყვეტილებებისა და მედიცინის სფეროს მუშაკთა, მართლაც, გმირული თავდადების ფონზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მორღვეული ზურგი, შეზღუდული ბაზისური რესურსები, წინსვლის გაურკვეველი ორიენტირები გამოჩნდა. ტექნიკური, ტექნოლოგიური, კომუნიკაციური თუ ინფრასტრუქტურული განვითარების ფანტასტიკურ გარემოში აღვირაწყვეტილ, დაუნდობელი ეპიდემიის ნიაღვარს **„სოციალურად პოლარიზებული საზოგადოება და დემორალიზებული ეკონომიკა“** დახვდა.

საზოგადოებაში დიდი იყო მოლოდინი მთავრობის ეკონომიკური ანტიკრიზისული გეგმის **მიზნობრივ სოციალურ და ბიზნესის დახმარების ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე,** რაც უდავოდ შთამბეჭდავია, თუმცა ეს მხოლოდ „ხარჯვითი“ ინექციებია და ეკონომიკის ეპიდემიამდელი მდგომარეობის შენარჩუნებას გულისხმობს. სხვა მიზანი მას არც ქონია.

ალბათ დამეთანხმებით, რომ მთელი ძალისხმევა ახლა კორონა ვირუსით გამოწვეული კრიზისის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის განვითარებაზე, გლობალურ გამოწვევებთან გამკლავების ეფექტიანი ღონისძიებების დასახვასა და განხორციელების მექანიზმის სრულყოფაზე უნდა იყოს მიმართული. თქვენ როგორ გაქვთ ეს პროცესი წარმოდგენილი?

ნოდარ ჭითანავა: ყველაფერს კორონა ვირუსს ნუ დავაბრალებთ, ეკონომიკური კრიზისის ფესვები უფრო შორიდან მოდის. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომი, **თითქმის 30-წლიანი პერიოდის სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მკვეთრი ჩამორჩენაა, - რაც გვქონდა, იმ დონესაც ვერ მივაღწიეთ; ეროვნული სიმდიდრე უმოწყალოდ გაიფლანგა; მატერიალური წარმოების ბაზა გაჩანაგდა; დემოგრაფიული მდგომარეობა გაუარესდა; წარმოების ძირითადი ფაქტორები (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და ა.შ.) არაეფექტიანად გამოიყენება; დეინდუსტრიალიზაციის პროცესები სახეზეა; სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ დადგა; ძირითადად იმპორტირებულ პროდუქციაზე გავხდით დამოკიდებული; მეცნიერების ორგანიზაციული საფუძველი მოშლილია; განათლების სისტემა თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩა; სოფელი დაცარიელდა; უმუშევრობა მწვავე პრობლემაა.**

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ტრანსფორმაციული პერიოდის ეკონომიკა, ფართო გაგებით, სისტემურ კრიზისში იყო. ბოლო პერიოდის მოვლენებმა მდგომარეობა უფრო დაამძიმა. ამიტომ **აუცილებელია ჩვენი რესურსული პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება და ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავება - განხორციელება. გვჭირდება გარღვევის სტრატეგია.** ცნება ნუ შეგვაშინებს. იგი გულისხმობს იმას, რომ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად - ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად, **საჭიროა ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია და მიზნობრივი პროგრამებით მათი გამოყენება. გარღვევის სტრატეგიაში მიზნის მიღწევის ცენტრალური რგოლი მაღალი ტემპებით ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა. სხვანაირად ვერ მოხერხდება მთელი საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი მცირე ნაწილის, როგორც დღესაა) მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.**

ქვეყნის განვითარების დღევანდელ, უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე, სახელმწიფო (ხელისუფლება), საზოგადოება არჩევანის წინაშე დადგა: **მიზნობრივად, მაქსიმალურად და ეტაპობრივად აამოქმედოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების არსებული შესაძლებლობები (გარღვევის სტრატეგია-მობილიზაციური მოდელი) და ამით უზრუნველყოს მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირება-ფუნქციონირების ხელშემწყობი გარემოს შექმნა ან ე.წ. კლასიკური, ტრადიციული ფორმით (გზით) დაიწყოს ეკონომი-**

კის სისტემური კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა განხორციელება. ამ უკანასკნელს ხანგრძლივი დრო სჭირდება და დიდი სოციალური დანაკარგებიც ახლავს. მესამე გზა არ არსებობს.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია: სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების, როგორც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის, სწორად გააზრება და ვითარებაზე მისი ზემოქმედების რეალური მექანიზმების შერჩევა-ამოქმედება. სახელმწიფოს ანტიკრიზისულ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის განვითარების **პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობა,** რომელიც, **ერთი მხრივ,** ქვეყნის ბუნებრივი, საწარმოო, შრომითი რესურსების, ეკონომიკური პოტენციალის, დემოგრაფიული სტრუქტურის, გეოპოლიტიკური მდგომარეობის, აგრეთვე სხვა ფაქტორების გამოყენების ანალიზით და **მეორე მხრივ,** საუკეთესო პრაქტიკის, ინტეგრაციული პროცესების, ნაციონალურ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო (ზესახელმწიფოებრივ) ინსტიტუტებს შორის არსებული ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინებით განისაზღვრება.

კრიზისიდან დაჩქარებით გამოსვლისთვის მიზანშეწონილია შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინსტრუმენტის გამოყენება. ასეთი შეიძლება იყოს 2021–2025 წლების სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროგრამა (გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური მოდელი).

იური პაპასქუა: პროგრამები ბევრი დაწერილა და გაცხადებულა... მაინც, რით უნდა იყოს ის ასე გამორჩეული?

ნოდარ ჭითანავა: კარგად მესმის თქვენი მინიშნება. ჩვენ ეს გზა გავიარეთ და მწარე გამოცდილება შეგვრჩა. ხაზგასმით ვამბობ, რომ ქვეყანას, გარდაქმნების არც ერთ ეტაპზე, გამოწვევების ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა არ ქონია. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო ექსტრემალურ პირობებში ექსკლუზიური ფუნქციებით და არა ვიწრო კლანური ინტერესების გავლენით მოქმედი პოლიტიკური სუბიექტი.

პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

პირველი - განვითარების რომელ სტადიაზეა ქვეყანა? ამ კითხვაზე სწორი პასუხი საჭიროა იმისთვის, რომ გაცხადდეს, როგორია განვითარების სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევის მოტივაცია, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების დონე და სხვა გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას;

მეორე - საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს ეკონომიკა? ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა, არამედ აუცილებელია გლობალურ სივრცეებში სხვათა ინტერესების შესწავლა-შეფასება, მათი თანხვედრის თუ დაპირისპირების, მოსალოდნელი გამოწვევებისა და მუქარების განჭვრეტა, რათა განვითარების მთავარი მიმართულებები სწორად განისაზღვროს;

მესამე - როგორ, რომელი რესურსებით და რა პერიოდულობით არის გათვალისწინებული დასახული მიზნის მიღწევა? ამისათვის საჭიროა სწორად შეირჩეს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიისა და ამოცანების განხორციელების ადექვატური ფორმები, მექანიზმები, დაფინანსების წყაროები (საშინაო და საგარეო, გეოეკონომიკური რესურსები, მართველობითი მოდელი და ა.შ.).

იური პაპასქუა: ასეთი პროგრამის შედგენა ხომ არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებს?

ნოდარ ჭითანავა: საზოგადოებამ, სახელმწიფომ ახლა მაინც (მწარე გამოცდილების ფონზე) უნდა გააცნობიეროს, რომ პროგრამული მიდგომები რთული, კრიზისული პროცესების მართვის რეგულირების ოპტიმალური ფორმა და მეთოდია.

დღეს, მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა სტაბილურ წარმატებებს საბაზრო და სახელმწოფო რეგულირების მექანიზმების შეხამებით, სტრატეგიული დაგეგმვის (მართვის) პრინციპებზე დაფუძნებული, ყოველმხრივ გააზრებული, ეტაპობრივი და თანმიმდევრული მოქმედებებით მიაღწიეს.

პროგრამული მიდგომის უპირატესობა ისაა (ადრე ნათქვამს გავიმეორებ), რომ მასში დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის რესურსულ თუ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ ფაქტორებს შორის ლოგიკური კავშირი (პო-

ლიტიკური მიზნის ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა) აისახება; რეალურად განისაზღვრება ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და ფაქტორების კომპლექსურად ამოქმედების გზები და საშუალებები. პროგრამას ექნება გამჭირვალობის მაღალი ხარისხი და საზოგადოებისთვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის (ტაქტიკის) შეფასების საფუძველი გახდება, რაც ბუნებრივია, სახელმწიფოს (ხელისუფლებას) საშუალებას მისცემს, სიტუაციის შესაბამისად, მის განხორციელებაში კორექტივები შეიტანოს, პრაგმატული მოსაზრებით იმოქმედოს.

ტრანსფორმაციული პროცესების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროგრამის შედგენას ხელისუფლების ყველა თაობა (გუნდი) გაურბოდა და კონკრეტულ პასუხისმგებლობას არ იღებდა, საზოგადოება კი ამ მოვლენის (რეალობის) მიმართ მიუტევებელ გულგრილობას იჩენდა. ადრე, წინააღმდეგობრივ, სწრაფად ცვალებად პირობებში, კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად გაუაზრებელი პროგრამებით (სტრატეგიით) მკვიდრდებოდა ახალი ტიპის ურთიერთობები, რომელიც უმეტესწილად ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ განვითარებული ქვეყნების მიერ განვლილი გზით (კლასიკური კაპიტალიზმის მოდელით) XXI საუკუნის პირველ ნახევარში (როცა გამოცდილი გვაქვს სხვადასხვა, ყოველთვის გარედან შემოთავაზებული დოქტრინების ავკარგიანობა), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ეს იმიტომ, რომ ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ გამოყენებული ისტორიული გამოცდილების ფონზე, სულ სხვა იდეები, მიდგომები, ტექნოლოგიები, პრინციპები, თავისებურებანი, ტენდენციები გამოჩნდა.

იური პაპასქუა: როგორი უნდა იყოს პროგრამის ამოსავალი საწყისი, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები?

ნოდარ ჭითანავა: ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გასვლისათვის მყარი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლის მომზადება ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცების განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორია.

პროგრამის უმთავრესი დანიშნულების - ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდის (განვითარების) ამოცანის გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს ქვეყნის რესურსული პოტენციალი.

პროგრამაში უნდა აისახოს მშპ რეალური ზრდის შესაძლებლობები, მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციის, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების, ინვესტიციებისა და საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების მიზნობრივად გამოყენების პოტენციალი.

იური პაპასქუა: ცხადია, ეს მარტივი და მოკლე ვადებში შესასრულებელი სამუშაო სულაც არ არის. თანაც მოითხოვს ორგანიზებულობის მაღალ დონეს.

ნოდარ ჭითანავა: სახელმწიფოს, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქცია სწორედ ეს არის. პროგრამის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს, საბაზრო სუბიექტებთან ერთად, სახელმწიფო სტრუქტურებმა (სოფელი, მუნიციპალიტეტი, მხარე, ავტონომიური რესპუბლიკა, სამინისტროები (უწყებები) და სხვა, სამეცნიერო კოლექტივებმა, არასამთავრობო სტრუქტურებმა, საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა, დაინტერესებულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მათი ფართო მონაწილეობა პროგრამას შესძენს საზოგადოების დიდი ნაწილის კოლექტიური შრომით შექმნილი დოკუმენტის, ერთიანი სტრატეგიის სტატუსს, რაც დაპირისპირებული ძალების საზოგადოებრივი კონსენსუსის მნიშვნელოვანი ელემენტია.

პროგრამაში უნდა განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის რეალური რაოდენობრივი პარამეტრები (მოცულობები, ტემპები), მათი მიღწევის ეტაპები, პოლიტიკური და ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

ეკონომიკური ზრდის დასახულ მიზანს უნდა მიესადაგოს საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების მოცემული სიტუაციისათვის მისაღები ფორმები, მეთოდები, რათა მივაღწიოთ მათ კომპლექსურ, მიზანმიმართულ გამოყენებას. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს სტრატეგიულ მიზანს დაქვემდებარებული ამოცანები: როგორი უნდა იყოს ეკონომიკის ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასწარმოქმნის მექანიზმი, საბიუჯეტო პოლიტიკა, სახელმწიფო ვალების მომსახურების სისტემა, სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი, საინვესტიციო პოლიტიკა, პროგნოზირებისა და ქვეყნის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მექანიზმი, სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მექანიზმი, რეგიონების განვითარების პრინციპები და სხვა.

პროგრამაში დაცული უნდა იყოს ქვეყნის მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე განხორციელების პრინციპი. ეს მოთხოვნა კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის დაჩქარებისა და სუვერენული სახელმწიფოს როლის მოსალოდნელი ზრდის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მსოფლიოში ნაციონალური სახელმწიფოს ფუნქციები, მომავალში მოსალოდნელი ცვლილებების შესაბამისად ექსკლუზიური ფუნქციებით შეივსება (გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება, საერთაშორისო სტრუქტურებში უფრო აქტიურად ჩართვა, მრავალმხრივი ინტეგრაციული კავშირების გაღრმავება, განვითარების ეროვნული მოდელის ადგილობრივი პირობების შესაბამისად განსაზღვრა, მართვის ტრადიციული ფორმების გათანამედროვებით დროის გამოწვევებთან ადაპტირების ღონისძიებათა დასახვა-განხორციელება).

გარღვევის სტრატეგია-მობილიზაციურ მოდელში სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ახალ ფუნქციებს შეიძენს. მისი მეშვეობით **შესაძლებელი გახდება არსებული მატერიალური რესურსების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური ფაქტორების მიზანმიმართული გამოყენება, სხვადასხვა დონეზე მათი გადანაწილება და კოორდინაცია.**

ამასთან, მიკროდონეზეც, რომელიც საბაზრო მექანიზმების გავლენის სფეროს განეკუთვნება, რეალურად შეფასდება რამდენად ადეკვატურია მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რამდენად რაციონალურია რეგულირების მექანიზმების თანაარსებობა, რამდენად ყაირათიანად გამოიყენება არსებული პოტენციალი.

ეს გარემოება მიკრო დონეზე ეკონომიკური პროცესების რეგულირებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მიკრო დონეზე სწორად გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკით უნდა მომზადდეს დოვლათის შექმნის ხელსაყრელი საწარმოო და ორგანიზაციული პირობები.

ასეთი მიდგომა განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს შესახებ დღემდე არსებულ სტერეოტიპს ეწინააღმდეგება. მით უმეტეს, იგი, შესაძლოა, ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელიც აღმოჩნდეს და მიკრო დონეზე სახელმწიფო ზეწოლის ფორმად მიიჩნიონ.

სამწუხაროდ, საქართველოში მიკრო დონე სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა. მიწის რესურსების გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა, როცა ასეულათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა არ მუშავდება, ამის თვალნათელი მაგალითია. მიკროდონეს ფაქტობრივად „ამშვენებს“ ახლად შეძენილი მენტალიტეტის სიმბოლო - საშოვარზე გადახვეწილი ოჯახის წევრის სიმწრის ოფლით ნაშოვნი ფულის გაფლანგვას შეჩვეული ფიზიკურ შრომას თაკილობენ და არც არავინ სთხოვს საკუთარ ოჯახში სარჩო რატომ არ შეაქვს. სწორედ ეს არის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის მოდუნების, წარსულისადმი ნიჰილიზმის, შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების და ათასი სხვა დაშვებული შეცდომის შედეგად თანდათანობით, ჩვენივე პასიური თუ აქტიური პოზიციით ჩამოყალიბებული რეალობა, რომელშიც **სიღარიბე (სიღატაკე) ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად ჩამოყალიბდა.**

ამ მოვლენასთან ბრძოლის სხვადასხვა დროს გამოყენებული ფორმები (ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ერთი მილიონი სამუშაო ადგილის, „საქართველო სიღარიბის გარეშე“ – „სტრატეგიები“, სიღარიბის მაჩვენებლების ხელოვნურად შემცირება და რიტორიკულ ლოზუნგებს ამოფარებული სხვა დაპირებები, საკმარისი არ აღმოჩნდა. ქვეყანაში შეიქმნა საშიში ვაკუუმი - ერთი მხრივ, „ახალი მდიდრები“ (ისინი, სამწუხაროდ, ცოტანი არიან) და მეორე მხრივ, „ახალი ღარიბები“ (სამწუხაროდ, ისინი საზოგადოების დიდი ნაწილია). ეს ორი კატეგორია - „ახალი მდიდრები“ და „ახალი ღარიბები“ აფერხებენ ქვეყნის განვითარებას. ამ დროს კი საშუალო ფენის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება.

დროა გავიგოთ: სიღარიბის დაძლევის ერთადერთი გზა გვაქვს - შევქმნათ ეფექტიანი ეკონომიკური სისტემა (ჩვენს შემთხვევაში „გარღვევის სტრატეგია-მობილიზაციური მოდელის“ მიზანიც სწორედ ეს არის).

ყოველივე ეს ამტკიცებს იმას, რომ მაკრო, რეგიონულ, მიკრო დონეზე ახალი ორგანიზაციული და ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა მოხდეს.

პროგრამაში გასათვალისწინებელია ის თავისებურებაც, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანამედროვე ეტაპს განასხვავებს სამეურნეო სუბიექტის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის დრო, როცა ბაზარი მკაცრად მონოპოლიზებულია და იქ ფეხის მოკიდება გაცილებით რთულია, ვიდრე ამას აღწევდნენ მეწარმეები კლასიკური კაპიტალიზმის პირობებში. ამ თავისებურებამ ახლებურად დააყენა სამეურნეო სუბიექტების (მიკრო დონეზე) მეწარმეობითი, სტრატეგიული და შემოქმედებითი აზროვნების კონცენტრაციის უნარის აუცილებლობა. სწორედ მისი დეფიციტი აფერხებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, რომლის ჩამოყალიბება სახელმწიფოს ექსკლუზიური ფუნქციაა.

სამწუხაროდ, ის ამ მისიას ვერ ასრულებს.

გარღვევის სტრატეგიაში უნდა აისახოს მატერიალური წარმოების სფეროში მაღალი ტემპებით ეკონომიკური ზრდის (განვითარების) უპირატესობა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის ცენტრალური ღერძი მრეწველობაზე გადის. ვხედავთ, რომ დეინდუსტრიალიზაციის პროცესი, თუ იგი არ შევაჩერეთ, ხელს შეუწყობს დეინტელექტუალიზაციის წანამძღვრების მომზადებას. დღევანდელი ეტაპის ეს თავისებურება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მრეწველობის, ენერგეტიკის განვითარებას განსაკუთრებულ აქტუალურობას ანიჭებს. სამრეწველო პოტენციალი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსურ განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკაში აგრარული მეურნეობა მუდამ იქნება მისი იერსახის სიმბოლო (არა იმდენად ეკონომიკის განვითარებაში მონაწილეობის დონით, არამედ მისი ყველა დარგისაგან გამორჩეული - ექსკლუზიური როლითა და ფუნქციებით). ამიტომ აგრარული მეურნეობის ეფექტიანი განვითარება ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უპირობო ფაქტორია, მას განსაკუთრებული მიდგომა უნდა. ჩვენ კი ბარბაროსულად ვექცევით. სამრეწველო საფუძველზე ჩამოყალიბებული დარგის მატერიალური და ორგანიზაციული ბაზა მოვშალეთ (გამწევი ცოცხალი ძალის და კავის ამარად დავტოვეთ). ინტენსიურ მიწებს არ ვამუშავებთ. მიწა გაველურდა, ძირითადად, უცხოეთიდან შემოტანილი პურით ვიკვებებით, ინვენტარიც კი შემოგვაქვს. ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფოც აგრარულ მეურნეობას განიხილავს, როგორც ბიზნესს (მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტაცია). სასოფლო-სამეურნეო წარმოება არაკონკურენტუნარიან ნატურალურ მეურნეობას ეყრდნობა. **კოოპერაცია, როგორც ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად ამოქმედების საიმედო ფორმა, ნელა ვითარდება.** ამასთან, უნდა გვსმოდეს, რომ აგრარული მეურნეობა არამარტო რთული ბუნებრივ-საწარმოო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ფენომენიცაა.

მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსული პოტენციალის თანამედროვე მეცნიერული მიდგომებით შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს მათი ეკონომიკური ზრდის პროცესში ეტაპობრივად ჩართვის ღონისძიებანი.

ამრიგად, ახალ პირობებში ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში ამოსავალი უნდა იყოს მატერიალური წარმოების სფერო. აქ შექმნილი დოვლათის ზრდა - განაპირობებს ეკონომიკის სხვა დარგების, განსაკუთრებით, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეფექტიან ფუნქციონირებას.

ახლებურ გააზრებას მოითხოვს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები.

რეგიონი (ჩვენს შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკა და მხარეები) ასრულებს „ხიდის“ ფუნქციას, თანაც ორმხრივი მოძრაობის პრინციპით - ზევიდან ქვემოთ და, პირიქით. ამასთან რეგიონი თავადაც კომპლექსია, ქვეყნის ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილში განვითარების ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობების ერთიანობაა, რომელიც არსებითად ადგილობრივ გარემო ფაქტორების გავლენით ყალიბდება. ეს თავისებურება განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას. „ცენტრი-რეგიონის“ ურთიერთობებში მთავარია მათი კომპლექსურობა (მთლიანობა), ორმხრივი ინტერესების დაბალანსებას დაეფუძნოს.

საქართველოს ეკონომიკა რეგიონულ ეკონომიკათა ერთიანი მთლიანობითი სისტემაა, რეგიონების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერებათა, სამეურნეო ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ ქვეყნის შიდა რეგიონულ მრავალფეროვნებას, როგორც განვითარების სტრატეგიულ რესურსს, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და მომავალშიც ექნება.

ქართული სოფელი (თემი), რომელსაც დღეს სტატუსიც არ აქვს, დაბა, ქალაქი, რაიონი (ახლა მუნიციპალიტეტი), მხარე, ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც მთელის (ქვეყნის) ნაწილი და თავადაც მთელი მათი შემადგენელი ნაწილების მიმართ ერთიანი გენეტიკური ფესვებით, ტრადიციებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებით, ის ნიშანსვეტია, რომელიც ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს. **სწორედ ამ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ ქართული რეგიონალიზმის ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრის ფილოსოფიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური საწყისი.**

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში ცხოვრების ბუნებრივი და საწარმოო პირობები არათანაბრადაა განაწილებული. ამიტომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების ამოცანა ისტორიულიც არის და საგანგებოც.

ადგილობრივი მმართველობა უნდა ჩამოყალიბდეს მართვის მოქმედ ინსტიტუტად, სოფელს, თემს უნდა განესაზღვროს სტატუსი, გაიმიჯნოს სახელმწიფოსა და ადგილობრივ მმართველობას შორის საკუთრება, შესაბამისად, კომპეტენციები.

დიდი რეზერვებია რეგიონთაშორისი კოოპერაციის განვითარებისათვის.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა წარიმართოს კომპლექსური პროგრამით, რომელიც წარმოადგენს ტერიტორიის განვითარების სტრატეგიას, ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზანს, სამართლებრივ ბაზას, რესურსულ პოტენციალს და სრულად გამოხატავს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ქვეყნის რეგიონები ინტენსიურად უნდა ჩაერთონ საგარეო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიული (სასაზღვრო) თავისებურებების გათვალისწინება. საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მთის რეგიონების განვითარება.

პერსპექტივაში გვმართებს მთის ფენომენის ისტორიული დანიშნულების (ფუნქციების) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სწორად გაცნობიერება.

ქვეყნის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს მსოფლიოში მიმდინარე

გლობალური ცვლილებების მიმართ ეროვნული ეკონომიკის ადაპტირების პრინციპები (როგორ გეოეკონომიკურ სივრცეში მოუწევს ფუნქციონირება), თავიდან უნდა ავიცდინოთ ახლო პერიოდში მოსალოდნელი საფრთხე, - კრიზისიდან გამოსვლის საბაბით, ამჯერადაც თავს არ მოგვახვიონ ქვეყნის რესურსული პოტენციალის უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების ხელშემწყობი გარიგებები.

საინვესტიციო პოლიტიკაში წინასწარ შედგენილი პროექტების მიხედვით (ინვესტიციების მოზიდვის სფეროების შერჩევით) განისაზღვროს სად და რა მოცულობით, როგორი წინაპირობებით და მოსალოდნელი შედეგებით დაბანდდეს ინვესტიციები, რომ შექმნილი აქტივები ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას მაქსიმალურად ხელს უწყობდეს. ყოველმხრივ წახალისებას საჭიროებს ქვეყნის მოქალაქეთა კაპიტალის ეროვნულ ეკონომიკაში განთავსების პროცესი. ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტიულ ფორმებად, როგორც ადრე აღვნიშნე, მიგვაჩნია ერთობლივი საწარმოების, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, ლიზინგის გამოყენება და სხვა. ამ კონტექსტში, მიზანშეწონილია ინგირი - გალის მონაკვეთზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის (ქართულ - აფხაზური ადმინისტრაციით) შექმნა.

ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლის გაძლიერებისა და რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შეიქმნას პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი (ან სხვა ფორმით). მას უნდა განესაზღვროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის შედგენის ფუნქცია (შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნით).

თანამედროვე პირობებში ინდიკატური დაგეგმვის უპირატესობა ისაა, რომ ეკონომიკის განვითარების დაგეგმვა ხდება „ქვევიდან“ და ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმებების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს. ამასთან, ასრულებს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას. ინდიკატური დაგეგმვის ამოცანაა მთავრობის მიმდინარე და საშუალო ვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და სტრატეგიის ჩამოყალიბება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების ძიება, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგის და სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაცია.

საქართველოში 2006 წელს კანონის „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ გაუქმებით ქვეყანაში უფრო გაღრმავდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან სახელწიფოს თანდათანობით ჩამოცილების პროცესი.

კარგად გვახსოვს, ქვეყანა ცალკეულ პირთა თუ ჯგუფთა სუბიექტური (აკვიატებული) ამბიციების ექსპერიმენტულად გამოცდის ასპარეზად როგორ იქცა (მხედველობაში მაქვს სხვადასხვა თარგზე გამოჭრილი „მოდელების“ დამკვიდრების მცდელობები).

ინდიკატიური დაგეგმვის ამოსავალი საწყისი (ორიენტირი) უნდა იყოს ბაზარი (როგორც წარმოებითი ურთიერთობის მექანიზმი) და კონკურენცია („უხილავი ხელი“), როცა ეკონომიკური პროცესის მოქმედების სივრცე განისაზღვრება „ხილული ხელის“ (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) მონაწილეობით და მათ შორის, კოორდინაციის ფუნქციები ეკონომიკური მიზანშეწონილობის (საბაზრო ლოგიკა) საფუძველზეა განაწილებული.

ი. პაპასქუა: როგორ გაქვთ წარმოდგენილი გარღვევის სტრატეგიაზე მუშაობა, ეს ხომ განვლილი პერიოდის სიღრმისეულ ანალიზს, შესაბამის დასკვნებს, პრობლემების გადაწყვეტის ვარიანტულ მიდგომებს, საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან შეთანხმებას მოითხოვს, ამასთან, რაც მთავარია, ხელისუფლება და ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი ამისთვის მზად არის ან საზოგადოება მხარს დაუჭერს? მითუმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების დღემდე ცნობილ სტრატეგიებში, რომლებიც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით დამუშავდა, ასეთი მიდგომები, განსაკუთრებით სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრაში ეკონომიკის განვითარების რაოდენობრივი პარამეტრები არ გამოყენებულა.

ნოდარ ჭითანავა: საქართველოს ეკონომიკის განვითარების სხვა გზა არა აქვს. მან 5 წელიწადში უნდა შეძლოს ეფექტიანი (დაბალანსებული) ეკონომიკური სისტემის ფორმირება. **ამისათვის წინაპირობები, ფაქტობრივად, შექმნილია. სამეწარმეო სფეროში რეგისტრირებულ საწარმოთა 99,8%, წარმოებული პროდუქციის 95,6%, ძირითადი კაპიტალის 80%-მდე არასახელმწიფო სექტორშია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 100%, სამრეწველო პროდუქციის 96%, სატრანსპორტო პროდუქციის 60%-მეტი, სამშენებლო პროდუქციის 95-%-ზე მეტი კერძო სექტორში იწარმოება. ასეა მომსახურების სფეროც.**

ამრიგად, კერძო საკუთრება ეროვნული ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი პირობა გახდა. გაძლიერდა საბაზრო მენტალიტეტი. მაგრამ ეკონომიკური სისტემა მაინც არაეფექტიანია.

იური პაპასქუა: ერთი წუთით, ბოდიში, გაგაწყვეტინებთ. საკითხის დაზუსტება მინდა.

თქვენს მიერ დამოწმებული დინამიკა ადასტურებს, რომ მიზანი მიღწეულია - ეკონომიკური ბაზისი საბაზრო ურთიერთობებს დაეფუძნა, რაც ყველაზე დიდი მონაპოვარია.

ბატონო ნოდარ, თუ ეს იყო მთავარი, მაშინ ახლა, როცა კერძო საკუთრება და საბაზრო ურთიერთობა „ჭარბად" გვაქვს, რატომ ვერ ვაღწევთ ეკონომიკის ეფექტიანობას?

ნოდარ ჭითანავა: სწორედ ამის გაცნობიერებაა აქ მთავარი.

მითები საბაზრო მექანიზმების გაფეტიშებაზე დიდი ხანია დაიმსხვრა. განვითარებულ ქვეყნებშიც ღიად საუბრობენ და ჩვენთანაც თითქმის ყველა დარწმუნდა იმაში, რომ სახელმწიფოსთან პარტნიორობის გარეშე ეკონომიკა ეფექტიანი არ იქნება. ძლიერი ეკონომიკის გარეშე პოლიტიკური სუვერენიტეტიც კი ფიქციაა. კერძო სექტორის, ბაზრის და სახელმწიფოს თანაარსებობა, პარტნიორული თანამშრომლობა, ინტერესთა თანხვედრა არის ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირების გარანტი. **აი, მთავარი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენივე რეალობიდან.**

დღეს საქართველოს სამი სტრატეგიული რესურსი აქვს: **მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები; გეოეკონომიკური უპირატესობა; ინტელექტუალური პოტენციალი.** ამ რესურსების კომპლექსურად გამოყენების გარეშე, წინსვლა წარმოუდგენელია.

ამრიგად, თანამედროვე საბაზრო და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების გონივრულ შეხამებაშია გამოსავალი. სწორედ ეს მიგვაჩნია გარღვევის სტრატეგიის - მობილიზაციური მოდელის განხორციელების განმსაზღვრელ პირობად.

იური პაპასქუა: როგორ წარმოგიდგენიათ პროგრამის ფორმირების ორგანიზაცია?

ნოდარ ჭითანავა: პროგრამის შედგენა უნდა დაიწყოს ქვემოდან (მიკროდონიდან) მუნიციპალიტეტების, მხარეების, სამინისტროების დონეზე უნდა განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის როგორი შესაძლებლობა არსებობს, სახელმწიფოსგან რაა აუცილებელი მისი ამოქმედებისთვის, რა დახმარებაა საჭირო? ამ მონაცემების საფუძველზე მაკროდონეზე სახელმწიფო, რეგიონული და საბაზრო სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით უნდა შედგეს პროგრამის პროექტი.

მიზანშეწონილია პროგრამის შედგენის კოორდინაცია განახორციელოს პრემიერთან არსებულმა ანტიკრიზისულმა საბჭომ. აქვე გავიმეორებ ადრე ნათქვამს, პრემიერთან უნდა შეიქნას ანალიტიკური ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების კომპლექსურ ანალიზს, მოამზადებს შესაბამის პროგნოზებსა და რეკომენდაციებს.

ამრიგად, პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ეტაპობრივი ჩამორჩენის შედარებით მოკლე დროში დაძლევას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების დანერგვას, საბაზრო მექანიზმების სრულყოფას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების რეჟიმში გადაყვანის საფუძვლების მომზადებას, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამით მომზადდება საზოგადოებაში სოციალური თანხმობის (კონსენსუსის) საფუძვლები, რაც შემდგომში მოგვცემს საშუალებას სწორად განვსაზღვროთ როგორი უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული ეროვნული ეკონომიკის მოდელი, რომელიც დაეფუძნება სახელმწიფოს, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების ერთიანობას და გლობალურ პროცესებთან ადაპტირების პრინციპებს.

იური პაპასქუა: მადლობა ბატონო ნოდარ. ჩვენ კორონა ვირუსით შექმნილ გამოწვეულ გლობალურ გამოწვევებსა და საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან დღემდე განვლილი პერიოდის შეფასებაზე ერთგვარი შემაჯამებელი, ამასთან, პოსტკრიზისული ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალურ წახნაგებზე ვრცელი საუბარი გამოგვივიდა. იმედი მაქვს, თქვენს მოსაზრებებსა და წინადადებებს განიხილავენ და გამოხმაურებებიც ადეკვატური იქნება.

საუბარს უძღვებოდა

იური პაპასქუა

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი

შენარჩუნებული სტატუს ქვო და ღიად დარჩენილი გამოწვევები

ანოტაცია

პროფესორ **მიხეილ ჯიბუტის** და პროფესორ **იური პაპასქუას** წერილებს აერთიანებს საქართველოს მთავრობის მიერ საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის შემუშავებაზე დაკისრებული დავალების შეუსრულებლობასა და 2020 წლის 27 თებერვალს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებზე საერთო დამოკიდებულება. მათში ასახულია აღნიშნულ აქტებთან დაკავშირებული სამოხელეო დარღვევები, ინტერესთა ჯგუფის ფარული მიზნები, ასევე, პროფესიულ საქმიანობაზე ნეგატიურად მოქმედ სხვა გარემოებები.

არგუმენტებმა და პრობლემურ საკითხთა წრემ, სწორად დანახულმა რაკურსმა, ანალიზმა და მოსაზრებებმა, რომლებიც წერილების ავტორებმა გაასაჯაროვეს, საზოგადოების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო. მწვავე ოპონირების შედეგად, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უარი უთხრა კანონპროექტების ინიციატორს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გაუქმებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკში მისი ფუნქციების გადატანაზე. შედეგად, შენარჩუნდა ზედამხედველობის სამსახურის **status quo** და მიუხედავად იმისა, რომ არაა გადაწყვეტილი საშემფასებლო საქმიანობაზე კანონპროექტის მომზადების საკითხი, ღიადაა დარჩენილი პროფესიის წინაშე არსებული გამოწვევები, გამოჩნდა მათი გადაწყვეტის პერსპექტივა.

რადგანაც წერილები იწერებოდა პროცესების განვითარების პარალელურად, საკითხით დაინტერესებული ჟურნალის მკითხველთა ფართო წრისთვის, მთლიანი სურათის აღსაქმელად, კომფორტულია მათი თავმოყრილად წარმოდგენა, მით უფრო წარილებში გამოკვეთილი პრობლემები სცილდება ვიწრო პროფესიულ ჩარჩოებს და მათში ბევრი სხვა საყურადღებო, **ბაზრის მარეგულირებელ მექანიზმში მართვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ენერგიული ჩართვის და „ლობისტური ფარისევლობისგან“ განრიდების პროცესში საზოგადოების გააქტიურების აუცილებლობა იკითხება.**

საკვანძო სიტყვები: საშემფასებლო საქმიანობა; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური; საქართველოს ეროვნული ბანკი; დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო.

MAINTAINED STATUS QUO AND OPEN CHALLENGES

ANNOTATION

The letters of Prof. Mikheil Djibouti and Prof. Yuri Papaskua share an identical approach with respect to the non-fulfillment by the Government of Georgia of the task to elaborate a legislative act on valuation activities and to the draft law on amending the Organic Law of Georgia on the National Bank of Georgia on February 27, 2020. They reflect the official violations related to the mentioned acts, the hidden goals of the interest groups, as well as other circumstances that negatively affect the professional activity.

The arguments and the circle of problematic issues, the well-seen perspective, the analysis and the opinions made public by the authors of the letters, attracted the attention of the representatives of wider puclic, the legislative and the executive bodies. As a result of fierce opposition, the Finance and Budget Committee of the Parliament of Georgia refused the initiator of the bill to abolish the functioning of the accounting, reporting and audit supervision service within the system of the Ministry of Finance and the transfer of its functions to the National Bank of Georgia. As a result, the status guo of the Supervision Service was maintained, and although the issue of drafting a bill on assessment activities has not been resolved, the challenges facing the profession remain open, the prospect of resolving them has emerged.

As the letters were being written in parallel with the development of the process, for a wide range of readers interested in the issue, to get the whole picture, it is convenient to present them in a group, particularly since the problems presented in the letters are beyond the narrow professional framework and there are many important issues addressed such as the need for active injection of the stateminded management in the market regulatory mechanism and mobilizing the public in the process of marginalizing the lobbyist hypocrites.

Keywords: evaluation activities; Accounting, Reporting and Auditing Supervision Service; National Bank of Georgia; Independent national regulatory body.

გიორგი გახარია მემკვიდრეობით მიღებული კანონდარღვევით წავა?

მიხეილ ჯიბუტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1. შემფასებლობითი საქმიანობა საქართველოში სრულფასოვნად კანონმდებლობით ჯერ კიდევ არაა დარეგულირებული.

2. 2016 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ დაევალა საქართველოს მთავრობას 2017 წლის 31 დეკემბრამდე საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის შემუშავება.

3. საქართველოს მთავრობის მიერ კანონის შესრულების ვადა გადაწეულ იქნა ჯერ 2018 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შემდეგ 2019 წლის 1 ივლისამდე.

4. 2019 წლის 1 ივლისისათვის არც კანონპროექტი არ წარმოუდგენია მთავრობას და არც დავალების შესრულების ვადა არ გაუგრძელებია.

5. ის რომ კანონპროექტი მზად უნდა ყოფილიყო 2017 წლის 31 დეკემბრამდე და დღესაც არაა წარმოდგენილი ვადის არაერთგზის გადაწევის გამო, მიუთითებს მმართველობის დიდ ნაკლოვანებაზე, მაგრამ ის რომ ბოლო „განვადებით“ კანონპროექტი 2019 წლის 1 ივლისამდე უნდა ყოფილიყო მზად და არა თუ წარმოდგენილი არაა, არამედ წარმოდგენის ვადის გაგრძელებაც კი არ უცდია მთავრობას, მიუთითებს სახელმწიფო მანქანის უწესრიგობის ფაქტზე - მთავრობა არ ასრულებს არა მარტო კანონის მოთხოვნას, არამედ თავის თავს აყენებს კანონზე ზევით, ანუ ღალატობს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს - კანონის უზენაესობის პრინციპს!

6. კანონდარღვევის ფაქტი სახეზეა და მისი გამოსწორება არ მომხდარა დღემდე, რაც საქართველოს მთავრობის რეპუტაციასა და რაც მთავარია, ახალი კანონის ამოქმედების შედეგად მოსახლეობის მიერ სიკეთის მიღების მიზნებს, აზარალებს. შემფასებლობითი საქმიანობის მოუწესრიგებლობა ძალიან ძვირი უჯდება ქვეყანასა და ხალხს: უამრავი ფინანსური და ადამიანური ისტორიას უფრო კეთილი დასასრული ექნებოდა იქ სადაც გირავნობის, პრივატიზების, მიწისა და უძრავი ქონების, შესყიდვების, გადასახადების, ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევის და სხვა მრავალი აქტივობებია. წარმოუდგენლად საჭირო იქნება გამართული შემფასებლობითი სისტემა უახლოეს პოსტკრიზისულ მომავალში ეკონომიკური სუბიექტების ზარალის შესაფასებლად.

7. სახელმწიფო მმართველობითი სისტემის კანონმდებლობით პასუხისმგებელმა ვერც ერთმა ინსტიტუტმა და მექანიზმმა ვერ შეძლო არსებული კანონდარღვევის პრევენცია ადრეული გაფრთხილების ან დარღვევის დროული აღმოჩენის სისტემით, დარღვევა ვერ შენიშნა ვერც შიგა და ვერც გარე მაკონტროლებელმა და საზედამხედველო ინსტიტუტებმა, დარღვევა არ დაფიქსირებულა კანონმდებლობის შემუშავება - აღსრულების პროცესში ჩართული ათეულობით სტრუქტურისა და ასეულობით სახელმწიფო - საჯარო მოხელის მიერ. შედეგად, საქართველოს მთავრობა ვერ გამოვიდა და რჩება კანონის უზენაესობის უარმყოფელ ინსტიტუტად.

8. 2016 წლიდან, კანონის შეუსრულებლობამ და ვადის გაგრძელებამ გაიარა ორი პრეზიდენტის - გ. მარგველაშვილი, ს. ზურაბიშვილი, სამი პრემიერის - გ. კვირიკაშვილი, მ. ბახტაძის, გ. გახარიას, ორი მოწვევის პარლამენტის სამი თავმჯდომარის - დ.უსუფაშვილი. ი. კობახიძე, ა. თალაკვაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეების - დ. ონოფრიშვილის, თ. მეჭიაურის, ი. კოვზანაძის, დარგობლივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეების - ზ. ტყემალაძის, რ. კაკულიას, საქართველოს ფინანსთა მინისტრების - ნ. ხადურის, დ. ქუმსიშვილის, მ. ბახტაძის, ნ. გაგუას (მ.შ.), ი. მაჭავარიანის ხელში (მათი აპარატების ჩათვლით) და არც ერთ მათ დაქვემდებარებულ ინსტიტუტს არ დაუსვამს კითხვა რატომ არ სრულდება კანონი? ხოლო 2019 წლის 1 ივნისი, როგორც კანონის პარამეტრული დარღვევის დღე, არც ერთ მოქმედ ინსტიტუტს არ დაუფიქსირებია თავის რადარზე.

9. პერსონალური პასუხისმგებლობა 2019 წლის 1 ივნისიდან მთავრობის მიერ კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევისათვის, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციით, მთავრობის მეთაური პრემიერ - მინისტრია, წარმოეშვა ჯერ, იმ დროისათვის პრემიერ - მინისტრს მამუკა ბახტაძეს, ხოლო მისი გადადგომის შემდეგ, კანონდარღვევის განგრძობადობისა და მმართველობაში მემკვიდრეობითობის პრინციპიდან გამომდინარე. მთავრობის მოქმედ მეთაურს - გიორგი გახარიას.

10. პრემიერ-მინისტრი გ. გახარია დანიშვნისთანავე გახდა მთავრობის იმ თვისებებსა და მდგომარეობაზე პასუხისმგებელი, რაც მემკვიდრეობით მიიღო. რატომ ვერ შეძლო ამ მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება? კონკრეტულ შემთხვევაში თუნდაც ფორმალურად - კა-

ნონის დავალების ვადის გადაწევით? ან მაშინ, როდესაც 2019 წლის 26 ნოემბერს, მისი ხელდასმით, იმავე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში და იმავე მუხლში, სადაც ეს ვადაა მითითებული, მოხდა სხვა შემთხვევისათვის ვადის გადაწევა?

11. კანონდარღვევის პრევენცია ვერ მოახდინა საქართველოს მთავრობის აპარატმა და უშუალოდ კანონშემოქმედებაზე ზედამხედველმა საპარლამენტო მდივნებმა. კანონპროექტის წარმოუდგენლობის ფაქტი ვერ შენიშნა და ვერც გამოასწორა მთავრობის აპარატის ვერც ყოფილმა და ვერც მოქმედმა უფროსებმა (შალვა თადუმაძე, გიორგი ჭოლაძე, ნათია მეზვრიშვილი) და საპარლამენტო მდივნებმა (ნათია მიქელაძე, ბექა დოჭვირი).

12. კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ვერ შეასრულა ვერც საქართველოს პარლამენტმა და პირველ რიგში პროფილურმა - დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა (თავმჯდომარე რომან კაკულია). უარყოფითი როლი შეასრულეს იურიდიული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის არაფლისმთქმელმა დასკვნებმა.

13. მთავრობა ამ სიტუაციაში აღმოჩნდა აღნიშნული გულგრილობის კონტექსტის ხელშეწყობით, რამაც საშუალება მისცა, რომ კანონპროექტის უშუალო შემსრულებელს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებულ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას არ შეესრულებინა მასზე დაკისრებული ფუნქცია, რამაც ჯაჭვური რეაქციით გამოიწვია მთავრობის მიერ კანონდარღვევა.

14. ფაქტობრივად შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ კანონპროექტის მთავრობაში ინიცირების შეუსრულებლობის საერთო მიზნით, შემთხვევით გაერთიანებული ჯგუფი - „შეთქმულთა კლასტერი“: ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სამსახურის უფროსი იური დოლიძე და საბჭოს თავმჯდომარე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა.

15. აღნიშნული კლასტერის გენეზისი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიღების დროიდან მოდის და დაკავშირებულია ამ კანონში, კანონის საგნიდან გარეთ მდგომი შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ ჩანაწერებთან და ამ ჩანაწერებში ჩადებულ ჩანაფიქრში. ამ ჩანაწერებით შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს შემფასებლობითი და აუდიტორული საქმიანობა აღრეულია ერთმანეთში და მომავალში საჭიროა მათი გამიჯვნა. თუ ამ კანონში არ იქნებოდა შემფასებლობასთან დაკავშირებული ჩანაწერები, მაშინ ხომ აუდიტორებთან მათი გამიჯვნა ნორმატიულად იქნებოდა დადგენილი. ეს ჩანაფიქრი იყო შემფასებლობითი საქმიანობის მმართველობითი „შთანთქმის“ იდეა. აქედან მოდის კანონში მოცემული ფორმულა „აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით“ „საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის“ შექმნაზე.

16. შემფასებლობითი საქმიანობის „მოთვინიერების“ საჭირო კანონის საჭირო დროს მიღების გეგმისათვის მომენტი არ დადგა საშემფასებლო საქმიანობის კანონპროექტის მიღების პირველი ვადისათვის. ამ მიზნის განხორციელება ვერ მოესწრო ვერც ერთი შემდგომი გადავადების ფარგლებში და ვერ ჩაეტია ის ბოლო დადგენილ ვადაში - 2019 წლის 1 ივლისამდე.

17. თავდაპირველად კანონში შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ ნორმები, როგორც აღინიშნა, იმიტომ მოხვდა, რომ ყოფილიყო შემფასებლობითი საქმიანობის მომავალის გადაწყვეტა „შებოჭილი“ მანამ, სანამ არ დადგებოდა საუკეთესო მომენტი ამ საქმიანობის ინსტიტუციური შეთავსებისათვის.

18. 2019 წლის 1 ივლისამდე შექმნილი სიტუაცია, უფრო სამსახურის შიდა პრობლემების გამო, არ იყო სასურველი („ბუღალტრებს“ კი წაართვეს „აუდიტი“, მაგრამ ეხლა აუდიტორების რაოდენობის „ოპტიმიზაცია“ და „სეგრეგაცია“, მათთვის გარანტირებული ბაზრის შექმნის პროცესი არ იყო დამთავრებული), მაგრამ განვითარდა ისეთი პროცესები (მათ შორის საქართველოს პარლამენტში შეტანილ იქნა კერძო საკანონმდებლო ინიციატივით კანონპროექტი „შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ“, რომელშიც რეალურად იყო გამიჯნული აუდიტორული და შემფასებლობითი საქმიანობა, მათ შორის სახელმწიფო ზედამხედველობის ვერტიკალში), რომელმაც აიძულა „საშემფასებლო საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა დაეწყო მის უშუალო ავტორს - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურს (ხელმძღვანელი ი. დოლიძე).

19. კანონპროექტის ავტორის პოზიციაში, რომ შემფასებლობითი საქმიანობის ზედამხედველობას უნდა განეხორციელებია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, გაიშიფრა შემფასებლობითი საქმიანობის „შთანთქმის“ ზემოთაღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელების დაკანონების მცდელობა. ამასთან, ასეთი ნორმა აშკარად ეწინააღმდეგებოდა კანონით განსაზღვრულ დავალებას აუდიტორული და საშემფასებლო საქმიანობისა და პროფესიების გამიჯვნის შესახებ.

20. დებატები, მისი მონაწილეთა ხელოვნური შეზღუდვის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო სკანდალურ ხასიათს იძენდა, განსაკუთრებით ოპონენტთა სწორი, სამართლიანი და მოქნილი პოზიციის გამო: აუდიტორული და შემფასებლობითი საქმიანობის ნორმატიული გამიჯვნა უნდა შეიცავდეს მათი სახელმწიფო ზედამხედველობის გამიჯვნასაც. ამისათვის კი უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო შემფასებლობითი საქმიანობის ზედამხედველობის სამსახური, ან უკიდურეს შემთხვევაში ,მოხდეს მისი სრულფასოვანი, ავტონომიურობის შემანარჩუნებელი გაერთიანება არსებულ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურში“, ამ უკანასკნელის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტისა და შეფასების სამსახურად“ რეორგანიზაციის გზით. ასეთი პოზიციის წინააღმდეგ კანონპროექტის ავტორებს კონტრაგუმენტები არ გააჩნდათ.

21. ალტერნატიული იდეის ნებისმიერი სახით განხორციელება კი ნიშნავდა შემფასებლობითი საქმიანობის „შთანთქმის“ გეგმის ჩაშლას, ამასთან თუ მოხდებოდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტისა და შეფასების სამსახურად“ რეორგანიზაცია ეს დამატებით გამოიწვევდა სამსახურის კადრებით ხელახალ დაკომპლექტებას, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა სამსახურში ჩამოყალიბებული „გუნდის“ უცვლელობას და ეს მაშინ, როდესაც სამსახურს ურთულესი 2020 წელი ელოდა, ურთულესი გადასაჭრელი პრობლემებითა და წინააღმდეგობებით, სადაც „გუნდის“ უცვლელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

22. კანონპროექტის საკანონმდებლო მსვლელობის შემთხვევაში უდიდესი ალბათობით ალტერნატიული ორი წინადადებებიდან გავიდოდა რომელიმე ერთი.

მოვლენების ასეთმა პერსპექტივამ, კანონპროექტის ავტორებს, რომლებიც დადგნენ რა დილემის წინაშე - შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ კანონს მიღებით ან შემფასებლების „გათავისუფლება“ ან/და საკადრო ცვლილებები, ეტყობა ახალი გეგმისაკენ უბიძგა: შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ ახალი კანონის მიღების პედალირება და სტატუს ქვოს შენარჩუნება.

23. შედეგით, რომ კანონპროექტი დღემდე არაა წარდგენილი არც მთავრობაში და არც პარლამენტში ოფიციალურად, ადასტურებს კანონის ნორმის დარღვევის, როგორც დამცავი და დროის გაყვანის მექანიზმის გამოყენებას, მით უმეტეს რომ ასეთ დარღვევაზე უშუალო პასუხისმგებელი მთავრობა და პრემიერ-მინისტრია. ამ გადაწყეტილებაში გათვალისწინებულია პოლიტიკური რთული კონიუნქტურა და დარღვევისათვის განგაშის მექანიზმის სისუსტეები. კანონში ვადის გადაუწევლობით კანონდარღვევებში ჩანს, თითქოს პირველადი იყოს გულგრილობა და უპასუხისმგებლობა, ხოლო მეორადი ეგოიზმი და კერძო ინტერესები, როდესაც ყველაფერი შებრუნებითაა და პირველია მეორესაგან ნაწარმოები.

ეს იყო პრემიერ - მინისტრის დარტყმის ქვეშ დაყენების გადაწყვეტილება.

24. აღწერილი ამბავი გამოხატავს სახელმწიფო მმართველობითი სისტემის სისუსტეს, როდესაც ერთმა ან/და რამდენიმე პიროვნებამ მმართველობის ქვედა დონეებიდან მოახერხა კანონმდებლობის განვითარების წლებით შეფერხება, ხოლო მისი ამ საქმიანობის აღკვეთა ვერ შეძლო ვერც ინსტიტუტებმა და ვერც პირველმა პირებმა. სწორედ ასეთი შესაძლებლობის გამომრიცხველი ინსტიტუციური რეფორმების განუხორციელებლობა არის მთავარი საყვედური მთავრობის მეთაურისა და მმართველი პარტიის თავმჯდომარისათვის. აღნიშნულის მსგავს საქმის გამფუჭებლობის ავტომატურ ამოგდებას უნდა ახდენდეს სისტემა.

25. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სისტემამ ვერ მოახერხა ვერც კანონდარღვევის პრევენცია, ვერც მისი გამოსწორება. მან ვერ შეძლო წინ დადგომოდა მმართველობითი იერარქიის ქვედა დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს აჩვენებს სად ფუჭდება საქმე, რომ უწესრიგობით ყველაზე ღრმა დონეებია გამსჭვალული და პოლიტიკური თანამდებობის პირები ხშირად თავისი (როგორც წესი მოკლე) კარიერის მანძილზე ამ დონეებზე საკითხების გარკვევასა და ჩაღრმავებას ვერ ახერხებენ. მმართველობის ეს ქვედა დონეები ახერხებენ ზედა დონეებისაგან ავტონომიურად საკითხების გადაწყვეტას, ამისათვის სარგებლობენ პოლიტიკოსების არაინფორმირებულობითა და რუტინაში ჩართულობით. ან, თუ არსებობს საფრთხე, რომ მათი ჩანაფიქრი გადაწყვეტილების პროექტის „შეცურებით“ არ გამოვა ამა თუ იმ ხელმძღვანელთან, ელოდებიან მომენტს - პოლიტიკურ დაძაბულობას, არჩევნებს და ა.შ. როდესაც პოლიტიკოსთა აზრი და გონება სხვა საკითხებითაა დაკავებული და მაშინ ახდენენ გადაწყვეტილების პროექტის ინიცირებას. იშვიათად, მაგრამ ასეთი ინიცირებით საკანონმდებლო გადაწყვეტილებებიც მიიღება. იგივე თვისების კონტექსტი აქვს გ.გახარიასადმი ფინანსთა სამინისტროს „შეთქმულთა კლასტერის“ (ვ. მაჭავარიანი, ი. დოლიძე, ნ. გაგუა) ობსტრუქციას. შეძლებს გ.გახარია მის დაძლევას?

26. შეძლებს მაშინ, თუ არ დაელოდება მმართველობის სისტემის მიერ საკითხის გადაწყვეტას და გადავა ხელით მართვის რეჟიმზე, თანაც, თუ ექნება ამისათვის, პრემიერ - მინისტრის რანგში, ფუნქციონირების დრო. „შეთქმულთა“ გათვლა სწორედ ამ დროის ნაკლებობასა და ცაიტნოტზეა გათვლილი.

27. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღდგეს მთავრობისა და გ.გახარიასათვის მიყენებული რეპუტაციული ზიანი და გაჩნდეს წესრიდის დამყარების იმედი, თუ:

27.1. საქართველოს მთავრობის მიერ სასწრაფოდ იქნება უზრუნველყოფილი „შემფასებლობითი საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენა და უკვე საგაზაფხულო სესიაზე მის მიღება;

27.2. სამსახურეობრივი მოკვლევით დადგინდება, მთავრობის აპარატში, საპარლამენტო მდივანთან თუ რატომ არ მოხდა კანონის დავალების შესრულების ავტომატურ რეჟიმში კონტროლი, რომელმა რგოლმა და ვინ დაუშვა გადაცდომა /შეცდომა/ სამსახურეობრივი გულგრილობა კონკრეტულ შემთხვევაში და მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობის აპარატის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე;

27.3. სამსახურებრივი მოკვლევით დადგინდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს მთავრობაში კანონპროექტის ინიცირების განუხორციელებლობის ობიექტური მიზეზები, თუ სუბიექტური მოტივები და მიღებულ იქნება მოკვლევის შედეგების ადექვატური გადაწყვეტილებები.

27.4. სამსახურეობრივი მოკვლევით დადგინდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისს - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში კანონპროექტის წლების განმავლობაში მოუმზადებლობის და ბოლო წლებში კი მომზადებული კანონპროექტის შემდგომი მსვლელობის შეფერხების მოტივები, მიზეზები და განხორცელდება დასკვნის შესაბამისი ღონისძიებები.

28. თუ ამას ვერ შეძლებს გ. გახარია, მაშინ კვლავ ისე მოხდება, როგორც აქამდე არაერთხელ: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, ანუ გახარიები წავლენ, დოლიძეები დარჩებიან!

მთავრობის მიერ ეროვნული ბანკის მცოცავი ოკუპაცია, თუ ფინანსიზაცია?

ღია წერილი საქართველოს პრემიერ - მინისტრს გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, იძულებული ვარ მოგმართოთ ღია წერილის ფორმით.

1. 2020 წლის 27 თებერვალს საქართველოს მთავრობის სხდომაზე დღის წესრიგის მეორე საკითხად განიხილეს: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები“ (საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში არ იყო ნახსენები, რომ ცვლილება შედიოდა ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში, რის გამოც ეს ცვლილებები აღმოჩნდა სრული სიურპრიზი პროფესიული წრეებისათვის). მომხსენებელი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი.

2. 2020 წლის 11 მარტის N9495 წერილით, საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონის პროექტები, მათ შორის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

3. საკანონმდებლო ცვლილებების **მთავარი იდეად წარმოდგენილია ის**, რომ „**...რეორგანიზებულ იქნეს** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი **სახელმწიფო საქვეუწყებო** დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური და **შეუერთდეს** საქართველოს ეროვნულ ბანკს“ და საქართველოს ეროვნული ბანკი გახდეს დღეისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის **სამსახურის სამართალმემკვიდრე** (საქართველოს კანონპროექტი - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“).

4. საქართველოს მთავრობამ მოიწონა ფინანსთა სამინისტროს ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა და შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებით შევიდა საქართველოს პარლამენტში ისე, რომ:

4.1. დაირღვა კანონშემოქმედების საჯაროობა:

- აღნიშნულ კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებას, ექსპერტს, სამუშაო ჯგუფს;

- აღნიშნულ კანონპროექტებთან დაკავშირებით არ არსებობდა არც ერთი ორგანიზაციის/დაწესებულებების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება;

- მთავრობას საკითხის გადაწყვეტისას, არ ჰქონდა სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას;

- არ მომხდარა მისი განხილვა პროფესიული ორგანიზაციებში, პროფილურ სამეცნიერო და აკადემიურ ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში, აუდიტურ ფირმებში, ასოციაციებში;

4.2. დაირღვა საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნები:

- არ დაიცვა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, რომელიც ითვალისწინებს მხარეებმა ბუღალტერიისა და აუდიტის „სფეროებში ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და პროფესიული გამოცდილება“ და გამართონ „რეგულარული დიალოგი“;

- განმარტებითი ბარათიდან არ ჩანს მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმირება კანონპროექტის შესაფასებლად.

4.3. დაირღვა ურთიერთობის სტანდარტი და ეთიკის პრინციპები აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის:

- დემონსტრაციულად იგნორირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობა ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში ცვლილებების, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის მომზადების, ისე საქართველოს მთავრობის მიერ კანონპროექტის განხილვის დროს.

4.4. დაირღვა კონსტიტუცია და კანონმდებლობის სხვა ნორმები, კერძოდ:

- საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა, რომ „ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით“, დარღვეულია და საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ნორმები სპეციალური „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონითაა დადგენილი, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას, გააგრძელებს ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ ტენდენციას და კიდევ უფრო გაზრდის მის ფინანსიზაციას. რაც საბოლოო ჯამში დააზიანებს ეროვნული ბანკის საკრედიტო შინაარს:

- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“საქართვე-

ლოს კანონის მიხედვით „საქვეუწყებო დაწესებულება“ „იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს“. შესაბამისად, კანონი არ იცნობს ინიცირებულ კანონპროექტში მოცემულ - „საქვეუწყებო დაწესებულების“, „რეორგანიზაციის“ და „შეერთების“ წესს, მით უმეტეს სამთავრობო სტრუქტურის გარეთ და მისი ფუნქციების ეროვნული ბანკის ფუნქციებთან შეერთება - გათანაბრებას.

- კანონპროექტებზე არაა წარმოდგენილი „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისი განმარტებითი ბარათები, სადაც შეფასებულ იქნებოდა თუ რა გახდა კანონპროექტის მიღების მიზეზი, რა პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად კანონპროექტი და რატომაა ამისათვის მისი მიღება აუცილებელი, როგორია კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები.

- კანონპროექტის ავტორების მიერ მოტანილია რამოდენიმე მანიპულირებული ფაქტი ეროვნულ ბანკისადმი დაქვემდებარების არგუმენტად, რაც, ბუნებრივია, მტკიცებულებად ვერ გამოდგება, ქვეყნის მმართველობითი სისტემის კონტექსისა და ავტორების მიერ უარყოფილი კვლევების გარეშე. ავტორების ეს არგუმენტები იმას ადასტურებენ, რომ მათი ინტერესი სამსახურის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება კი არა, არამედ „ახალი პატრონის“ ძიებაა.

- არსად ჩანს რეალური მმართველობითი სისტემაში ამ ცვლილების კონტექსტი - მიზანი თუ რისთვის ახდენ ცვლილებებს და რა შედეგებზეა ეს ყველაფერი ორიენტირებული.

- კანონპროექტის ავტორების აღიარებით, მათ კანონპროექტის შემუშავებისას მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლაზე აქცენტი არ გაკეთებულა.

4.5. წინააღმდეგობაშია ევროდირექტივებთან:

- კანონპროექტის მიხედვით, ეროვნული ბანკისათვის აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობა ეწინააღმდეგება მარეგულირებელი ინსტიტუტის ინტერესთა კონფლიქტისაგან თავისუფლების შესახებ ევროდირექტივის მოთხოვნას, რამეთუ თვითონ ეროვნული ბანკი არის აუდიტორული შემოწმების სუბიექტი:

- აღნიშნული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე პროფესიონალი ბუღალტრის (აუდიტის) ეთიკის კოდექსის ფუნდამენტალური პრინციპების დარღვევაა.

4.6. უარყოფილია ფინანსებისა და კრედიტის დაყოფის ფუნდამენტური პრინციპი:

- საქართველოს ეროვნული ბანკი არაა ფინანსური დაწესებულება და არ შეიძლება იყოს ბუღალტერიისა და აუდიტის პოლიტიკის განმსაზღვრელი და ზედამხედველი ინსტიტუტი მისი არსის საქართველოს კონსტიტუციური შინაარსიდან გამომდინარე. კონსტიტუციის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სებ-ი ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას, რაც არ ნიშნავს ბიზნესსუბიექტების ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტების შექმნას, ასს - სტანდარტების გამოყენებაზე კონტროლისა და მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელებას.

4.7. არაა გამოყენებული კანონმდებლობაში მოცემული მექანიზმები უკეთესი კანონპროექტის შესაქმნელად:

- მთავრობამ 2020 წლის 17 იანვარს N35 დადგენილებით დამტკიცებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად არ მოსთხოვა კანონპროექტების ინიციატორს - ფინანსთა სამინისტროს რეგულირების ზეგავლენის შეფასება დადგენილი წესით, რაც მთავრობას მისცემდა საშუალებას გათვითცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად;

- არ მოახდინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობისა და გამოცდილების ანალიზი, არ დაადგინა შუა სამეურნეო წელს კანონპროექტის დაჩქარებულად მიღების (კანონპროექტის მიხედვით უნდა ამოქმედებულიყო

2020 წლის 1 მაისიდან) მიზეზები, რამაც გამოიწვია ინფორმაციულ ვაკუუმში გადაწყვეტილების მიღება.

4.8. არ გამოიჩინა მმართველობითი სიფხიზლე და დაკვირვებულობა:

- მთავრობას „გამორჩა" მხედველობიდან პიროვნული ტრანსფორმაციის ის ფაქტი, რომ 2016 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის დღევანდელი სახით მიღებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის შექმნაში მონაწილე ადამიანები, წარმოადგენენ ძირითად ბირთვს იმ ჯგუფისა, რომლებიც დღეს, თანაც უცვლელი თანამდებობრივი პოზიციებით. გამოვიდნენ მათ მიერ 4 წლის წინ მხარდაჭერილი ამ კანონის ძირეული ცვლილებისა და აღნიშნული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გაუქმების ინიციატივით (ნიკოლოზ გაგუა, იური დოლიძე, გიორგი კაკაურიძე), ეს პირები, მთავრობის მიერ, დანიშნულია (ივანე მაჭავარიანთან და ლაშა ხუციშვილთან ერთად) აღნიშნულ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად!

4.9. უგულვებელყო არა მარტო თეორია, კანონით საქართველოში აღიარებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის ფუნდამენტური პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა, არამედ ჯანსაღი აზრიც:

- მთავრობამ მიიღო გადაწყეტილება ტექტონიკურ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისე, რომ ინიციატორებისაგან დოკუმენტურად არ უნახავს არც ერთი, არა თუ არგუმენტირებული, დასაბუთებული, არამედ უბრალოდ მოსაზრებაც კი, თუ რატომაა გაუსაძლისი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციონირება, რა გაფუჭდა მისი ასეთი სახით არსებობის 4 წლის მანძილზე, რა ზიანი მიადგა ამით სახელმწიფოს და თუ თავიდან ასეთი მდგომარეობა იყო, რატომ გახდა მისი გაუქმება უსწრაფესი აუცილებლობა ახლა და რის გამოსწორებასა ან რა შედეგებს უნდა ველოდოთ და რატომ?

5. სრულიად გაგებარია, რას ეფუძნებოდა მთავრობა ამ საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილების მიღებისას.

თუ 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური ავად თუ კარგად ფუნქციონირებდა ფინანსთა სამინისტროში, რა იცვლება ყველა საკანონმდებლო ნორმის შენარჩუნებითა (უფრო სწორად - შეკვეცით: შეკვეცილია ისეთი დადებითი საკანონმდებლო ნორმა, როგორიცაა დავების განხილვის ორგანო, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ჩანაფიქრი კანონპროექტის ინიციატორთა მხრიდან!) და სხვა ინსტიტუტში **პორტირებით**?! რა იყო ცუდი და რა და რატომ გახდება უკეთესი?

6. კანონპროექტები საზოგადო მიზნით არაა შექმნილი კანონპროექტის ინიციატორთა ზრუნვა საქმესა და პროფესიაზე რომ ყოფილიყო, მაშინ საკითხი უნდა დასმულიყო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებელ მარეგულირებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბების შესახებ, როგორც ეს მიღებულია ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 23 ქვეყანაში!

ეს რომ ასე არაა არცაა გასაკვირი, რადგანაც კანონპროექტები, როგორც განმარტებითი ბარათებით დასტურდება, „ენდემურად" ფინანსთა სამინისტროს, უფრო სწორად, „შეთქმულთა კლასტერის" ინიციატივაა, რომლისგანაც თქვენთვის პირადად და საქართველოს მთავრობისათვის მთლიანად, რეპუტაციული ზიანის მიყენება საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია (http://iverioni.com.ge/16780-mikheil-jibuti-giorgi-gakharia-memkvidreobith-mighebuli-kanondarghevith-tsava.html)

7. კანონპროექტის მიღების რეალური მოტივი და მიზანი

ზემოთქმულიდან გამომდინარე იოლად შესამჩნევია, რომ ავტორების მიერ კანონპროექტების კოდირებულ-პოზიციონირებული **მთავარი იდეა (იხ. პუნქტი 3) და მამოძრავებელი მოტივი არა რაიმეს რეალურ გაუმჯობესებაში, არამედ პიროვნებების -„საკადრო პორტირებაშია" „სამსახურის პორტირების" გამოყენებით;** რაც შეეხება სამსახურს, პირიქით, ის კანონპროექტით მიხედვით, უქმდება და მისი ისედაც შეკვეცილი ფუნქციები ახალ გარემოში ადაპტირების დროს, კიდევ უფრო დაკნინებისთვისაა განწირული. აღნიშნული თავხედური, საზოგადოებრივი აზრის გამომწვევი, ღიაობით წერია მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტში: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამსახურში შტატით დასაქმებული თანამშრომლები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, 2020 წლის 1 მაისიდან, მათივე თანხმობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანილ იქნენ არანაკლებ მათი სახელფასო ანაზღაურების ტოლფას თანამდებობებზე. თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით" (მუხლი 2, პუნქტი 3).**

9. ქვეყანაში არსებული უსამართლობის უსაზღვროობის რწმენის გარეშე შეუძლებელია დაუშვა, რომ შეიძლება კერძო, პიროვნული ინტერესი, კონკრეტულ თანამდებობაზე კანონით დააკანონო და სახელი და გვარით მიუთითო, როგორც ამ შემთხვევაში, რომ იური დოლიძე -ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი", მისივე თანხმობით, „საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანილ იქნენ არანაკლებ მათი სახელფასო ანაზღაურების ტოლფას თანამდებობებზე".

მსგავსი პრაქტიკის არსებობა სადმე და ოდესმე

ჩვენთვის უცნობი, ხოლო ევროპულ, დასავლურ საკანონმდებლო სისტემებში მსგავსი ჩანაწერი „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ხსენების აკრძალვის ტოლფასია!

საკანონმდებლო და საკადრიო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ნონსენსად შეიძლება ჩავთვალოთ, როდესაც რომელიმე პიროვნებას აქვს არჩევის უფლება იმუშავებს თუ არა ეროვნულ ბანკში, ხოლო ამ უკანასკნელს წართმეული აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვინ უნდა იმუშაოს ეროვნულ ბანკში და ვინ არა.

10. კანონპროექტის დეკოდიფიკაციის შემდეგ ცხადია, რომ „შეთქმულთა კლასტერის“ სხვა წევრები აპირებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში პორტირებას და ამისათვის კანონპროექტით ითხოვენ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 7 წევრის ნაცვლად განისაზღვროს 9 წევრით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობა 2 ის ნაცვლად - სამით. ანუ ადგილებიც კი მონიშნული აქვთ და ამ ადგილებზე დანიშვნას უზრუნველყოფენ კანონში ფაქტიურად „გადასანიშნ“ პირთა ჩაწერით. ფაქტია, რომ კანონპროექტების მთავარი მოტივივაცია არის პირადული და არა სახელმწიფოებრივი.

11. საკანონმდებლო ცვლილებების სასწრაფოდ განხორციელების არც ერთი მიზეზი არაა დასახელებული. დიდი ალბათობით ეს არის იმ ანგარიშგებებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობებისაგან გაქცევა, რომელთაც კუმულატიური ხასიათი აქვთ 2020 წლის მეორე ნახევარში: აუდიტორული ბაზრის რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის განსაჯაროება (აუდიტორული ფირმების 2019 წლის ანგარიშებისა და საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტის ჩატარების უფლების მქონე აუდიტური ფირმების ხარისხის კონტროლის განმეორებითი მონიტორინგის ჩატარებით წლის ბოლომდე, აგრეთვე სამსახურის აუდიტის ხარისხის შესახებ წლიური ანგარიშით) აუდიტური ფირმებისათვის კატეგორიების მინიჭება,რომელიც წარმოშობს ბევრ კითხვები სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებით, ასევე, ბევრი ჩაშლილი პროექტისა და ისეთი ჩავარდნების შესახებ, როგორიცაა მაგალითად, ე. წ. მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგების საკითხი, იქნება პრეტენზიები ალბათ ინტერესთა კონფლიქტების, ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების შესახებ და ა.შ. ამის შესახებ ვრცლად და ცალკე სხვა დროს. ნათქვამი საკმარისია იმის დასანახად, რომ ესაა ამ პასუხისმგებლობებისაგან ერთგვარი თავის შეფარება ეროვნულ ბანკში და ამ უკანასკნელზე ამ პრობლემების „ჩამოკიდება“.

ეს სისწრაფე გამოწვეულია იმითაც, რომ უკვე მთავრდება დანიშვნების პირველი ვადა, მოდის საპარლამენტო არჩევნები, რაც თანამდებობრივ, თუ კარიერულ მდგომარეობის მდგრადობაზე აისახება და საჭიროა მომავალზე ზრუნვა, საუკეთესო შემთხვევაა თუ, გარანტიები უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციური მანდატის მქონე ორგანოს ქოლგის ქვეშ, აგრეთვე ფინანსურად გაუმჯობესებული პირობებით.

12. ყურადღებას მივაქცევ შეიძლება შემთხვევით, მაგრამ განმეორებად და ამიტომ ტრადიციად ქცეულ ფაქტს: ესაა მმართველობის ქვედა ეშელონების ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა საჩოთირო საკანონმდებლო ინიციატივების რთულ სოციალურ, პოლიტიკურ, თუ სხვა მმართველობითი ინსტიტუტებისათვის ცაიტნოტურ პერიოდებში ინიცირების პრაქტიკა. არც მოცემული შემთხვევაა გამონაკლისი.

ბატონო გიორგი!

საჯაროდ ვაცხადებ, რომ ეს წერილი დავწერე როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე გამოკვეთილად, პერსონალურად თქვენთვის, რათა აშორებულ იქნას შეცდომის (განხილული კანონპროექტების წარდგენა პარლამენტში) დანაშაულში (ამ კანონპროექტების დაკანონება) გადაზრდა და აქედან გამომდინარე პირადი, თუ საქვეყნო უარყოფითი შედეგები (ამის შესახებ უკვე დაიწერა: იხ., „საქართველოში აუდიტორებს ცხვრის ფარასავით ექცევიან“ - „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, N2(242), 2020: http://iverioni.com.ge/16784-aqcentebi-postpandemiuri-periodisthvis.html).

გთხოვთ, შეაჩეროთ კანონპროექტების მსვლელობა საქართველოს პარლამენტში და მოეწყოს აღნიშნული საკითხების საჯარო განხილვა, დიალოგი ფართო საზოგადოების (პროფესიის წარმომადგენლების) და თუგინდ უცხოელი მედიატორების მონაწილეობით. ეს ბუნებრივია, შესაძლებელია, თუ თქვენ თვითონ არ განიხილავთ თავს ამ კანონპროექტებში გამოხატული ნორმების თანაავტორად.

პარლამენტი პარლამენტის წინააღმდეგ?

ღია წერილი
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს, საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი კოვზნაძეს, საქართველოს პარლამენტის წევრებს,

ბატონო არჩილ,
ბატონო ირაკლი,
ქალბატონებო და ბატონებო,

ერთმა და იმავე პიროვნებებმა, ჯერ 2016 წლის 27 აპრილს შემოიტანეს საქართველოს პარლამენტში კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შემდეგ, 2020 წლის 11 მარტს კანონპროექტი ამ კანონში ცვლილებების თაობაზე. პირველ შემთხვევაში, ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილ სამუშაო ჯგუფს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროსა და აღნიშნული კანონით შექმნილი, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელ პირებს. 2020 წელს ისინი ითხოვენ იმის შეცვლას, რასაც ითხოვდნენ და მიაღწიეს 2016 წელს, ანუ დაუპირისპირდნენ საკუთარ პოზიციებს. ეს პირები (ნიკოლოზ გაგუა, იური დოლიძე, გიორგი კაკაურიძე), მთავრობის მიერ, დანიშნულია (ივანე მაჭავარიანთან და ლაშა ხუციშვილთან ერთად) აღნიშნულ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად!

საკითხი ეხება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გაუქმებას ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და მისი ფუნქციების გადატანა („პორტირება“) საქართველოს ეროვნულ ბანკში. ამასთან, არაა დასახელებული არც ერთი მიზეზი თუ რითაა გამოწვეული ასეთი წინადადება და რა მიზანს ემსახურება ის, მაშინ როდესაც შემოთავაზებული კანონპროექტის ნორმებით მოსალოდნელია უამრავი ნეგატიური შედეგი: ყველანაირად კნინდება აღნიშნული სამსახურის დამოუკიდებლობა, უარესდება 100 ათასზე მეტი სამეწარმეო სუბიექტის სერვისისადმი ხელმისაწვდომობა,უქმდება დავების საბჭო, იზრდება მათი ტრანზაქციის ხარჯები, მცირდება სამსახურის საჯაროობა, ხდება ეროვნული ბანკის არაპროფილური საქმიანობით დატვირთვა და სხვ.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული წინადადებები საქართველოს მთავრობამ მოიწონა და საკანონმდებლო წინადადებით წარადგინა საქართველოს პარლამენტის წინაშე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე კანონპროექტები“ (აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში არ იყო ნახსენები, რომ ცვლილება შედიოდა ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში, რის გამოც ეს ცვლილებები აღმოჩნდა სრული სიურპრიზი პროფესიული წრეებისათვის).

აღნიშნული გადაწყვეტილების რეალური შინაარსი, როგორც კი გახდა ცნობილი დაინტერესებული საზოგადოებისათვის, ის ყველა პუბლიკაციაში ერთმნიშვნელოვნად შეფასდა, როგორც დაუსაბუთებელი და ზიანის მომტანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ოფიციალურად მივმართეთ მთავრობის მეთაურს (http://iverioni.com.ge/16786-mikheil-jibuti-mthavrobis-mier-erovnuli-bankis-mcocavi-okupacia-thu-finansizacia.html) საკანონმდებლო ინიციატივის გამოწვევის რეკომენდაციით.

ვიდრე ამ მიმართულებით რაიმე გაირკვევა, მანამდე პროცესები მისი რიგით ვითარდება უკვე საქართველოს პარლამენტში, სადაც აღნიშნული კანონპროექტებთან დაკავშირებით პროცედურები უკვე დაიწყო.

დაინტერესებული საზოგადოება დიდი ყურადღებით აკვირდება ამ პროცესს და ელოდება, რომ საქართველოს პარლამენტი, საპარლამენტო რესპუბლიკის სიმაღლეებიდან მიუდგება მთავრობის წინადადებებს და აღნიშნული კანონპროექტების განხილვის პროცესში მოხსნის ყველა გაუგებრობას.

წინამდებარე მომართვის მთავარი მიზანი ამ პროცესში ხელისშეწყობაა. მისი მთავარი გზავნილი იმაში მდგომარეობს, რომ გამომდინარე ქვეყანაში შექმნილი პოლიტ-ეკონომიკური და პანდემიური კონტექსტისაგან, საქართველოს პარლამენტი მაქსიმალურად გათავისუფლდეს კანონპროექტების ავტორის - საქართველოს მთავრობის „გავლენის ზეწოლისაგან“. ამისათვის, კი უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების არა მარტო ფორმალური, არამედ შინაარსობრივი დაცვა საქართველოს პარლამენტის ყველა სტრუქტურის მიერ, საკითხის განხილვის საჯაროობა და მასში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, ამ უკანასკნელთათვის ხელმისაწვდომი საშუალებით განხილვების დროული შეტყობინების უზრუნველყოფით.

შეიძლება ჩათვალოთ, რომ თუ მომართვის მიზანი ესაა, მას საგანი გამოცლილი აქვს. გააჩნია საკითხს საიდან შევხედავთ. ერთი და იგივეს, მთის წვერზე მყოფი, ხეობის ძირში მყოფისაგან, განსხვავებულად ხედავს.

იქედან, სადაც მე ვდგევარ, ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტისადმი მსგავსი მიმართვა აუცილებელია. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები.

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა, არ იყო გათვალისწინებული მის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში პარლამენტის საგაზაფხულო სესიისათვის, მიუხედავად ამისა კანონპროექტენს არ ახლავს მთავრობის მხრიდან იმის დასაბუთება, როგორც ამას საქართველოს

პარლამენტის რეგლამენტი მოითხოვს (მუხლი 100. პუნქი 1), თუ რაში მგომარეობს კანონპროექტების ისე სწრაფად წარმოდგენის აუცილებლობა, რამაც შეუძლებელი გახადა მისი გეგმაში გათვალისწინება.

ამას ხელი არ შეუშლია კანონპროექტების შემდგომი მსვლელობისათვის. **ეს ფაქტი არ არის ასახული არც საბიუჯეტო ოფისის და არც იურიდიული დეპარტამენტის დასკვნებში,** რომლის საფუძველზეც პარლამენტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება კანონპროექტების განხილვის პროცედურების დაწყების შესახებ.

როგორ შეიძლება, რომ **ყურადღების გარეშე დარჩენილიყო ის ფაქტი**, რომ ოთხი წლის წინ ამ კანონის მიღების დროს მასში ჩართული იყვნენ საერთაშორისო და პროფესიული ორგანიზაციები, ექსპერტები, ხოლო მიმდინარე შემთხვევაში კანონპროექტი ავტორების გარდა არავის უნახავს, არ მომხდარა მისი განხილვა პროფესიულ ორგანიზაციებშიც კი. როგორ შეიძლება არ გასჩენოდა იურიდიულ დეპარტამენტს კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რაში მდგომარეობს კანონპროექტის მიღების სისწრაფე (პროექტში ნავარაუდევი იყო 1 მაისს ძალაში შესვლა), მით უმეტეს რომ ამას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითხოვს? რატომ არ დაადგინა არ დაადგინა შუა სამეურნეო წელს კანონპროექტის დაჩქარებულად მიღების მიზეზები, რამაც გამოიწვია ინფორმაციულ ვაკუუმში გადაწყვეტილების მიღება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საბიუჯეტო ოფისისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმოდგენილ დასკვნები, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ფორმალური ხასიათისაა და ინფორმირებული გადაწყვეტილების რაიმე საფუძველს არ იძლევა, არ აკმაყოფილებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით 102-ე მუხლი მე-5 და მე-6 პუნქტების ასეთი დასკვნებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. დასკვნებში, კანონპროექტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა პუნქტების მიხედვით არაა განხილული, როგორც ამას რეგლამენტი მოითხოვს, არამედ ფორმალიზებულია ორ შეტყობინენაში: ყველაფერი „განხილულია" და მსვლელობის დაწყება „მიზანშეწონილია".

საქართველოს პარლამენტის სტრუქტურებს (საბიუჯეტო ოფისმა და იურიდიულმა დეპარტამენტმა) კანონპროექტის მსვლელობას მხარი დაუჭირეს ისე, რომ არც მიუქცევიათ ყურადღება იმისათვის, რომ საკითხი ეხება ოთხი წლის წინ მიღებულ კანონპროექტს, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე დაადასტურეს მიზანშეწონილობა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციისა ერთი და იგივე საკითზე, ოთხი წლის წინ და ოთხი წლის შემდგომ. განსხვავება მხოლოდ დასკვნების გაცემის სიჩქარეშია. 4 წლის წინ, 2016 წელს 27 აპრილს შემოტანილ კანონპროექტებზე 3 მაისს (6 დღეში) იყო მომზადებული დასკვნები, ხოლო 2020 წლის 11 მარტს შემოტანილ კანონპროექტებზე საბიუჯეტო ოფისმა - 13 (2 დღეში), ხოლო იურიდიულმა დეპარტამენტმა - 16 მარტს (5 დღეში) მოამზადეს დასკვნები. დასკვნების გაცემის დაჩქარება დადებითია როგორც ფაქტი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მის უკან მოვალეობისადმი ფორმალური დამოკიდებულება ჩანს: მასში ჩამქრალია ინსტიტუციური მეხსიერება, როდესაც პარლამენტის საქმიანობაში შეიძლება დაიკარგოს მემკვიდრეობითობა და პარლამენტი გამოვიდეს პარლამენტის წინააღმდეგ ყოველგვარი მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების გარეშე.

საქართველოს პარლამრენტის რეგლამენტით მოცემულია იმ საკითხების სრული ჩამონათვალი, რომელსაც უნდა მოიცავდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისადა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დასკვნები.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს საბიუჯეტო ოფისის, ან იურიდიული დეპარტამენტის დასკვნების სახით არავითარი ინფორმაცია „კანონმდებლის ფილტრის" შესაქმნელად არ მიუღიათ და მათი გადაწყვეტილებაც მხოლოდ ნდობაზეა დაფუძნებული. სამწუხაროდ, ეს ნდობა, ეტყობა, ყოველთვის არ ამართლებს.

იურიდიულმა დეპარტამენტმა „ვერ შეამჩნია", რომ წარმოდგენილი კანონპროექტებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიხედვით „ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით", ხოლო კანოპროექტების ინიციატორების მიერ შემოთავაზებულია დარღვეულია საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ნორმების სპეციალური „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენა. საქართველოს ეროვნული ბანკი არაა ფინანსური დაწესებულება და არ შეიძლება იყოს ბუღალტერიისა და აუდიტის პოლიტიკის განმსაზღვრელი და ზედამხედველი ინსტიტუტი მისი არსის საქართველოს კონსტიტუციური შინაარსიდან გამომდინარე. კონსტიტუციის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სებ-ი ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას, რაც არ ნიშნავს ბიზნესსუბიექტების ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სტანდარტების შექმნას, ასს - სტანდარტების გამოყენებაზე კონტროლისა და მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელებას.

იურიდიულმა დეპარტამენტმა ვერ „შეამჩნია", რომ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით „საქვეუწყებო დაწესებულება" „იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს". შესაბამისად, კანონი არ იცნობს ინიცირებულ კანონპროექტში მოცემულ - „საქვეუწყებო დაწესებულების", „რეორგანიზაციის" და „შეერთების" წესს, მით უმეტეს სამთავრობო სტრუქტურის გარეთ და მისი ფუნქციების ეროვნული ბანკის ფუნქციებთან შეერთება - გათანაბრებას.

იურიდიულ დეპარტამენტს ვერ „შეამჩნია" ინტერესთა კონფლიქტი და ევროდირექტივებთან წინააღმდეგობა. კანონპროექტის მიხედვით, ეროვნული ბანკისათვის აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობა ეწინააღმდეგება მარეგულირებელი ინსტიტუტის ინტერესთა კონფლიქტისაგან თავისუფლების შესახებ ევროდირექტივის მოთხოვნას, რამეთუ თვითონ ეროვნული ბანკი არის აუდიტორული შემოწმების სუბიექტი.

წარმოდგენილი კანონპროექტით შემოთავაზებულია სრულიად უნაყოფო, სარისკო და არასანდო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება: დღევანდელ სისტემას, როდესაც საქართველოს პარლამენტი ეროვნული

ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორს ირჩევს, ხოლო ეროვნული ბანკი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტსდაემატება მათი გამანეიტრალებელი ნორმა: მისი აუდიტორული შემოწმებლის საქმიანობის მაკონტროლებელი და მის მიერ შესადგენი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დამდენი იქნება თავად ეროვნული ბანკი.

იურიდიულმა დეპარტამენტმა ვერ „შეამჩნია“ საერთაშორისო ხელშეკრულებების უგულებელყოფის ფაქტი, რომ მთავრობამ არ დაიცვა „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, რომელიც ითვალისწინებს მხარეებმა ბუღალტერიისა და აუდიტის „სფეროებში ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და პროფესიული გამოცდილება“ და გამართონ „რეგულარული დიალოგი“.

კიდევ ბევრი რამ ვერ „შენიშნა“ იურიდიულმა დეპარტამენტმა, თუმცა კულმინაცია მისი სამართლებრივი ახლომხედველობისა, ესაა კანონპროექტის ავტორების მიერ შემოთავაზებული, ქართული სამართლებრივი სისტემისა და ქართული საზოგადოების არნახული და არგაგონილი შეურაცხმყოფელი ნორმის დაუნახაობაა, როდესაც კანონპროექტის ავტორები ქვეყნის პარლამენტს თავაზობენ მათი პერსონალური დანიშვნა საჯარო სამსახურში კანონით დაადგინოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტში: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამსახურში შტატით დასაქმებული თანამშრომლები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, 2020 წლის 1 მაისიდან (ასეა პარლამენტში შემოტანილ პროექტში, ეხლა სავარაუდოდ ვადა სხვა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებამდე იქნება - მ.ჯ.), მათივე თანხმობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანილ იქნენ არანაკლებ მათი სახელფასო ანაზღაურების ტოლფას თანამდებობებზე. თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (მუხლი 2, პუნქტი 3).**

მსგავსი პრაქტიკის არსებობა სადმე და ოდესმე ჩვენთვის უცნობი, ხოლო ევროპულ, დასავლურ საკანონმდებლო სისტემებში მსგავსი თავხედური, საზოგადოებრივი აზრის გამომწვევი, ღიაობით ჩანაწერი „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ხსენების აკრძალვის ტოლფასია!

საკანონმდებლო და საკადრიო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ნონსენსად შეიძლება ჩავთვალოთ, როდესაც რომელიმე პიროვნებას აქვს არჩევის უფლება იმუშავებს თუ არა ეროვნულ ბანკში, ხოლო ამ უკანასკნელს წართმეული აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვინ უნდა იმუშაოს ეროვნულ ბანკში და ვინ არა.

თავი, რომ დავანებოთ ჩანაწერის პრეცენდენტის უზარმაზარ პრესტიჟული ზიანის მომტან ფაქტს, **იურდიულმა დეპარტამენტმა ვერ „შეამჩნია“,** რომ აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონში „ეროვნული ბანკის შესახებ“ განსაზღვრულ საკადრო უფლებამოსილებას, რომლის მიხედვითაც **„მხოლოდ ეროვნული ბანკია უფლებამოსილი“:** პირის ეროვნულ ბანკში დასაქმებისათვის დაადგინოს ძირითადი, სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ეროვნულ ბანკში დასანიშნად შეარჩიოს და დანიშნოს პირი; დააწინაუროს და გადაიყვანოს იგი...“ (მე-15 მუხლი, პუნქტი 1“ა“).

საბიუჯეტო ოფისმა თავის „დასკვნაში“ არ წასაბიუჯეტო ოფისმა თავის „დასკვნაში“ **არ წარმოადგინა დასკვნები** კანონპროექტისბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე გავლენის, აგრეთვე სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებების შესახებ. შესაბამისად, **საბიუჯეტო ოფისმა „ვერ შეამჩნია“** კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული დასკვნის არასრულფასოვნება. კანონპროექტის ავტორთა აზრით, „კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ტვირთი **გადაინაცვლებს ეროვნულს ბანკზე** და 2020 წლის 1 მაისის შემდგომ სამსახურისათვის გათვალისწინებული თანხები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტის საჭიროებებისათვის“.

ეროვნული ბანკის სისტემაში ხარჯები მხოლოდ „გადაინაცვლებს“, თუ მნიშვნელოვნად გაიზრდება? მით უმეტეს, რომ კანონპროექტით მოთხოვნილია ერო-

ვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 7 წევრის ნაცვლად 9, ხოლო ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობა 2- ის ნაცვლად - სამი წევრით განისაზღვროს, რა თქმა უნდა, გაიზრდება, ხოლო ხარჯების „გადანაცვლება" სახელმწიფო პოზიციიდან, ვერავითარი შეღავათი ვერ იქნება, რამეთუ ეროვნული ბანკის ხარჯებიც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ხარჯებია.

საბიუჯეტო ოფისმა „ვერ შეამჩნია" ხარჯების მოსალოდნელი ზრდა.

საბიუჯეტო ოფისმა ვერც ის კითხვა დასვა საჭიროა თუ არა საერთოდ ეს დამატებითი ვიცე პრეზიდენტი და საბჭოს 2 წევრი იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტისთ განსაზღვრული სამსახურისა და ეროვნული ბანკის შეერთება მოხდება? მით უმეტეს, რომ შემოთავაზებული შეფუთვით, თითქოს ეს დამატებითი „შტატები" სპეციალიზებული იქნებიან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქმეებზე, სრული გაუგებრობაა მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკი ერთიან, ცენტრალიზებულ ინსტიტუტს წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის ბიურომ აღნიშნული „ფიქტიური" დასკვნებით მისცა მსვლელობა კანონპროექტების განხილვას პროფილურ - დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებში. წამყვან კომიტეტად დადგინდა საფინანსო-საბიუჯეტო.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე აღნიშნული კანონპროექტები განიხილეს ა.წ. 25 მაისს.

კომიტეტის სხდომას ესწრებოდა ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, თუმცა არ გაჟღერებულა ეროვნული ბანკის პოზიცია. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით „საფინანსო სექტორის წარმომადგენლის საქმიანობის მარეგულირებელი კანონპროექტი გადაეცემა ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს" (მუხლი 101-ე, პუნქტი 1.„გ") და იმედია, აღნიშნული კანონპროექტები გადაეგზავნებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელიც, როგორც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, მის შესახებ კანონპროექტის მომზადების არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა ჩართული.

კომიტეტის სხდომაზე საკითხის განხილვა ნახევარ საათს გასტანა, საიდანაც ნახევარი დრო, კანონპრექტის ერთ მუხლთან ირიბად დაკავშირებულმა, ერთადერთმა კითხვამ და მასზე პასუხმა წაიღო. კანონპროექტებს სამსახურის საბჭოს გაუქმების საკითხის გარკვევის დათქმით, მიეცა მსვლელობა.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, არა რეგლამენტით კომიტეტის მიერ სხდომის ჩატარების ფორმალური მხარეების დაცვაზე, არამედ გადაწყვეტილების მიღების მსუბუქ, შეიძლება ითქვას, ფორმალურ, ხასიათზე.

ფაქტობრივად, კომიტეტმა „ვერ შენიშნა" ყველაფერი ის, რაც „ვერ შენიშნა" საბიუჯეტო ოფისმა და იურიდიულმა დეპარტამენტმა, თუმცა საკითხის მომზადების დროს, ალბათ უნდა გაერკვია, თუ რა გახდა კანონპროექტის მიღების მიზეზი, რა პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად კანონპროექტი და რატომაა ამისათვის მისი მიღება აუცილებელი, როგორია კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები. მაშინ, როდესაცკანონპროექტის ავტორების აღიარებით, მათ კანონპროექტის შემუშავებისას მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლაზე აქცენტი არ გაკეთებულა. კომიტეტს არ გამოუყენებია შესაძლებლობა და შეკითვით არ მიუმართავს საქართველოს პარლამენტში სპეციალურად ასეთი შემთხვევებისთვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კვლევითი ცენტრისათვის, რომელიც სწორედ კვლევასა და ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობისა და უკეთესი საკანონმდებლო ანალიზით კანონმდებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნითაა შექმნილი.

კომიტეტს არ გამოუყენებია საქართველოში ნორმატიულ დონეზე უკვე დამკვიდრებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების მექანიზმი დადგენილი წესით, რაც კომიტეტს მისცემდა საშუალებას გათვითცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად.

წინაა საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტში განხილვა. იმედია, სხვა თუ არა, პროფესიული სინდისი და ნამუსი, არ მისცემს ამ კომიტეტის წევრებს იმის საშუალებას, რომ არ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ანალიტიკური და ინფორმაციული შესაძლებლობები და წარმოდგენილი კანონპროექტები მხოლოდ იურიდიული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის თვალით დანახულის საფუძველზე განიხილონ. ალბათ, არც იმას დაუშვებს კომიტეტი, რომ საგნობრივი საჯარო განხილვა არ მოაწყოს და არ მოისმინოს ალტერნატიული პოზიციები და არგუმენტები.

ნათქვამიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ გამოიჩინოთ მეტი სიფხიზლე და ყურადღება აღნიშნული კანონპროექტებისადმი, რომელიც ეხება 160 -180 ლარის მოცულობის მომსახურებას (ეს ერთი მხრივ შემოსავალია, ათი ათასობით მეწარმე სუბიექტებისათვის მხრიდან კი - ხარჯია!), სადაც, გარდა აღნიშნულისა, სხვა მატერიალური ინტერესებიცაა მოცემული, მასში არის საფრთხეები კონკურენციის შეზღუდვის, ფულად - საკრედიტო პოლიტიკაზე უარყოფითი ზეგავლენის, მისი მიღების სისწრაფეში არის ნიშნები სხვადასხვა ჯგუფების ფინანსური ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა საჩოთირო საკანონმდებლო ინიციატივების რთულ სოციალურ, პოლიტიკურ, თუ სხვა მმართველობითი ინსტიტუტებისათვის ცაიტნოტურ პერიოდებში ინიცირების პრაქტიკის გაგრძელების, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ცუდი კანონის, უსამართლო კანონის მიღების საფრთხეს. მოგეხსენებათ, კანონის მიღების შემდეგ, როდესაც ის იწყებს მოქმედებას, მასში გამქრალია მისი ინიცირებისა და განხილვის პროცესი და ის წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის პროდუქტს და შესაბამისი მოწვევის პარლამენტის წევრების ისტორიულ პასუხისმგებლობას.

მოგიწოდებთ საუკეთესო გადაწყვეტილებისაკენ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული კანონპროექტები საქართველოს მთავრობის მიერ გაწვეულ იქნას, ან კონვერტირდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებელ მარეგულირებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბების შესახებ კანონპროექტად, როგორც ეს დამკვიდრებულია ევროკავშირის აბსოლუტურად უმრავლეს ქვეყანაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის რეპუტაციული თვითდაზიანება, თუ ფარული პოლიტიკური ზეწოლა?!

2020 წლის 3 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ გაგუა,** საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი **პაპუნა ლეჟავა,** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **იური დოლიძე,** იურისტი **გიორგი ძიგუაშვილი,** საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი **იური პაპასკუა** და პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი.**

შეხვედრა თავისი ფორმატით - ოფიციალური (რადგანაც შეხვედრა ფინანსთა სამინისტროს შენობაში წარიმართა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებული ელექტროენერგია და სახელმწიფო მოხელეთა დრო დაიხარჯა), **ხოლო შინაარსით - ინფორმაციული იყო.**

შეხვედრის მონაწილეთა შეთანხმებით, არც ოქმი და არც აუდიო - ვიდეო ჩაწერა არ განხორციელებულა. შეხვედრა დახურულად არ გამოცხადებულა, რაიმე გადაწყვეტილება, ან განცხადება არ მიღებულა, ამიტომ გაკეთდა დათქმა, რომ მის მონაწილეებს შეხვედრის შესახებ შეუძლიათ საჯაროდ ისაუბრონ.

აღნიშნული შეხვედრის საგანი იყო საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ორგანული კანონის - **„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** და საქართველოს სხვა, მათ შორის **„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობა**ზე“, კანონის პროექტები, რომელთა განხილვის პროცესი საქართველოს პარლამენტში უკვე დაწყებულია.

შეხვედრის მონაწილეებს აინტერესებდათ ერთმანეთისგან უშუალოდ გაეგოთ, ერთი მხრივ, რა იყო კანონპროექტების შექმნის მოტივები, როგორია მოლოდინები შედეგებთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, რატომ დადგა კანონპროექტების კანონიერება და მიზანშეწონილობა ეჭვის ქვეშ და რამ გამოიწვია მწვავე - პერსონიფიცირებული კრიტიკა!

შეხვედრა, ჩემი შეფასებით, იყო აკადემიური, არაორდინალური და სასარგებლო. არ იქნება სწორი, რომ ვუარყოთ ასეთი შეხვედრის კანონპროექტების ინიცირების საწყის ეტაპებზე მოწყობის მიზანშეწონილობა, მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ „დაგვიანებულობის“ გამო, ვუარყოთ ამ შეხვედრის სარგებლიანობა. აქ მიღებული ინფორმაცია, მოსმენილი არგუმენტი, თუ კონტრარგუმენტი, კარგი მასალაა საქართველოს პარლამენტში კანონპროექტების ბედის გადამწყვეტი დებატების დროს საბოლოო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. მით უმეტეს, რომ შეხვედრაზე პირველად იყო წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ა.წ. 25 მაისამდე, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე საკითხის განხილვამდე, არსად ოფიციალურად არ მონაწილეობდა, ხოლო, მისი ოფიციალური პოზიცია არც ამ სხდომაზე არ დაფიქსირებულა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რადგანაც შეხვედრიდან არც ერთი განზოგადებელი შედეგი არ დამდგარა, აღნიშნული შეხვედრის შესახებ დასკვნებს მხოლოდ პირადი ხასიათი აქვს, რომელმაც ჩვენთვის ერთგვარად დაასრულა განსახილველი კანონპროექტების შექმნის, ინიცირებისა და განხილვების მოვლენათა ჯაჭვის შესახებ კვლევა - ძიება და შეკრა წინამდებარე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტში, ალტერნატიული მოსაზრებებით გამოსვლისთვის მოხსენების მონახაზი. აქ, თავი მოიყარა დასკვნებმა - კანონპროექტების მოძრაობის გზაზე - ფინანსთა სამინისტროს მიერ მთავრობაში ინიცირებიდან დაწყებული, შემდეგ მთავრობის მიერ მოწონებისა და საქართველოს პარლამენტში წარდგენის, ამ უკანასკნელში კანონპროექტების განხილვის პროცესით დაწყებამდე.

კანონპროექტების განხილვის დამკვიდრებული ტრადიციიდან გადახვევამ, როდესაც მიზნად იქნა დასახული იმის გარკვევა, თუ როგორია კანონპროექტის მომზადების „შიდა სამზარეულო“, რატომ და ვის მიერ მოხდა კანონპროექტის ინიცირება მაშინ, როდესაც კანონპროექტის მიღება არ იყო სამთავრობო და არც საპარლამენტო გეგმაში, მისი მიღება არ იყო გათვალისწინებული არც რაიმე საერთაშორისო ვალდებულებით, გააჩინა საშუალება გამოვკვეთილიყო კანონპროექტების პოლიტიკურ ამშვები მექანიზმის ღილაკზე ხელის დამჭერნი.

ამასთან, დადასტურდა ბიუროკრატიული სისტემის სახელმწიფოებრობაზე იმუნოდეფიციტი - **არც ერთ დონეზე არ დასმულა აუცილებელი კითხვა და არც ერთ ჩინოვნიკს არ გამოუჩენია ინიციატივა, მის სამოქმედო არეალში, მისი კომპეტენციის ფარგლებში ამ დეფიციტის დასაძლევად.** სხვა შემთხვევაში, კანონპროექტების განხილვის უკვე საწყის ეტაპზე, მთავრობის აპარატის,ან საქართველოს პარლამენტში იურიდიული დეპარტამენტისა და საბიუჯეტო ოფისის დონეზე მაინც, უნდა „დაეხარვეზებინა“ ის კანონპროექტები, რომელიც დღეს განხილვის პროცედურებს გადის.

კანონპროექტების მიღების სასარგებლოდ თუნდაც ერთი სერიოზული არგუმენტის არარსებობის გამო, ჩვენი დასკვნა იყო ინდუქციური - კანონპრექტი წარმოადგენს მისი ინიციატორების პერსონალური ინტერესების რეალიზების მექანიზმს. ამას ადასტურებს კანონპროექტის 1 ოქტომბრამდე (საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე) ამოქმედების „მისწრაფება“, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებისა და ვიცე - პრეზიდენტის პოსტის დამატება და ე.წ. „კად-

რების პორტირების“ მექანიზმი, ხოლო, საქართველოს მმართველობით სისტემას „გონების თვალზე“ ხელი აქვს აფარებული და „გაატარა“ ასეთი ინიციატივა.

შეხვედრაზე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გაუქმებისა და მისი ფუნქციების ეროვნული ბანკისათვის გადაცემის სასარგებლოდ დასახელდა: **1. რამოდენიმე ქვეყნის პრაქტიკა; 2. კაპიტალის ბაზრის რეგულატორთან ერთად ყოფნის სინერგია; 3. საქართველოს ეროვნულ ბანკში უკეთესი მატერიალურ - ფინანსური პირობები; 4. პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფლება.**

1. არ არსებობს ორი ქვეყანა, სადაც ერთნაირად იყოს მოწყობილი აღნიშნული სფეროების ზედამხედველობა. მნიშვნელობა აქვს მოცემულ ქვეყანაში არსებულ გარემოსა და სტრუქტურებს. ფორმალურად, ევროკავშირის ქვეყნებში, აბსოლუტირ უმრავლესობაში აღნიშნული სფეროები საბანკო სისტემის გარეთაა. ამას ამტკიცებდნენ, თვითონ ავტორები 2016 წელს (იხ. სატელევიზიო გადაცემის 2016 წლის 20 აპრილის ჩანაწერი https://www.youtube.com/watch?v=VLdwN8nvpW8);

2. არსებობს ასეთი პრაქტიკა აშშ და ანგლო - საქსური სამართლის ქვეყნებში, მაგრამ ყველა ამ ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის რეგულირება საბანკო სფეროსგან ავტონომიურია. საქართველოშიც რომ ასე იყოს, მაშინ, არგუმენტი მისაღები იქნებოდა, მაგრამ საქართველოში კაპიტალის ბაზარი ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშაა მოქცეული, რაც მსოფლიო მაშტაბით ნეგატიური გამონაკლისია. რატომ უნდა მოხდეს გაერთიანება იქ, სადაც მათი გაერთიანებით მიიღება სინერგია, მაგრამ ეს იქნება უარყოფითი სინერგია, რომელსაც მოჰყვება კონკურენციის შეზღუდვა და ინფორმაციისადმი ასიმეტრიული ხელმისაწვდომობა საბანკო სექტორის სასარგებლოდ?! არგუმენტი იმის მტკიცებას ჰგავს, რომ ძმების, რომელთაგანაც ერთი ციხეშია, მეორე კი - თავისუფალი, ერთად ყოფნის კეთილი ზრახვებით, ერთად ყოფნით მიღებული ძმური სიყვარულის სინერგიის ხათრით, თავისუფალი ძმის დაპატიმრება მოითხოვო! პირველის გათავისუფლება არ იქნებოდა უკეთესი გამოსავალი?

3. თუ მარტო დაფინანსებაზეა საკითხი, მაშინ, ამდენ ორომტრიალს, ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ურთიერთობების ნგრევას, სჯობდა სამსახურის დაფინანსების გაზრდის საკითხი დასმულიყო და გადაწყვეტილიყო. რადგანაც ხარჯების ზრდას, სახელმწიფოს პოზიციიდან, თუ რომელი „ჯიბიდან“ - ეროვნული ბანკიდან, თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება, სულერთია.

4. პოლიტიკური პროცესებისა და გავლენებისგან დაცულობა ეროვნული ბანკის სისტემაში შეიძლება მეტი იყოს, ამ ინსტიტუტის დახურული ხასიათის გამო, მაგრამ ეს არაა შეუქცევადი მოცემულობა. თუ ეროვნული ბანკი ასე დათმობს პოზიციებს, ის შეიძლება „ჩაეფლოს“ პოლიტიკურ ორომტრიალში. ამასთან, ეროვნული ბანკის დახურული ხასიათი, შემოთავაზებული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, დიდი ბარიერი იქნება საზედამხედველო სფეროს წარმომადგენლებისა და ათი ათასობით მომსახურების მიმღები პირისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი ინსტიტუციურად დღევანდელ საქართველოში მიმდინარე მომენტისთვის, ჩემი აზრით, საუკეთესო სტრუქტურაა. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ იყო. აღნიშნულის მისაღწევად ბევრი შრომა, ოფლი და სისხლია დაღვრილი, არც თუ ისე შორეული წარსულში!

საქართველოში არც ერთი პოლიტეკონომიური პროცესი ჯერჯერობით შეუქცევადი ფორმით არაა დასრულებული. ეს ეხება ეროვნულ ბანკსაც, სადაც დროდადრო ხდება მისთვის ატიპიური ფუნქციებისა და სტრუქტურების ინპლანტაცია: ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორის ფუნქციები, საპენსიო სააგენტოს ზედამხედველობა და სხვ., ამას ემატება ახალი შემოთავაზება, საერთოდ ფინანსური ინსტრუმენტებისა და ინფორმაციის წარმოებაზე ზედამხედველობა. ყოველივე ეს, ეროვნული ბანკის ფინანსების სფეროში მისთვის განკუთვნილი საკრედიტო სივრცის საზღვრების დარღვევას,ზრდის მის „ფინანსიზაციას“, რამაც კრიტიკული მასის დაგროვების შემთხვევაში, შეიძლება იმოქმედოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობაზე. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ აღნიშნულის გამო, მაგალითად კაპიტალის ბაზარი პათოლოგიურად ვითარდება მხოლოდ სასესხო ფასიანი ქაღალდების „საბითუმო“ ვაჭრობის მიმართულებით, წილობრივი ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის სტაგნაციის პირობებში.

3 ივნისამდე, ჩვენთვის უცნობი იყო, განსახილველ კანონპროექტებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიცია. ამ დღეს გახდა ცნობილი ეროვნული ბანკის პირველი ივნისის N 2-14/1405 წერილის შესახებ, რომელიც გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს **ირაკლი კოვზანაძეს,** ამ უკანასკნელის მიერ კანონპროექტებზე ეროვნული ბანკის პოზიციის მოთხოვნის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე - პრეზიდენტის პაპუნა ლეჟავას ხელმოწერით.

წერილში მოცემულია ათეულობით „ცვლილებისა და დაზუსტების“ მოთხოვნა ეროვნული ბანკისგან, მაგრამ არაა მთავარი - კანონპროექტების, უპირველეს ყოვლისა, მისი მონაწილეობის გარეშე მის საკურატორო „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეფასება - თვლის მიზანშეწონილად მის მიღებას თუ არა. მოცემული არაა, არც ინსტიტუციური შეფასება, რამდენად მისაღებია ეროვნული ბანკისთვის ეს ახალი „ინპლანტი“ შედის მის კომპეტენციაში თუ არა, შეუწყობს ხელს მის ძირითად საქმიანობას თუ არა, უკეთესად გააკეთებს ამ საქმეს, ვიდრე ფინასთა სამინისტრო თუ არა და რატომ? ბოლოს და ბოლოს, არის თუ არა ეს მისი პროფილური საქმიანობა და როგორაა ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, მოდის თუ არ მოდის წინააღმდეგობაში ინსტიტუციური ინტერესები?

საქართველოს ეროვნული ბანკის აღნიშნული პოზიცია, უფრო სწორად, უპოზიციობა, არა თუ საიამოვნო, არამედ დასაფიქრებელი საკითხია. ხომ არ არის კავშირი აღნიშნულსა და იმ ფაქტს შორის, რომ წერილზე ხელის მომწერი, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი პაპუნა ლეჟავა, ამავე დროს არის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საბჭოს წევრი, იმ სამსახურისა, საიდანაც წამოვიდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების „ვირუსი“?

ეროვნული ბანკის წერილი, რომ სინქრონშია, ზე-

მოთაღნიშნული ჯგუფის პირად ინტერესებთან ეს ამ წერილით დასტურდება.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებში კანონის ამოქმედების ვადა წერია „1 მაისი". პანდემიის გამო განხილვები გადაიდო და ახალი ვადის „1 ოქტომბრის" მოთხოვნით, ყოველგვარი ახსნის გარეშე, გამოდის ეროვნული ბანკი თავის წერილში!

უფრო მეტიც, ეროვნული ბანკი ითხოვს, რომ კანონში ჩაიწეროს ის, რასაც ყველა შემთხვევაში, მოვიხსენიებ, როგორც „თავხედურ ღიაობას", რომლის შესაბამისადაც **„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის ჩაიწეროს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამსახურში შტატით დასაქმებული თანამშრომლები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, 2020 წლის 1 ოქტომბრიდან, მათივე თანხმობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანილ იქნენ არანაკლებ მათი წლიური შრომის ანაზღაურების ტოლფას თანამდებობებზე. თანხმობის განუცხადებლობის შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით".**

ეროვნულ ბანკს აქ ერთადერთი ცვლილება აქვს განხორციელებული - ნაცვლად „სახელფასო ანაზღაურების ტოლფას", უწერია „წლიური შრომის ანაზღაურების ტოლფას"!

ამ ჩანაწერზე ჩვენი უაღრესად უარყოფითი მიდგომა ვერ გაანელა იურისტის - **გიორგი ძიგუაშვილის** განმარტებამ, რომ აღნიშნული ეფუძნება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლს. ეს ასე რომ იყოს, რა საჭიროა არსებული ნორმის კიდევ კანონში ჩაწერა? ასე არ არის მრავალი მიზეზის გამო. საკმარისია იმავე კანონის მე-4 მუხლის 1 "ფ" პუნქტის ნახვა, სადაც მითითებულია, თუ ვისზე არ ვრცელდება ეს კანონი და საიდანაც უკვე მობრუნებით წაკითხული შემოთავაზებული ნორმა პირდაპირ სახელსა და გვარზე მიუთითებს. მთავარი ისაა, რომ ადამიანები, რომლებიც, პროფესიული უნარ -თვისებებით, ჩემი წარმოდგენით, შეესაბამებიან დასახელებულ თანამდებობებს, ასეთი ფორმით მათი მიღწევის შემთხვევაში, არ იმსახურებენ მათ. ამასთან, ის კლავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მომავლის მთავარ დასაყრდენს - არჩევანის უფლებას, თანაბარ შესაძლებლობებს, კონკურენციას!

რა თქმა უნდა, დიდია ვარაუდი, რომ ეროვნული ბანკი ანგარიშს უწევს ჩაფიქრებულ საკადრო ცვლილებებს, როდესაც არ ეწინააღმდეგება საბჭოს წევრებისა და ვიცე-პრეზიდენტების რაოდენობის გაზრდას, თანაც დათქმით, რომ ერთი ვიცე-პრეზიდენტი აუცილებლად „აუდიტორი" უნდა იყოს? ბუღალტერი რომ იყოს რა მოხდება?

რაში სჭირდება ეს ეროვნულ ბანკს?!

მან უნდა დაიწყოს არაპროფილური საქმიანობა და ამასთან დაკავშირებული ზედამხედველობითი საქმიანობა, თანაც საბჭოში შეჰყავს აუდიტორები, რითაც მისი გადაწყვეტისუნარიანობა იცვლება არაპროფესიული მიმართულებით.

ეროვნული ბანკის ეს განსაკუთრებული ყურადღება „აუდიტორებისადმი" გვაფიქრებინებს, რომ მთელი ეს საკანონმდებლო ცვლილებები მის ინტერესებშია, კულუარებიდან მისი „ინსპირირებულია", ხოლო, მთელი საკადრო „პორტირება" ამ ინტერესების საკანონმდებლო რეალიზების ნაცვალგებას წარმოადგენს.

რატომ შეიძლება იყოს აღნიშნული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები ეროვნული ბანკის ინტერესებში?

ეროვნული ბანკს შეიძლება ჰქონდეს დარგობლივი ინტერესი და სურდეს ყველა შესაძლო ინფორმაციის ჩაკეტვა დარგში ბანკების სასარგებლოდ!

ეროვნული ბანკი შეიძლება დაინტერესებული იყოს ფინანსური ბაზრის ყველა სეგმენტის, მათ შორის, ინფორმაციის მონოპოლიზებით ორი მიზეზით:

1. ხელი შეუწყოს კომერციული ბანკების და საბანკო ჰოლდინგების გაძლიერებას, მათ ინფორმაციულ უზრუნველყოფას ისე, რომ მათ არ შეექმნებათ ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების პრობლემები;

2. გაიიოლოს საბანკო ჰოლდინგების ზედამხედველობა და საკრედიტო რესურსების გადანაწილება, გაზარდოს სასესხო ფასიანი ქაღალდების გარდა, წილობრივი ფასიანი ქაღალდების სასესხო გარანტიებად მოზიდვის წილი. შეიძლება იყოს სხვა მიზეზებიც და აღნიშნულზე პრიორიტეტული.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერესები შეიძლება ემთხვეოდეს მსხვილი სააუდიტორო კომპანიების ინტერესებს. მათ აწყობთ აუდიტორული მომსახურების ბაზრის ზედმეტად რეგულირება და ცენტრალიზებულ დახურულ ინსტიტუტში მოქცევა, ბაზრიდან მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიების განდევნის მიზნით. ხდება ბაზრის მონიშვნა მათთვის, პირველ რიგში სდპ-ების სახით. ნიშანდობლივია, რომ 2016 წელს მსხვილი საუდიტორიო კომპანიები ხელისუფლებისგან მოითხვდნენ ევროდირექტივების მოთხოვნების პატივისცემას, რომლის მიხედვითავ მარეგულირებელი დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის პროფესიისაგან და თავისუფალი ინტერესთა კონფლიქტისაგან, ამჟამად ჩუმად არიან.

შესაბამისად, აღნიშნული კანონპროექტები არ აწყობს წვრილ და საშუალო საბუღალტრო და აუდიტორულ ფირმებს, აგრეთვე, შემფასებლობით კომპანიებს, რომლებსაც ამ კანონპროექტების პერსპექტივით, ასევე ეროვნული ბანკის სისტემაში მოქცევა მოუწევთ.

ინგრევა ჩამოყალიბებული წესრიგი კრედიტის სფეროსა და ფინანსთა სფეროს შორის. დაგეგმილი ცვლილება, ავნებს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას. ადგილი ექნება ინტერესთა კონფლიქტს ეროვნული ბანკის სისტემაში. ახალი, შემაფერხებელი ბარიერები ჩნდება ეროვნული ბანკის საქართველოს პარლამენტთან და საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობებში, ხდება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის ფუნქციების აღრევა.

მოსალოდნელი ცვლილება არ აწყობს მეწარმე სუბიექტებს. მათთვის რთულდება ზედამხედველ ინსტიტუტთან ურთიერთობა, იშლება დავების წინა-სასამართლო მექანიზმი, ხოლო საკითხის გასარკვევად საქართველოს ეროვნულ ბანკთან სასამართლო დავები გაართულებს მათ საქმიანობას და ბევრი წვრილი და საშუალო მეწარმისთვის საერთოდ მიუწვდომელს გახდის სასამართლო სისტემას.

მოსალოდნელია ტრანზაქციის ხარჯების ზრდა, რაც საბოლოო ჯამში იმოქმედებს, როგორც ფასების ზრდის ფაქტორი.

ვერ იძებნება ერთი არგუმენტიც კი სახელმწიფოსა და მოსახლეობის მომავლის ინტერესებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე.

თუ თავდაპირველი ვერსია, რომ ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, პასუხისმგებლობის ეროვნულ ბანკზე გადაკისრებითა და საკუთარი ბიუროკრატიული ძალაუფლების გაზრდით, რისთვისაც მოიგონეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ვერ შენიშნა მმართველობის სისტემის ვერც ერთმა რგოლმა და ისე მიაღწია საქართველოს პარლამენტამდე, იყო სწორი, მაშინ, მას შემდეგ, რაც ეს ქმედება „გაიშიფრა", მათ შორის ჩვენს მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარისადმი მიწერილი წერილებით, უნდა მომხდარიყო ამ კანონპროექტების დახარვეზება, ან უკან გამოწვევა.

ეს არ მოხდა.

უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ ხნის განმავლობაში, არ გამოხატა მიმდინარე კანონპროექტსადმი არც დადებითი, არც უარყოფითი შეფასებითი პოზიცია, რაც ბადებს ვარაუდს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თავისთვის ასეთ რეპუტაციულ დათმომბები, არ ეტევა ხილულ მიზეზებში და საკანონმდებლო ცვლილებების მთელი ინტერესი უფრო ეროვნულ ბანკზე პოლიტიკური გავლენების ზრდის გეგმაშია (საბჭოს წევრების რაოდენობის ზრდა მოსალოდნელი არჩევნების წინ).

17 ივნისს, საკითხი გადის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, სადაც კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბევრი რაღაცა გაირკვევა.

„ალმასური გაბრწყინება“ საქართველოს პარლამენტში!

ა.წ. 17 ივნისს, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე **ისეთი რამ მოხდა,** რომელიც ყოველმხრივ წახალისებასა და მომავალში გაძლიერებას მოითხოვს.

ამ დღეს, უარი ეთქვა კანონპროექტს, რომელიც ითხოვდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გაუქმებას ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და მისი ფუნქციების გადატანას („პორტირებას“) საქართველოს ეროვნულ ბანკში.

ამ გადაწყეტილების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ის ეხება ათი ათასობით მეწარმე სუბიექტს, ათასობით ბუღალტერს, აუდიტორს და შემფასებელს, იმ საზოგადოებრივ ორომტრიალში, რომელიც ქვეყანაშია პანდემიით დაწყებული და მომავალი საპარლამენტო არჩევნებით დამთავრებული, მაინც პერიფერიულია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის status guo - ს შენარჩუნების გადაწყვეტილების აღნიშნული მასშტაბურობის მიუხედავად, უფრო მეტი აღრფთოვანებისა და წახალისების საგანი, ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, მასში გამოვლენილ არგუმენტებით მსჯელობასა და პარლამენტის გარედან გამოხატული მოსაზრებების გათვალისწინებაშია.

მე ვერ აღვწერ პარლამენტარიზმის იმ „გემოს“, რომელიც „ვიგრძენი“ მაშინ, როდესაც საკითხის გადაწყვეტისას, ქვეყნის, მეწარმეების პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთად დადგა პოზიცია და ოპოზიცია!

ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ არავის არ უცდია საკითხის პოლიტიზირება, მაშინ როდესაც თავისი შინაარსით, აღნიშნული სფეროები, ნეიტრალურია პოლიტიკისაგან და ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმებს წარმოადგენენ. ბუღალტერი შეიძლება პოლიტიკურად იყოს მოტივირებული, მაგრამ ბუღალტერია - არა. შეიძლება ეს უკანასკნელიც მოხერხდეს, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირის დროს, მაგრამ ეს, იმედია, გარდასული ეტაპია საქართველოს პოლიტეკონომიური ცხოვრებიდან.

შედეგად, გადაწყვეტილებას არ გამოუვლენია „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“. პირიქით - სწორმა პროცესმა ყველა გააერთიანა და იქვე დაისახა სამომავლო პერსპექტივები.

კერძოდ, **პაატა კვიჟინაძემ** („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) გამოთქვა მოსაზრება **„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“** ავტონომიურად ფუნქციონირებად სტრუქტურად ჩამოყალიბების შესახებ; **რომან გოცირიძემ** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) არსებული მდგომარეობის, მიმდინარე პრაქტიკის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების საჭიროებაზე მიანიშნა: **ნიკოლოზ გაგუამ** (საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე) ისაუბრა კომუნიკაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების აუცილებლობაზე და აღნიშნა, მათ შორის, შემფასებლობითი საქმიანობის სრული საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა.

ყველაფერი ეს, უპირველესად, განაპირობა, სხდომის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის სხდომის წაყვანის „რბილმა“ სტილმა და საკითხისადმი „მკაცრმა“ პროფესიულმა პოზიციამ, რომლის უკანაც იგრძნობოდა საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობისა და უპირველეს ყოვლისა, მისი თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის მხარდაჭერა.

პერსონალური მადლობა მათ და ყველას, ვინც ეს მაგალითი შექმნა საქართველოს პარლამენტში.

აღსანიშნავია, რომან გოცირიძის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის გამო „პარტიული ბოიკოტის“ დარღვევა, რამაც განხილვას სრულფასოვანი ხასიათი მიანიჭა.

მე მესმის, რომ ვსაუბრობ ზღვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან „ერთ წვეთ“ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ეს ის წვეთია, რომელშიც იმედია მოცემული. ეს „კვანტური წვეთია“, რომელიც რადგანაც წარმოიშვა 17 ივნისს, ხვალ შეიძლება იყოს ყველგან - მასში მოცემულია საქართველოში პარლამენტარიზმის განვითარების პოტენციალი.

ამ „ერთი წვეთი“ გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ქართველები რაღაცას კი ვერ აკეთებენ, არამედ არ აკეთებენ!

ამ „ერთი წვეთი“ გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ ერთმა და იგივე პარლამენტარებმა ერთი საკითხი განიხილეს სხვანაირად და შემდეგ დაუბრუნდნენ ჩვეულებრივ მდგომარეობას.

ერთი და იგივე ელემენტებისგან შედგება ნახშირი და ალმასი, განსხვავება მხოლოდ მათ წყობაშია.

17 ივნისს, საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში ერთი ალმასური გაბრწყინება იყო. წარმატებები ქართული პარლამენტის „გაალმასებას“!

გაუმარჯოს, ქართულ პარლამენტარიზმს!

აქცენტები პოსტპანდემიური პერიოდისთვის...

იური პაპასძუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფოს უნივერსიტეტის პროფესორი

საზოგადო სიკეთეს, წესრიგს და განვითარებისკენ პატიოსან სწრაფვას ზურგი არ უნდა შევაქციოთ!

საქართველოში საშემფასებლო საქმიანობაზე მოთხოვნა საბჭოური სისტემის ტრანსფორმაციულ პროცესებს შემოჰყვა. მოძრავ-უძრავი ქონების, აქციების, წილების, ბიზნესის თუ ინტელექტუალური საკუთრებითი უფლებების შეძენა, სარგებლობა ან განკარგვა, რაც პოსტსაბჭოთა საბაზრო ურთიერთობების განუყოფელ შემადგენელად იქცა, მათი ღირებულებით გამოხატულებაში განსაზღვრის გარეშე წარმოუდგენელია.

საბანკო, სადაზღვევო, საფინანსო, საინვესტიციო, საპრივატიზაციო, საგადასახადო, საშუამავლო, სავაჭრო, აგრეთვე სხვა სფეროები და, მაშასადამე, მთლიანად ეკონომიკური საქმიანობა, ღირებულებითი მაჩვენებლების საძირკველზე დგას. მოვლენათა განვითარების ცვალებად დინამიკაში ხშირია ფასების აღმავალი და დაღმავალი რყევები. ამიტომ მათზე მყისიერი რეაგირება და საკუთრებით უფლებებზე დროის შესაბამისი რეალური ღირებულებების შენარჩუნების (აფასების ან ჩამოფასებისს) უზრუნველყოფა გარდაუვალი ხდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების ფულად გამოსახულებაში ასახვა ობიექტურ რეალობას, შეფასების მიზანსა და დანიშნულებას უნდა შეესაბამებოდეს, რაც მხოლოდ სპეციალური განათლების, პრაქტიკული მომზადების, გამოცდილების და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვის პირობებშია მიღწევადი.

არარეალური, არაშესაბამისი ფასდების ყოველმხრივ დამანგრეველი შედეგები ბევრჯერ იწვნიეს განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებმა. საწარმოებშიც ფინანსურ პრობლემებს და გაკოტრების წინაპირობას სწორედ აქტივებისა და სამეურნეო ოპერაციების არასწორი, არარეალური, არაშესაბამისი შეფასება ქმნის. შეფასების ფუძემდებლური პრინციპების უგულველყოფა ურჩ შემსრულებლებს მუდმივ კრიზისებსა და ეკონომიკური სისტემის სრულ ჩამოშლას უქადის. მოსალოდნელი კოლაფსის საფრთხისგან არც საქართველოა დაცული.

საქმიანი წრისათვის მეტი დეტალიზების, განმარტებების გარეშეც ცნობილია, ხოლო აღმასრულებელმა ხელმძღვანელობამ კი ჯეროვნად უნდა გააცნობიეროს საშემფასებლო საქმიანობის როლი და მნიშვნელობა, მით უფრო, პოსტპანდემიურ პერიოდში განვითარებისკენ მიმართული ახალი კაპიტალდაბანდებების, უძრავ-მოძრავი ქონებისა თუ ფინანსური შედეგების შეფასებაზე მოთხოვნადობა გააქტიურდება.

საქართველოში საშემფასებლო საქმიანობა ცალკეული თავდადებული ენთუზიასტების მეშვეობით შემოვიდა, ფაქტობრივად, პროფესიული თვითრეგულირებით ვითარდებოდა და ამჟამად თვითდინებაზეა მიშვებული, - საშემფასებლო საქმიანობის შესახებ კანონი დღესდღეობით არ არსებობს; აქტივების ყიდვა-გაყიდვისას, მათ შორის, სახელმწიფო ქონების გასხვისების დროს, არაა განსაზღვრული რა და როგორ უნდა შეფასდეს; ასეთ პირობებში, არც ისაა გამორიცხული, რომ გარიგებები საზოგადოებისგან მალულად განხორციელდეს და როცა შესაძლებელია კანონის უზენაესობას აცდეს ფარულ შეთანხმებათა თუნდაც ნაწილი, ქონების ღირებულებების ან ეკონომიკის ზრდის რეალობაზე მსჯელობა უკვე აზრს კარგავს. ამიტომ, ყველა ნიშნის მიხედვით, საშემფასებლო საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება აუცილებელია. აღნიშნულს პრაქტიკა და მეზობელი ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს.

წლების განმავლობაში, საშემფასებლო საქმიანობა „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონთან იყო მიბმული. შემფასებლის ფუნქცია აუდიტორულ მომსახურებაში გადიოდა. იმ აუდიტორს, რომელსაც გაჩნდა სერთიფიკატი ზოგად აუდიტში, შეეძლო შეთავსებით მოეხდინა უძრავ-მოძრავი ქონების შეფასებაც და გაეცა სათანადო აუდიტორული დასკვნები მაშინ, როდესაც შემფასებლობა და აუდიტორობა აშკარად სხვადასხვა კომპეტენციაა.

ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმების დროს, სავსებით სწორად დადგა საკითხი აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის თაობაზე. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 8 ივნისს მიღებული კანონის თანახმად, დროებით, შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება მიენიჭება აკრედიტებულ შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებლებს; საქართველოს მთავრობას დაევალა 2017 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტი. მას აქეთ კი, კანონში შევიდა ცვლილება და საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღება, უკვე ორჯერ - 2018 წლის 31 დეკემბრამდე და

2019 წლის 1 ივლისამდე, გადაიდო, თუმცა მერე, აღნიშნული თარიღიდან დღემდე, კანონში არც ცვლილება შესულა და არც საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტია გამოცემული.

აშკარაა, კანონი დაირღვა და Covid-19-ის გავრცელებაზე მიზეზების აკიდება ან პანდემიისთვის მისი გადაბრალება კანონდარღვევაზე არანაკლებ პასუხსაგებია.

კანონში მეორე ცვლილების განხორციელებამდე, ჯერ კიდევ 2017 წლის მიწურულიდან გააქტიურდა ძალისხმევა და საშემფასებლო საქმიანობის რეგულატორად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური მოიაზრებოდა. მაგრამ მაშინ კანონპროექტის განხილვის მსვლელობა დამტკიცებისკენ მიმავალ ლაბირინთებში სადღაც „გაიჭედა“ და დაყოვნების ნამდვილმა მიზეზმა „მიხურული კარების ჭუჭრუტანიდან“ ვეღარ გამოაღწია.

საკანონმდებლო აქტის მიღების გადავადების პრაქტიკა ახალი არ არის - ძველი ხრიკია. ასე იყო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიღებისას; ასეა ბევრ მისაღებ ეკონომიკური კანონპროექტთანაც. ყველა მათგანს პარლამენტამდე დაინტერესებულ პირთა ჯგუფი „მიაცილებს“. იქ კიდევ სხვა „გუნდი“ ხვდება. კერძო ინტერესების გამომხატველი ჩანაფიქრების განხორციელებისთვის მზადებას ყოველთვის ჩუმად, საიდუმლოდ იწყებენ და ხორცშესხმას, საარჩევნო ბაკჰანალიის კულმინაციაზე ასვლის პერიოდში, პარლამენტის ბოლო სასესიო ცაიტნოტით აღწევდნენ. ინტერესების ჭიდილის, კულუარული „შეტაკებების“ გარეშე არ ხდება, რომ რომელიმე მხარის მიერ „გააქტიურებული“ პროექტი საზოგადო სიკეთეს, წესრიგს და განვითარებისკენ პატიოსან სწრაფვას მოემსახუროს.

ასე იყო ეს ადრე, ახლაც ასე გრძელდება.

საშემფასებლო საქმიანობის შესახებ რეგულაციის მიღების შეჩერება, ერთი მხრიც, ამ ინტერესთა ჯგუფების გათვლილი მოქმედებების შემადგენელია, მეორე მხრივ კი, - მათ შორის „სამკვდრო-სასიცოცხლო“ დაპირისპირების შედეგი.

როგორც მოგვიანებით გამომზეურდა, სრულებითაც არაა შემთხვევითი, რომ ინტერესთა ჯგუფის მეცადინეობით, საშემფასებლო საქმიანობის შესახებ რეგულაციის მიღებამდე, მთავრობის კანცელარიამ პარლამენტს, სწორედ ბოლო სასესიო პერიოდში, ჯერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის“ ზედამხედველობის სამსახურის სტატუსის შეცვლასა და დაქვემდებარების ფინანსთა სამინისტროდან ეროვნული ბანკისათვის გადამისამართებაზე კანონპროექტი, მომზადებასა და განხილვის პროცესში პროფესიული ორგანიზაციების სრული იგნორირებით, ინკოგნიტოდ, მიაწოდა.

აღნიშნულ აქტში, რომელიც პანდემიის გამო, ახლა პარლამენტში თვლემს, ინტერესთა კომფლიქტის შემცველი დაუშვებელი შეუსაბამობის გარდა (ეროვნული ბანკი აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტია), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური საერთოდ არ ჩანს - მისი ფუნქცია მთლიანად ეროვნულ ბანკზეა გადაკისრებული. ამ უკანასკნელის ინტერესებშია კაპიტალის ბაზრის ფორმირებაში მონაწილე მხოლოდ სდპ და პირველი კატეგორიის საწარმოები. ამდენად, ასეთი გადანაცვლება, დაინტერესებულ პირთა მიზნებთან შერწყმული „დიდი ოთხეულის“ და საერთაშორისი ქსელის მსხვილი არაქართული აუდიტორული კომპანიების აღზევებას მოემსახურება. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარისგების გამჭვირვალობა/გამოქვეყნების აუცილებლობა ინტერესს დაკარგავს, შესაბამისად, მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიებიც, ფაქტობრივად, თამაშგარეშე დარჩებიან. ამ კანონპროექტის გამოქვეყნებული ვარიანტი პროფესიის განვითარებისთვის მიუღებელ/ხელშემშლელ ბევრ სხვა საფრთხესაც შეიცავს და საზოგადოებას (დარგის განვითარებით დაინტერესებულ პირებს) მოუწევს ამ განზრახვის შესრულების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში ჩართვა. თუ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიღების პროცესის თანმხლებ ვნებათაღელვას გავიხსენებთ, მასში ცვლილებების შეტანა მარტივი არ იქნება - პროფესიული ორგანიზაციების, აგრეთვე სპეციალისტების და აუდიტორების უმეტესობის განწყობა ზედამხედველობის ფუნქციის გაუმართლებელი უწყებ-

რივი გადამისამართების მიმართ მკვეთრად უარყოფითია. მაგრამ მისი მიღება ინტერესთა ჯგუფისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამით ერთი ინტერესის (გარკვეულ პირთა წრის) გავლენის ქვეშ აღმოჩნდება დიდი საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტის და საშემფასებლო საქმიანობის მართვა, განვითარება თუ რეგულირების ყველანაირი ბერკეტი. ამ ჯგუფის წინასწარგათვლილი ფარული განზრახვის სამიზნე ისაა, რომ ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე ზედამხედველობა როგორმე მოექცეს ეროვნული ბანკის ქოლგის ქვეშ, თორემ ანგარიშვალდებული სანარმოების, ფასიანი ქაღალდების (აქციების), აგრეთვე საშემფასებლო საქმიანობის ყველაზე მსხვილი სეგმენტი კი, ისედაც მისი კონტროლისა და რეგულაციის დაქვემდებარებაში იმყოფება. საქმე ისაა, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები სააქციო საზოგადოებების (მსხვილი საწარმოებისა და საზოგადოებრივი დაინტერესების პირების) ფინანსურ ოპერაციებზე, ფაქტობრივად, შეუზღუდავია; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 14 მაისის №84/04 ბრძანებით დამტკიცებულია კომერციული ბანკებისთვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქცია და საშემფასებლო საქმიანობის ყველაზე დიდი მომხმარებელი მხოლოდ აღნიშნული ინსტრუქციის თანახმად ახორციელებს შეფასების პროცესს. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნორმატიული აქტის საფუძველზე, ამ წრის გაფართოება თავისუფლად შეიძლება და პარლამენტის პროცედურების გავლა (დაპირისპირება და გულწამღები დაბატები) რეგულაციის მისაღებად უკვე საჭირო არ იქნება. ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად, დახურული უწყებაა და შვიდი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებები ხელშეუვალია. სწორედ ამითაა მოტივირებული, საშემფასებლო საქმიანობის შესახებ კანონის მიღების გადავადებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის „ბნელით მოცული“ პროცესი.

ზედამხედველობის სამსახურის არსებობა და მის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, 2010 წლიდან „გააქტიურებული“ მიმდინარე რეფორმების (ინტერესთა გადანაწილების) ყველაზე დადებითი შედეგია, თუმცა მისი დამოუკიდებლობა, უწყებრივი დაქვემდებარების გამო, შეზღუდულია. ამიტომაც არის ის უწყებიდან უწყებაში უბოდიშოდ გადასამიმართების ობიექტი. ის პროფესიისგან და ნებისმიერი იერარქიის უწყებრივი გავლენებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ პროფესიული პრობლემებისგან არა მოწყვეტილი, მიუკარებელი და მხოლოდ სადამსჯელო უფლებამოსილებით აღჭურვილი. მაშინ ასეთი „ტრიუკების“ ჩატარებას ვერავინ გაბედავდა.

კორონავირუსმა, ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად, დადებითიც მოუტანა კაცობრიობას. მართველობისა და ყველა სხვა არასწორი გადაწყვეტილების ნეგატივი ერთიანად ამოატივტივა. ბევრი ცუდი ჩანაფიქრის განხორციელებაც, მათ შორის, ბუღალტრული, აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნულ ბანკისთვის გადაცემა დროებით შეაჩერა. მაგრამ არავინ იცის, კვლავ როდის გააქტიურდება მიჩუმათებული ნაღმები. ამიტომაც საჭიროა ამ საკითხებს საზოგადოების ყურადღება მიექცეს.

აღნიშნული, შესაძლოა, დიდხანს არც გამხდარიყო სამსჯელო, რომ არა საინფორმაციო ანალიტიკურ სააგენტო „ივერიონში“ მიხეილ ჯიბუტის მიერ პირდაპირი დამიზნებით და წერტილოვანი დარტყმებისთვის გამოქვეყნებული ფრიად საყურადღებო წერილი (15.05.2020 წ., **„გიორგი გახარია მემკვიდრეობით მიღებული კანონდარღვევით წავა?“**), რომელიც კეთილგანწყობით, პასუხისმგებლობით, მიზანშეწონილობითაა დამუხტული და ფაქტობრივად, ხმამაღალი, გაბედული შეძახილია Covid-19-ის გამოჩენამდე სახელისუფლებო იერარქიის მიტაცების დაუნდობელ ჭიდილში მიჩქმალული ბნელი განზრახვების სამხილებლად და პოსტპანდემიური პერიოდისთვის „ჯანსაღი ცხოვრების წესრიგის“ დასამკვიდრებლად. **თავისი შინაარსითა და პათოსით, ეს წერილი ხელისუფლებისათვის მხარში დგომის საუკეთესო ნიმუშია - შეხსენებაა იმისა თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება, რა გამორჩა „მზრუნველ მეურვეს“ და რა უნდა გამოსწორდეს.**

უახლოეს წარსულში, როცა ჯერ კიდევ საბჭოური წესრიგი „გვაბეზრებდა თავს“, არათუ საზოგადოდ ცნობილი და კომპეტენტური პირის ვრცელი წერილი, არამედ რიგითი ჟურნალისტის „მორიგი რეიდის“ ჩამოქროლების მასალა რომ დაიბეჭდებოდა პრესაში, „რეკდნენ ზარები“, ზანზარებდა მართველობითი ელიტა, გამოსავალს ეძებდნენ... ახლა დაწერილს კი არა, ფირზე აღბეჭდილსა და დოკუმენტურად დადასტურებულსაც მარშით ჩაატარებენ ყურებსა და თვალთა საწიერს.

დროის ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ესაა, როცა ხალხს (ბრძენს, ყოვლისმცოდნეს, გამოცდილს) ხელისუფლება არ უსმენს და თავისას „ასე უბერავს“, უფრო უარესია, როცა ვისაც ესმის, ჩუმად ზის და სხვისთვის საამებელს „ისე უბერავს“.

ძლიერ ცუდად მენიშნა, რომ მიხეილ ჯიბუტის წერილი, სულ ცოტა, 1000-მა მკითხველმა ნახა, თუმცა ორიოდ გაბედული „რაინდის“ გარდა, არავინ კომენტარი არ დაურთო, მოსაზრება არ გამოხატა, ის მაინც არ დააფიქსირა, ემხრობა თუ არა მის პოზიციას, არადა, ეს უთუოდ აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის!

რა მოხდა? წერილი ზომაზე მეტად მკაცრი იყო თუ მოერიდათ?

ჩემი აზრით, საჯარო მოხელეები მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ, როცა გადაწყვეტილებებს ღებულობენ, როცა მოვალეობას არ ასრულებენ, როცა ეშმას ეყიდებიან, როცა საზოგადო სიკეთეს, წესრიგს და განვითარებისკენ პატიოსან სწრაფვას ზურგს აქცევენ. უნდა ესმოდეთ, რომ მათი ნამოქმედარი უთუოდ გამოჩნდება, - ათასობით მზერა აკონტროლებთ.

წაყრუებამ, მორიდებამ, მაამებლობამ, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვამ და ჩრდილში განცხრომით ყოფნამ დაგვაზარალა.

მეტი აქტიურობით უნდა ჩავერთოთ პოსტპანემიური პერიოდისთვის მზადებაში და არ დავუშვაშთ, პროფესიული განვითარება კერძო ინტერესების გავლენებს შეეწიროს.

მიღებულ გადაწყვეტილებას მიდევნებული განხილვის ქრონიკა

28 მაისს შედგა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნულ ბანკისთვის მინიჭების თაობაზე საკანონმდებლო აქტების პაკეტში შესული ძირითადი კანპროექტების პროფესიული ორგანიზაციებისთვის გაცნობითი დისტანციური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, ზედამხედველობის სამსახურის და ორი პროფესიული ორგანიზაციის **- ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) და აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის (საბფმფ) წარმომადგენლები.**

შეხვედრას უძღვებოდა **ნიკოლოზ გაგუა.** მან ისაუბრა შეხვედრის მონაწილეებთან ისაუბრა მიზანზე, რომლის მიღწევაც კანონპროექტის მიღებითაა განსაზღვრული. ამასთან, ყურადღება გაამახვილა ეროვნულ ბანკთან შეჯერებულ პროექტში შესაატან ცვლილებებზე.

იყო მოლოდინი, რომ პროფესიის წარმომადგენლები გაეცნობოდნენ კანონპროექტის ავტორთა მიერ გათვალისწინებულ ცვლილებებს და მიიღებდნენ განმარტებებს ფორსირებულ რეჟიმში მათ მიერ ადრე გამოთქმულ შენიშვნებზე.

აღნიშნულის აუცილებლობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ კანონპროექტების ინიცირება და პარლამენტში შეტანა განხორციელდა მასში პროფესიული ორგანიზაციების მონაწილეობისა და საჯარო ინფორმირების გარეშე. აგრეთვე იმანაც, რომ გათვალისწინებულია მთავრობის სახელით ინიცირებული პაკეტის დაჩქარებულად მიღება დღევანდელი პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე.

როგორც აღმოჩნდა, საკანონმდებლო აქტების პაკეტის ძირითად კანონპროექტებში შესულია მხოლოდ ტექნიკური და რედაქციული სახის კორექტივები. ძირითადი სიახლე კი ის აღმოჩნდა, რომ ეროვნული ბანკის სტრუქტურაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე იქმნება **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომიტეტი,** რომლის წევრებად მოიაზრებიან **ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, შესაბამისი ვიცე-პრეზიდენტი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები.** აგრეთვე ჩნდება ჩანაწერი სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრის შესახებ და სხვა.

ცხარე კამათი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მიუხედავად დაპირებისა, წერილობით მიწოდებული არგუმენტირებული შენიშვნებისა და საჯარო სივრცეში სპეციალისტთა მიერ გამოთქმული უმწვავესი შეფასებებისა, არსებითად არაფერი არ იცვლება არც კანონპროექტში და არც მის ავტორთა თავდაჯერებულ პათოსში.

დიახ, არც ერთ შენიშვნაზე და პრობლემურ საკითხზე შეხვედრის მონაწილეებმა ვერ მიიღეს დამაჯერებელი და მით უმეტეს, დამაკმაყოფილებელი პასუხი.

რაც მთავარია, ავტორები სარწმუნოდ ვერ ხსნიან, თუ რა უპირატესობით ან რა მიზეზით და მოტივებით ხდება ფინანსთა სამინისტროდან ეროვნულ ბანკში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციის გადამისამართება; რაში ვლინდება არსებული სახით ზედამხდეველობის სამსახურის დამოუკიდებლობის გამყარება ან დარგის რეგულირების ეფექტიანობის ამაღლება, მაშინ, როდესაც უქმდება დავების საბჭო, ზედამხედველობის სერვისი შორდება უშუალო მომხმარებელს და ინაცვლებს ეროვნული ბანკის ჩაკეტილ სისტემაში; მეტიც, უთანხმოებების გადაწყვეტა გადადის სასამართლოებში; ნებისმიერი აქტის მიღება ან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით დასასაქმებელი კადრის კარიერა დაემორჩილება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კეთილ ნებას!

თუ ამ ცვლილებებში ზედამხედველობის დამოუკიდებლობის გაზრდაა უმთავრესი მიზანი, რატომ ვერ ხერხდება სამსახურის ცალკე, ავტონომიურ მარეგულირებელ ორგანოდ ჩამოყალიბება?

პასუხგაუცემელი საკითხების სიმრავლისა და დისტანციური ურთიერთობის დროის შეზღუდულობის გამო, გადაწყდა, რომ შეხვედრა 29 მაისსაც გაგრძელდებოდა. თუმცა, დღეს შევიტყვეთ, რომ შეხვედრა მომავალი კვირისთვის გადაიდო. ნაკლებია იმის მოლოდინი, რომ პროექტებში ძირეული ცვლილება მოხდება, მაგრამ შეხვედრის გაგრძელებას ექნება აზრი, თუ ზედამხედველობის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებაზე გაგრძელდება მსჯელობა.

უცნობია, გაკეთდა თუ არა შეხვედრის ჩანაწერი, ან გახდება თუ არა მისი დეტალები საჯარო, მაგრამ აუცილებელია დაინტერესებულმა პირებმა და საზოგადოებამ მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია.

ტროას ცხენი პარლამენტში, ანუ სამოხელეო სინერგია...

გამოხმაურება მიხეილ ჯიბუტის მორიგ ახალ ღია წერილზე: „პარლამენტი პარლამენტის წინააღმდეგ?“

ასეთი ინტერესი პროფესიულმა თავმოყვარეობამ განაპირობა - კანონპროექტი, რომლის მიღებასაც აწ უკვე პარლამენტი აპირებს, **დივერსიულ აქტად** მიმაჩნია. ვცადე, საკუთარი პოზიცია გადამეხედა, თუმცა **მიხეილ ჯიბიტის ამ წერილმა დამარწმუნა, რომ არ ვცდებოდი**. მეტიც, გამახედა იმ „ჭუჭრუტანაში“ რომელიც არც შემინიშნავს. დეტალების ხაზგასმას (განხილვას, განმეორბას) არ შევუდგები, **წერილში გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეფასებებს აბსოლუტურად ვიზიარებ. გამოვხატავ რა ჩემი კოლეგების განწყობას, ვუერთდებით აქ წარმოდგენილ პათოსს და საჭიროდ მივიჩნევ მივიქციოთ საზოგადოების ყურადღება „ცუდად შეფუთული“ და „ტროას ცხენივით მზაკვრულად შემოგდებული“ უმსგავსობის აღსაკვეთად.**

ეს „თავგანწირვა“ სულაც არაა პოლიტიკურ პარტიულ-ოპოზიციური დაპირისპირება. ჩემი თანამზრახველობა და თანამოაზრეობა იმ სფეროს ეხება, რომელსაც ოთხ ათეულ წელზე მეტია ვემსახურები. სხვა განზრახვა არ გამაჩნია. ურყევად ვდგავარ იქ, სადაც **„ზურგის ტვინით“ ვგრძნობ, რომ რეფორმებს ამოფარებული ინტერესთა ჯგუფი „შეთქმულებას აწყობს“- საღ აზრს უპირისპირდება და გამოცდილება მაძლევს საშუალებას განვაცხადო: ეს გზა კბოდეზე გადაუშვებს დარგის რეგულირებაში მიღწეულ წარმატებებს**. სხვაგვარად არც შემიძლია - თვალდახუჭვა, გაჩუმება დანაშაულის ტოლფასია.

მიხეილ ჯიბუტმა პრემიერ-მინისტრისთვის მიმართვის წინა ღია წერილში **„მთავრობის მიერ ეროვნული ბანკის მცოცავი ოკუპაცია თუ ფუნანსიზაცია?“**, გამოაშკარავა და საჯარო გახადა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აგრეთვე მისგან გამომდინარე კანონპროექტების“ მომზადებასა და პარლამენტისთვის წარდგენის პროცესის თანმხლები უპატიებელი დარღვევების ნუსხა - **კანონპროექტის შემქმნელი ნამდვილი ჯგუფის გამაშიშვლებელი, მამხილებელი, შეუდავებელი, ფაქტობრივად, „საბრალდებულო დასკვნა“.** ასეთი მიმართვის შემდეგ, კანონპროექტებს არც უნდა მისცემოდა შემდგომი მსვლელობა.

ახალი ღია წერილი: **„პარლამენტი პარლამენტის წინააღმდეგ?“**, რომელიც პარლამენტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეებს **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის** სახელით გაეგზავნა, პარლამენტში კანონპროექტების მიღების (განხილვის) უკვე დაწყებულ პროცესების თანმხლებ დარღვევებს ასახავს. **აქ მკაფიოდ, არგუმენტირებულად, პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე, აღწერილია თუ რა ვერ „შეამჩნია“ ან მიაჩუმათეს პარლამენტის კომიტეტებმა, რომ ბოლომდე შეუფერხებლად გავიდეს კანონპროქტების პაკეტის ავტორთა ახირება.**

დიახ, ახირებაა, უფრო „კოლექტიური ინტერესი“, ეროვნული ბანკისთვის ისეთი ფუნქციის გადაკისრება, რაც, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, დაუშვებელია მას ანდო, რაზეც ამ ინტერესის ჯგუფის გარდა, სხვა ყველა თანხმდება, რომ **ეს ინიციატივა ზიანის მომტანია:** - პროფესიულ ორგანიზაციებს, რომლებზეც, ფაქტობრივად, გადადის რეფორმის ყველა სიახლის, ცუდის და კარგის, აღსრულება, კანონპროექტი არ მოსწონთ (მათთვის არავის არაფერი უკითხავს, არც „აღსანიშნად“ სახელდახელოდ მოწყობილი შეხვედრისთვის მიდევნებული შენიშვნები გაუთვალისწინებია ვინმეს); სპეციალისტებისგან უკიდურესად უარყოფითი გამოხმაურება მოჩქრიალებს ყველა პუბლიკაციიდან; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის საბჭოს არ განუხილავს მისი სტატუსის შეცვლის საკითხი და უცნობია მათი პოზიცია; არც ეროვნული ბანკის საბჭოს უმსჯელია სებ-ისთვის ახალი ფუნქციის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ; ჩნდება ახალი გარემოებებიც, რაც მთელ ამ პროცესის მართლზომიერებას ეჭვქვეშ აყენებს. აი, თუნდაც:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (მუხლი 101, 1, გ) თანახმად, პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილ კანონპროექტს, პარლამენტის ბიურო განსახილველად გადასცემს წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე საქართველოს მთავრობას. საფინანსო სექტორის წარმომადგენლის საქმიანობის მარეგულირებელი კანონპროექტი გადაეცემა ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს. მოცემულ შემთხვევაში, ეს მოთხოვნა, ვთქვათ, დაცულია. ამ უკანასკნელმა კი 2020 წლის 16 მარტის N3313/4-3/20 წერილზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავჯდომარეს 2020 წლის 1 ივნისს გაუგზავნა პასუხი (N 2-14/1405, შტრიხ-კოდით: 1405-14-2-202006010852), რომლითაც საქართველოს ორგანული კანონის პროექტის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მასთან დაკავშირებული კანონების პროექტების პაკეტის (№07-2/459) **„შესაბამის უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან ფორსირებულ რეჟიმში განხილვის შედეგად**“ გამოკვეთილ რიგ საკითხებზე წარუდგენა საჭირო ცვლილებები და დაზუსტებები. წერილს ხელს აწერს ეროვნული ბანკის

ვიცე-პრეზიდენტი **პაპუნა ლეჟავა**, რომელიც ამავდროულად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის საბჭოს წევრიცაა.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის (მუხლი 15, 1, ბ) თანახმად, **ეროვნულ ბანკს მესამე პირებთან წარადგენს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი,** რომელიც ადგილზეა და უფლებამოსილებებს ასრულებს.

ასეთ მოცემულობაში, გაუგებარი რჩება ვის პოზიციას წარმოადგენს ვიცე-პრეზიდენტი, - ეროვნული ბანკის საბჭოს (რომელსაც ეს საკითხი არ განუხილავს), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის საბჭოს (ის მხოლოდ წევრია ამ საბჭოში) თუ ეროვნულ ბანკს (რომლის წარმომადგენლობა ბანკის პრეზიდენტს ევალება)?! ამასთან, რომელ **„შესაბამის უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან ფორსირებულ რეჟიმში განხილვის შედეგად"** გამოკვეთილ საჭირო ცვლილებებსა და დაზუსტებებზეა აქ მინიშნება? - პროფესიული ორგანიზაციების არც ერთი საყურადღებო შენიშვნაც კი ამ წერილში გათვალისწინებული არაა; სპეციალისტების მიერ მითითებულ დარღვევებსა და უმთავრეს სადაო საკითხებზეც არაა პასუხი გაცემული.

გარდა ამისა, სხვა გაუთვლელ და უარყოფით შედეგებთან ერთად, ავტორები ცრუობენ კიდეც და ირწმუნებიან, რომ ცვლილებებთან დაკავშირებით ხარჯების მატება მოსალოდნელი არ არის. ამ დროს, ასეთი დათქმა სრულიად მიუღებელია: პროექტიტან ნათლად ჩანს, რომ იზრდება ბანკის საბჭოს წევრების რიცხოვნება, ახლად შესაქმნელ კომიტეტსაც გარედან შეიძლება წევრები დაემატოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად აშკარაა განაცხადდთან აცდენა. ამასაც თავი რომ დავანებოთ, **თუ უკეთესი პირობები არ იქმნება (რაც ცხადია, მეტ დანახარჯთან არის დაკავშირებული), თუ უწყებრივი დამოკიდებულება ნარჩუნდება და მმართველობა (რეგულირება) გაცილებით მეტ ბიუროკრატიულ ბარიერებს იქმნის, მაშინ რა გამორჩენისთვის ხორციელდება ასეთი „მასშტაბური" ცვლილება?!**

არის კიდევ ერთი აუხსნელი გარემოებაც: უწყებრივი დაქვემდებარების მოდელში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურების „შეფარებისთვის" ყველაზე „საუკეთესო" არჩევანი ფინანსთა სამინისტრო იყო. ახლა, როცა ზედამხედველობის სხვა უწყებაზე (ეროვნულ ბანკზე) გადამისამართება იგეგმება, გამოდის, რომ ფინანსთა სამინისტრომ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა - ზედამხედველობის სამსახურს ვერ შეუქმნა ფუნქციონირებისა და განვითარების სათანადო პირობა, ან გაჩნდა შეუთავსებლობის (პიროვნული დაპირისპირების) გაუხმაურებელი (კულუარული) კერა და კონფლიქტის განრიდების ინიციატორებს გაუჩნდათ „ახალი სარფიანი ინტერესი" ეროვნულ ბანკში (რომელზეც, რეგულაციის მიღებისას, ერთხელ უკვე უარი თქვეს საერთაშორისო ექსპერტებმა და პარლამენტმაც კი) თავი მოეყარა ფინანსური სისტემის მარეგულირებელ ყველა წარმონაქმნს.

კი, მაგრამ მაშინ **ვინ უნდა აგოს პასუხს ფინანსთა სამინისტროს „შეუსრულებელ მისიაზე" ან უკვე - ერთხელ დაწუნებულ „თავშესაფარში" დაბრუნების ახალ არჩევანზე?!**

მოკლედ, საითაც კი ეს ცვლილებათა პაკეტი გადაისადგურებს, დარღვევის მიმართ მედეგობა უქვეითდება, ახალ თავსატკივარს იძენს, უკურნებელ „ვირუსებს" იკიდებს და მიუხედავად იმისა, რომ თანამიმდევრობით დალაგებულია (საჯარო გახდა) მიჩუმათებული (აწუკვე გახმაურებული) „კანონშემოქმედებითი პროცესის" ყველა დარღვევა და ნეგატივი, ინტერესთა ჯგუფის დაუოკებელი თავნებობა მაინც მიიწევს წინ ფინიშისკენ - მალე კანონის სახით უნდა მოგვევლინოს.

მაშ, რა ხდება?! - თუ კანონპროექტები მომზადდა და ინიცირებულია ჩუმად, პროფესიის წარმომადგენლებთან კონსულტაციის გარეშე, დადგენილი პროცედურების დარღვევებით; პარლამენტის კომიტეტებშიც უხეშად ირღვევა რეგლამენტით განსაზღვრული ნორმები; თუ ცვლილებათა პაკეტი მოქმედი საკანონმდებლო აქტების - კონსტიტუციის, შესაბამისი კანონების, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებების ნორმებთან წინააღმდეგობაშია, ინტერესთა კონფლიქტსაც აღვივებს; თუ საუკეთესო გამოცდილებას არ ვიზიარებთ და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც რჩევას არ დავეკითხებით; თუ შინაური ექსპერტები და სპეციალისტები სასიკეთოს არაფერს ხედავენ ამ „ავანტიურაში"; თუ პროექტის ავტორები სარწმუნოდ ვერ ხსნიან ცვლილების უპირატესობას და აუცილებლობას, მაშინ რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ „სამოხელეო სინერგიას?" რად გვინდა ცვლილება, რომელიც ასამარებს იმას, რაც წარმატებულადაა მიჩნეული და თავიდანვე განწირულია მარცხისთვის? ვის ბიზნეს-ინტერესებს ემსახურება ჩაფიქრებული ცვლილება? - ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

სხვა აზრი არც უნდა იყოს, დაწყებული რეფორმები უთუოდ საჭიროებდა განვითარებას. მათ შორის, ზედამხედველობის სამსახური რეორგანიზაციას - დამოუკიდებლობისკენ უფრო თამამი ნაბიჯების გადადგმას, სადამსჯელო ბერკეტებიდან განთავისუფლებას და ბუღალტრული, ანგარიშგებითი, აუდიტორული საქმიანობის პრობლემების გადაწყვეტის, ხელშეწყობის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბებას. მაგრამ არა უწყებიდან უწყებაზე ისეთ გადამისამართებას, როგორიც შემოგვთავაზეს.

გონებაში როცა ვაანალიზებ, რომელი სახის ორგანიზაციული მოწყობაა უკეთესი ან მისაღები, ყოველთვის ვიხრები ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებაზე, მის არაპრაქტიკოსებით დაკომპლექტებაზე, ისე როგორც ეს ევროდირექტივებშია რეკომენდირებული. ყველაზე საუკეთესო იყო და ახლაც ამ აზრზე ვრჩები, რომ შეიქმნას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ინსტიტუტი და დაუწესდეს მას პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება. დაფინანსების, დაკომპლექტების და მართველობის დეტალებზე/სრულყოფაზე კომპეტენტური მსჯელობა ყოველთვის შეიძლება. სხვა მოსაზრების განვითარებას, გვინდა თუ არა, კერძო ინტერესების ლობირებისკენ მივყავართ.

კი, ეს ასეა, მაგრამ... ანუ ცვლილება, რომელიც მხოლოდ მათ აწყობთ!

ჩანაწერები შეხვედრების ქრონიკიდან

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნულ ბანკისთვის გადაცემის თაობაზე საქართველოს მთავრობის სახელით ინიცირებულ საკანონმდებლო აქტების პაკეტს ხმაური მოჰყვა - პროფესიის წარმომადგენლებმა, სპეციალისტებმა და აკადემიურმა წრემ მკვეთრად ნეგატიური განწყობა გამოხატეს.

ინტერესთა ჯგუფის მიერ ჩუმად მომზადებული პროექტი ძალაში 1 მაისიდან უნდა შესულიყო. საქართველოს ბიზნეს-ასოციასიისგან შემთხვევით, სრულიად სხვა სამიზნე აუდიტორიაში გაცხადებულ მოულოდნელ (მოსალოდნელ) ცვლილებებზე ქართულმა აუდიტურმა კომპანიებმა, აგრეთვე ბუღალტრების უმეტესობამ ინფორმაცია და პირველი, მწვავედ კრიტიკული შეფასებები ჟურნალის „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ მთავარი რედაქტორის, აუდიტური კონცერნ „ცოდნისას“ მმართველი პარტნიორის გიორგი ცერცვაძის სტატიიდან მიიღეს (ააფ, №2(242), 2020 წ.).

მოგვიანებით, საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „ივერიონის“, საინფორმაციო სააგენტო „ეკონიუსის“, ასევე, საზოგადოებრივი ქსელის მეშვეობით გავრცელდა, პარლამენტის ვებ-გვერდის შესაბამის ველშიც განთავსდა ცნობილი მეცნიერის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მიხეილ ჯიბუტის ღია წერილების სერია პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის (თავმჯდომარის, საფინასო-საბიუჯეტო კომიტეტის, წევრების) მიმართ (**„გიორგი გახარია მემკვიდრეობით მიღებული კანონდარღვევით წავა?“ 15-05-2020; „მთავრობის მიერ ეროვნული ბანკის მცოცავი ოკუპაცია, თუ ფინანსიზაცია?“ 27-05-2020; „პარლამენტი პარლამენტის წინააღმდეგ?“ 1-06-2020**), რომლებშიც აღწერილია საკანონმდებლო აქტების პაკეტის მომზადებისა და წარდგენის, აგრეთვე პარლამენტში დაწყებული პროცედურების მსვლელობისას დაშვებული დარღვევების ნუსხა. საკუთარ შეხედულებებთან ერთად, ღია წერილებში **მიხეილ ჯიბუტმა** საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პოზიცია გააჟღერა. **აქ იმდენად ძლიერი „წერტილოვანი დარტყმები“ და შეუდავებელი არგუმენტებია, რომ „ქვა ქვაზე არ დარჩა“. ამის შემდეგ, კანონპროექტების პაკეტის მიღების პროცედურები თუ კი გაგრძელდა, ახალ სამოხელეო დანაშაულს დაედება სათავე.**

ამავე საინფორმაციო სივრცეში გამოქვეყნდა ჩემი გამოხმაურებები და კრიტიკული მოსაზრებები პროექტის ავტორთა განზრახულობაზე (**„აქცენტები პოსტპანდემიური პერიოდისთვის...“ 21-05-2020; „მოდის კორონავირუსის ნამოქმედარზე დამანგრეველი ნიაღვარი“ 28-05-2020; „მიღებულ გადაწყვეტილებას მიდევნებული განხილვის ქრონიკა“, 29-05-202; „ტროას ცხენი პარლამენტში ანუ სამოხელეო სინერგია“, 2-06-2020**). მათში წარმოდგენილია პროექტის შესაძლო ნეგატიური გავლენა პროფესიისა და ეკონომიკის მიკრო/მაკრო სფეროების განვითარებაზე. არც ეს პუბლიკაციებია ყურიდან ყურში გასატარებელი, მით უფრო, პროფესიულმა აქტივმა და სპეციალისტებმა ეს შენიშვნები სრულად გაიზიარეს.

გარკვეულწილად, პანდემიამ შეაფერხა პროექტის ჩქაროსნული მსვლელობის განრიგი, თუმცა, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და ზედამხედველობის სამსახურის **„ახალი ხედვის“** გუნდს ცდა არ შეუზღუდავს მოქმედი პარლამენტის ბოლო სესიას არჩევნებამდე მიაღებინონ **„რეფორმის დამასრულებელი“** ცვლილებები.

ამ მიზნითა და აწ უკვე აზვირთებული წინააღმდეგობის ჩასაცხრობად, 28 მაისს შესდგა კანპროექტების პროფესიული ორგანიზაციებისთვის გაცნობითი დისტანციური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის, ზედამხედველობის სამსახურის და ორი პროფესიული ორგანიზაციის - **ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) და აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის (საბფმფ) წარმომადგენლები.**

შეხვედრამ ცხარე კამათში და ფაქტობრივად, მოსაზრებათა შეჯერების მიუღწევლად, ჩაიარა - პროფესიის წარმომადგენლებმა ვერც ერთ შენიშვნასა და პრობლემურ საკითხზე ვერ მიიღეს დამაჯერებელი, მით უმეტეს, დამაკმაყოფილებელი პასუხი - ეს უფრო უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე „აღნიშვნისთვის“ მიდევნებულ განხილვას ჰგავდა.

მიმდინარე წლის 3 ივნისს, კანონპროექტების პაკეტის შემქმნელთა ჯგუფის ინიციატივით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაიმართა კიდევ ერთი დიალოგი საჯარო პუბლიკაციების განსაკუთრებულად აქტიურ ავტორებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ გაგუა,** ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი **პაპუნა ლეჟავა,** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **იური დოლოძე,** ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი **გიორგი ძიგუაშვილი.**

კრიტიკული პუბლიკაციების ავტორებიდან მიწვეულები იყვნენ: **მიხეილ ჯიბუტი** (შეხვედრაზე წარმოადგენდა საკუთარ პოზიციასა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას) და **იური პაპასქუა** (შეხვედრას ესწრებოდა პროფესიული აქტივის, აკადემიური წრის ნაწილისა და აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მანდატით).

შეხვედრას უძღვებოდა ფინანსთა მინისტრის მოადგილე **ნიკოლოზ გაგუა.**

მან ისაუბრა კანონპროექტების დაჩქარებულად მიღების, კაპიტალის ბაზრის გააქტიურების, ზედამხედველობის დამოუკიდებლობის გაზრდის აუცილებლობისა და სხვა მოტივებზე (ძირითადად ისე, როგორც ეს კანონპროექტების პაკეტზე დართულ შაბლონურ განმარტებით ბარათშია გაცხადებული). შეხვედრის მონაწილენი შეეხნენ ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელთა ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანის (კანონპროექტების ავ-კარგიანობაზე მსჯელობა სწორედ ამ იურიდიულად გაუმართავი ფრაგმენტიდან დაიწყო), მცირე და საშუალო აუდიტორული ფირმების (ქართული აუდიტორული კომპანიების) ადგილის, პროექტზე საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან კონსულტაციების გათვალისწინების, ზედამხედველობის ფუნქციის ეროვნული ბანკისთვის გადაცემის ადრე დაწუნებული საკითხის ხელახლა დაბრუნების, ეროვნული ბანკის სტუქტურაში ფასიანი ქაღადების ბაზრის ზედამხედველობის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბების და სხვა დაკავშირებულ საკითხებს.

დისკუსია მშვიდ, თუმცა, განსხვავებული შეხედულებების დაპირისპირების ატმოსფეოში თითქმის ორი საათი გაგრძელდა. კითხვებიც და პასუხებიც უკეთესი რეგულაციის მიღების/წარმოჩენის სურვილით იყო დამუხტული. მთავარ საკვანძო პირობებზე მხარეები თანხვედრ პოზიციას გამოხატავდნენ კიდეც, მასპინძლები ადასტურებდნენ, რომ: **კი, ეს ასეა, მაგრამ... მოცემულ შემთხვევაში, პროექტის წარმოდგენილი ვერსია უნდა მივიღოთ!**

აშკარა იყო, რომ პროექტის ავტორებს „რეფორმების“ გაგრძელების სურვილი ნამდვილათ აქვთ, ღრმად არიან დარწმუნებულნი, მათ მიერ მომზადებული ვარიანტის სისწორეში, ყველა გზით, ფორმით, გამოხატვის საშუალებით ცდილობენ შავი თეთრად დაგვანახონ და საპირისპირო საფუძვლიანი შენიშვნების, არგუმენტების თუ გამოცდილების მიუხედავად, არცერთი ბნკარის დათმობასაც არ აპირებენ!

ზოგადად, კანონის მიღების დროს მხარეთა შორის შეთანხმება, კომპრომისი ან გარიგება ნაცადი ყოველდღიურობაა, მაგრამ ჩემთვის სწორედ ეს არის მიუღებელი. კანონშემოქმედება ყველაზე მოწინავე შეხედულებებს, საუკეთესო პრაქტიკას, სრულყოფისკენ სწრაფვას, მიზანშეწონილობას, სახელმწიფოებრივ ინტერესებს უნდა ეფუძნებოდეს და არა ვინმეს მიკერძოებით სიჯიუტეს, ამბიციურ სურვილს, აკვიატებულ პარტიკულარულ ნებას.

შეხვედრაზე მკაფიოდ ითქვა, რომ **ფასიანი ქაღდების ბაზრის ზედამხედველობას დიდი ხანია ეროვნული ბანკი ახორციელებს, თუმცა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ვერ განვითარდა.** კაპიტალის ბაზრის ფორმირება, რითაც კანონპროექტის ინიციატორები აპელირებენ, წარმოუდგენელია საფონდო ბირჟების გარეშე. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში **საბირჟო ურთიერთობების გამოცოცხლება ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროში მოქცევამ გასრისა, პირწმინდად ჩაკლა. კომერციულ ბანკებს ბირჟების განვითარება ხელს არ აძლევს - თავისუფალი ანაბრები და დეპოზიტები მაშინ ფასიან ქაღალდებში გადაინაცვლებს; სავალუტო კურსების დადგენაც მართული კონტროლისგან განთავისუფლდება.**

თავისი არსით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში არ უნდა იყოს (ამ აზრს შეხვედრის მონაწილე მასპინძლებიც იზიარებდნენ). აქედან, ქვეყნის ეკონომიკამ სარგებელი ვერაფერი მიიღო - ეს უდავო ფაქტია. იგივე ელის აუდიტურ და საშემფასებლო საქმიანობას. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვა საგადასახადო დეკლარირებას დაუბრუნდება და ამ სივრციდან ვეღარ გააღწევს.

დაზღვევის ზედამხედველობაც ეროვნული ბანკის მეურვეობით ხორციელდებოდა. გარკვეული პერიოდი

(2008 წლის 14 მარტიდან), სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქციები შეითავსა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით შექმნილმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ. მოგვიანებით კი (2009 წლის 24 სექტემბერიდან 2013 წლის 20 მარტამდე) სადაზღვევო სექტორზე საზედამხედველო ფუნქცია შეითავსა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მის სტრუქტურაში ერთ–ერთ ქვედანაყოფად - დეპარტამენტის სახით ჩამოყალიბდა). მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. შემდგომ ის გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო.

ეს ერთ-ერთი იმის საყურადღებო არგუმენტია, თუ რა განვითარების პერსპექტივა აქვს ბუღალტრულ აღრიცხვას, აუდიტს და საშემფასებლო საქმიანობას ეროვნულ ბანკზე მათი ზედამხედველობის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში. აქ ისიც კარგად იკვეთება, რომ სხვა გზაც არსებობს - უფრო მართებული და დანიშნულებისთვის ყველაზე მისაღები: **დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნა!**

ეროვნული ბანკისთვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციის დაკისრების საკითხი ერთხელ უკვე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიღების დროს აქტიურად განიხილებოდა. მაშინ საღმა აზრმა გაიმარჯვა და გადავრჩით ამ გაუგებრობის თავსმოხვევის დაჟინებული ცდისგან.

მაშ, რატომ ვუბრუნდებით ერთხელ უკვე დაწუნებულ პერსპექტივას? - სრულიად ბუნებრივ ამ შეკითხვაზე კანონპროექტის პაკეტის შემქმნელ ჯგუფს დამაჯერებელი პასუხი არ გააჩნია.

კიდევ ერთხელ გაჟღერდა, რომ **შეცდომა იყო მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და გამოქვეყნების ვალდებულების (დროებით) შეჩერება.** მედროვე ჩინოვნიკების მიერ „წინასაარჩევნო უკმაყოფილების“ მოლოდინის განრიდების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას შეეწირა ამ მიმართულების მიმდინარე რეფორმის წარმატებული სტარტი. ბუღალტრებისა და აუდიტორების მიერ ფინიშამდე მიტანილი საერთო ძალისხმევა ნემსის წვერით გაჩხვლეტილი ბუშტივით ჩაიფუშა. ამ გადაწყვეტილების შეფასებაშიც შეხვედრის მონაწილეებმა თანხვედრი პოზიცია დააფიქსირეს და ამის მთავარ მიზეზად ზედამხედველობის სამსახურის უწყებრივი (ფინანსთა სამინისტროს) დაქმემდებარება დასახელდა. თუმცა, შეხვედრის ინიციატორებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ეროვნული ბანკის პირობებში ასეთი რამე არ მოხდება (იმიტომ, რომ ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი უწყებაა და სახელისუფლო შტოების „დავალებებისგან“ დაცულია).

აქილევსის ქუსლიც სწორედ აქ არის - ეროვნული ბანკი მთავრობის ზეწოლისგან კი არის თავისუფალი, მაგრამ ბუღალტრულ აღრიცხვას, ანგარიშგებასა და აუდიტს, აგრეთვე საშემფასებლო საქმიანობას სრულიად სხვა (ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნებისგან თავისუფალი), დამოუკიდებელი ზედამხედველობა სჭირდება. კანონპროექტების პაკეტის თანახმად, აღნიშნული სფეროების ზედამხედველობის ფუნქციას ეროვნული ბანკი იერთებს და ისე წარმართავს, როგორც ეს ამ უწყების ხელმძღვანელს აზრად მოუვა (წარმოდგენისთვის, შეგიძლიათ გაიხსენოთ ეროვნული ბანკის წინა პრეზიდენტის **გიორგი ქადაგიძისეული** პოლიტიკური დემარშები, „ხელშეუხლებლობა“ და „დამოუკიდებელი“ გადაწყვეტილებები), რაც საიმედო ან თუნდაც მიმზიდველი პერსპექტივა სულაც არაა.

პროფესიის წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ აუდიტურმა საქმიანობამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აიდგა ფეხი. მავანთა ხელშეწყობით, ახლადშექმნილი ქართული აუდიტური კომპანიები იმთავითვე **დიდი ოთხეულის „ნასუფრალზე“** აღმოჩნდნენ. მერე, ზედაპირზე შემორჩენილი ნაღების თხელი ფენა საერთაშორისო ქსელის კომპანიებმა სრულად მოხადეს. ქართულ აუდიტურ კომპანიებს ნივრის ქერქი - მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოები შერჩათ. მათ კი საერთასორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი არაფერში ჭირდებათ.

ბაზრის ულმობლობამ შეცოდება არ იცის! თუმცა, არსებობენ ინტერესები (მოქალაქეთა დასაქმება, საკუთარი ინსტიტუტების მომძლავრება, კადრების მომზადება და სხვა), რისთვისაც **აუცილებელია ბაზრის მარეგულირებელ მექანიზმში მართვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ენერგიული ჩართვა, მაგრამ მას კანონპროექტის შემქმნელი ჯგუფი და „ლობისტური ფარისევლობა“ მედგრად ეღობება.**

მხოლოდ მოთხოვნები, შეუსრულებლობის შემთხვევაში - ჯარიმები და მოშთობა კი არა, ქართულ აუდიტორულ კომპანიებს ხელშეწყობა, თანადგომა, დახმარება სჭირდებათ. ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში ზედამხედველობის სამსახური აღნიშნულზე ნაკლებად წუხდა, ეროვნულ ბანკზე დაქვემდებარების შემთხვევაში კი ქართული აუდიტორული კომპანიების განვითარების პერსპექტივა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია და მაინც აქეთკენ მივექანებით - ზედამხედველობის უწყებრივი სახეცვლილებით, უფრო ხელსაყრელ პირობებში კვლავ „დიდი ოთხეულისა“ და საერთაშორისო ქსელის კომპანიები აღმოჩნდებიან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის დამოუკიდებლობის გაზრდის მოტივებს როცა ოპონენტები იშველიებენ, იქვე საპასუხო არგუმენტად ყოველთვის აღიძვრება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის მოსაზრება. სამიზნე აუდიტორიისთვის ეს აზრი კარგადაა ნაცნობი. ჯერ კიდევ 2012 წლის კანონის მიღების დროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სახელმწიფო რეგულირების შემოღება და მისი დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბება იყო ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა.

განვითარების პერსპექტივა სწორედ აქეთკენ უნდა მივმართოთ. სსიპ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნა ის მოდელია, რომელიც ანალოგად გამოდგება, თუმცა, ეს მათთვის მიუღებელია და იქმნება მონუსხული წრე, რომელში ჩარჩენა პროფესიითვის მომაკვდინებელია, ქვეყნისთვის საზიანო, ოპონენტებმა კი სხვაგვარი ფიქრი არ იციან!!!

სამედიცინო (სარეაბილიტაციო) ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში კოვიდ-19-ით გამოწვეული პრობლემები და მასთან ბრძოლის დადებითი გამოცდილება. ხაზგასმულია, რომ ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი ვირუსით გამოწვეულ სიძნელეებს.

აღნიშნულია, რომ საქართველოს სამედიცინო-სარეაბილიტაციო ტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივა გააჩნია. ქვეყანაში მრავლად არის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტები, სივრცეები და შესაძლებლობები, რითაც შეიძლება მოიზიდოს მკურნალობისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციის მსურველი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი და ვიზიტორი.

ნაჩვენებია, რომ ქვეყანა დაყოფილია 11 კლიმატურ და 12 საკურორტო-რეკრეაციულ რაიონად, სადაც მდებარეობს 100-ზე მეტი კურორტი და 180-მდე საკურორტო ადგილი, რომელთა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მთავარი სამკურნალო ფაქტორი. ცხრილების სახით მოცემულია მოკლე ცნობები საქართველოს ცნობილი კურორტების შესახებ, სამკურნალო პროფილის მიხედვით. ესენია: მთის კლიმატური, ბალნეოლოგიური, ზღვისპირა კლიმატური, ბალნეო-კლიმატური, კლიმატო-ბალნეოლოგიური და პელოიდური კურორტები. ცალკეა გამოყოფილი მრავალპროფილური სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრები - სამედივცინო Wellness კურორტი „ბიოლი“ და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი - „თბილისი -SPA“.

სტატიაში გაშუქებულია ეკოტურიზმის როლი მოსახლეობის/ტურისტების რეაბილიტაციისა და გაჯანსარების პროცესში. აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებაა მათი რეკრეაციული აქტივობა ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ასევე აქტიური ჩართულობა სოფლად ფერმერულ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, კორონავირუსი, რეკრეაცია, რეაბილიტაცია, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი რესურსები, სამკურნალო ფაქტორი.

PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF MEDICAL (REHABILITATION) TOURISM IN GEORGIA IN PANDEMIC AND POSTPANDEMIC PERIOD

Otar Paresishvili,
Doctor of Chemistry, Georgian Technical University
Chief Researcher;
Laura Kvaratskhelia,
Doctor of Chemistry, Georgian Technical University
Senior Researcher;
Valentina Mirzaevi,
Georgian Technical University Researcher

SUMMARY

The article examines COVID-19-iduced problems in Georgia and its positive experience in disease control. It is emphasized that the country has successfully overcome the difficulties caused by coronavirus.

In this connection it is noticed that Georgia has good potential for medical-rehabilitation tourism development – there are many suitable facilities and areas for medical treatment and health-improving.

The opportunities are considered by means of which Georgia can excite interest and attract local and foreign tourists and visitors who are in need of medical treatment and recovery of theirs health.

It is shown that the country is divided into 11 climatic areas and 12 health resort and recreative districts, where there are more than 100 health-resorts and about 180 resort places; the main therapeutic factor is the basis for their classification. Brief information concerning famous Georgian resorts is given in accordance with their medical specialty in table form. There are as follows: mountain-climatic, balneological, coast climatic, balneo-climatic, climate-balneological and mud-bath health resorts. In addition, the article contains information about multispecialty medical treatment and health-improving centers – medical Wellness-resort “Bioli” and Tbilisi Balneological Resort “Tbilisi-SPA”.

The article emphasizes the role of eco-tourism for rehabilitation and health improvement of population and tourists. It is noticed that their recreative activities in ecologically-clean environment, participation in farmers’ work is the best way to recover health.

Keywords: pandemic, coronavirus, recreation, rehabilitation, medical treatment and health-improving resources, therapeutic factor, eco-tourism

მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა - კორონა ვირუსის (კოვიდ-19) პანდემია დღის წესრიგში აყენებს დაზარალებული მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პრობლემას. ავტორიტეტული მედიკოსები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პანდემიის პერიოდში, როდესაც მოსახლეობას უწევს ხანგრძლივი დროით იზოლაციაში (თვითიზოლაციაში), დახურულ სივრცეში ყოფნა, დიდია ალბათობა ძირითადი დაავადების თანმხლები რიგი გართულების განვითარებისა (ფსიქოლოგიური, სასუნთქი გზების, საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა და სხვ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტპანდემიურ პერიოდში აქტუალურია მოსახლეობის მკურნალობის და რეაბილიტაციის მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრა და პროცესების სწორად წარმართვა. დროთა განმავლობაში მოსალოდნელია წმინდა სამედიცინო-სამკურნალო მომსახურება (თერაპიული, ინფექციურ-ეპიდემიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვ.) ჩაანაცვლოს სამკურნალო-გამაჯანსაღებელმა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყნის რეკრეაციული სივრცეებისა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო ობიექტების მზადყოფნა აღნიშნულ პროცესებში ჩასართველად.

ზოგადად, არსებული პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვან საგმენტთან - ტურიზმთან, კერძოდ, მის ერთ-ერთ სახეობასთან, რეკრეაციულ (სამკურნალო-გამაჯანსაღებელ) ტურიზმთან, რაც ბოლო ხანებში ინტენსიურად ვითარდება. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა წარმატებით ავითარებს ტურიზმის აღნიშნულ სახეობას (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი ისრაელი), რომლებსაც საკურორტო-სამკურნალო საქმიანობის მდიდარი ტრადიციები გააჩნიათ - მაღალი დონის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი მომსახურება, სამკურნალო ბუნებრივ-კლიმატური რესურსების ფართო არჩევანი, განვითარებული ინფრასტრუქტურა, დაავადებების პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის, მკურნალობის თანამედროვე ეფექტური მეთოდები.

საყოველთაო ეპიდემიის ფონზე საქართველოს გააჩნია არცთუ ცუდი პერსპექტივები კორონავირუსის შედეგად ჩამოშლილი ტურიზმის გამოცოცხლებისა. განსაკუთრებით ხელსაყრელი მომენტია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის სფეროში ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად, რამეთუ ქვეყანაში მრავლად არის ამისთვის სათანადო რეკრეაციული სივრცეები და ობიექტები, საკმაოდ კარგი დონის სამედიცინო მომსახურება და შესაბამისი კადრები, ვირუსთან ბრძოლის წარმატებული სამედიცინო და ლოგისტიკური გამოცდილება. ქვეყანამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში გამოავლინა კრიზისის მართვის სამაგალითო უნარი, რაც სათანადოდ აისახა მიღებულ შედეგებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს, როგორც პანდემიასთან ბრძოლაში წარმატებულ და შედარებით უსაფრთხო **ქვეყანას, ეძლევა შანსი გახდეს რეკრეაციული (სამკურნალო-გამაჯანსაღებელი) ტურიზმის ჰაბი რეგიონში.** მეტად მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი - ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს კორონავირუსთან ბრძოლისას დროში მოპოვებული ის უპირატესობა, რაც მას გამოარჩევს სხვა კონკურენტ ქვეყნებისგან, ოპერატიულად უნდა განახორციელოს ყველა მოსამზადებელი ღონისძიება და სამუშაო (ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ტექნიკური, PR და სარეკლამო საქმიანობა და სხვ.).

ასევე მნიშვნელოვანია სამკურნალო-რეკრეაციული მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს.

რიგ კურორტებზე თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს არსებული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კომუნალური (ხარისხიანი წყალმომარაგება, თბომომსახურება, გაზიფიცირება, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები, გამწმენდი და ნარჩენების საუტილიზაციო ობიექტები), ბევრი პრობლემაა კურორტებსა და საკურორტო ადგილებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კუთხით, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში (საავტომობილო გზები, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.).

საყურადღებოა კურორტებისა და სარეკრეაციო სივრცეების ეკოლოგიური მდგომარეობა, განსაკუთრებით ეს ეხება შავიზღვისპირა რაიონებს, სადაც ზაფხულობით, დამსვენებელთა და ტურისტთა მოზღვავების პირობებში მნიშვნელოვნად უარესდება პლაჟებისა და ზღვის წყლის, ზოგადად გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

სუსტია დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და სამკურნალო პანსიონატების სამედიცინო აპარატურითა და ნაგებობებით აღჭურვა. კურორტები განიცდის კვალიფიციური სამედიცინო კადრების ნაკლებობას, დაბალია სასტუმროებში, დასასვენებელ პანსიონატებსა და საკურორტო ობიექტებში მომსახურე პერსონალის კულტურისა და პროფესიული მომზადების დონე. კურორტები არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი სპორტული ნაგებობებით, გართობისა და დასვენების ინფრასტრუქტურით.

ქვეყნის ტურისტული ინდუსტრია, რომელშიც მოიაზრება მკურნალობა, რეაბილიტაცია, დასვენება, გართობა და სხვა, საჭიროებს სავაჭრო ობიექტების, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, ინტერნეტ და საბანკო მომსახურების გამართულ ფუნქციონირებას.

საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის, განსაკუთრებით მსოფლიო პანდემიის პირობებში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების ხელმისაწვდომობას, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად. მიგვაჩნია, რომ დარგის მენეჯმენტი ორიენტირებული უნდა იყოს დაბალანსებულ, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაზე. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში მოსაყვანია შესაბამისობაში ტურისტული მომსახურების ხარისხი და ფასები. (მიუღებელია, როცა საქართველოში გაწეული საშუალო დონის მომსახურების ღირებულება უტოლდება წამყვანი ტურისტული ქვეყნების მაჩვენებლებს.)

მოკლედ განვიხილოთ ის შესაძლებლობები, რითაც შეიძლება ქვეყანამ დაინტერესოს და მოიზიდოს მკურნალობისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტები და ვიზიტორები.

საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო-რეკრეაციული რესურსებით. ქვეყნის ტერიტორიის მცირე ფართობზე 11 კლიმატური სარტყელია, რაც, გეოგრაფიულ პირობებთან ერთად, ლანდშაფტის მკვეთრად განსხვავებულ ტიპებს ქმნის. კლიმატური სარტყლების სიმრავლე, მარადთოვლიანი მწვერვალები და მყინვარები, შავი ზღვის თბილი სუბტროპიკული სანაპირო, ვრცელი დაბლობები, მთები, ტბები, ჩანჩქრები, მდინარეები და მიწის წიაღიდან ამოსული უამრავი მინერალური წყარო კურორტებისა და საკურორტო ადგილების სიუხვეს განაპირობებს. ამჟამად ქვეყანაში რეგისტრირებულია 100-ზე მეტი კურორტი და 180-მდე საკურორტო ადგილი, გამოვლენილია მინერალური წყლების 2300-ზე მეტი გამოსავალი, რომელთა ჯამური დებიტი დღე-ღამეში ასეულობით მლნ ლიტრს შეადგენს. მინერალურ წყლებს შორის გვხვდება ისეთი ძვირფასი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე წყაროები, როგორიცაა ბორჯომი და ნაბეღლავი (ვიშის ტიპის), ზვარე და ფასანაური (ესენტუკის ტიპის), ლუგელას უნუკალური ქლორიდულ-კალციუმიანი წყალი და სხვ. მაღალი თერაპიული ეფექტიანობით ხასიათდება თერმული სულფიდური, რადონული, აზოტოვანი, სილიციუმიანი მინერალური წყლები, რომლებიც გამოიყენება სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გინეკოლოგიური, უროლოგიური და სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

საქართველოს მთის კლიმატურ კურორტებზე საუკეთესო ბუნებრივი პირობებია მკურნალობისა და დასვენებისთვის, რასაც ხელს უწყობს მზის სპექტრის, განსაკუთრებით მისი ულტრაიისფერი ნაწილის მაღალი აქტივობა და ნათების ხანგრძლივობა, ჯანსაღი ჰავა და ზომიერი ტემპერატურა ზაფხულში.

უმნიშვნელოვანესი საკურორტო ზონაა შავიზღვისპირეთი, სადაც კლიმატური თერაპია ეფექტიანია მთელი წლის განმავლობაში. ზღვის ჰავა, მზე და უნიკალური მაგნიტური ქვიშები დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის ორგანოების, ნერვული სისტემის ფუნქციურ დარღვევებსა და სხვა დაავადებებზე.

ჩამოთვლილი ძირითადი საკურორტო ფაქტორების გარდა, ქვეყნის ტერიტორიაზე მოიპოვება სხვადასხვა წარმოშობის სამკურნალო ტალახი (რომელთა შორის კარგადაა ცნობილი ახტალასა და კუმისის ტალახების სამკურნალო თვისებები).

ქვეყანაში არსებული ზოგიერთი კარსტული მღვიმის სპეციფიკური მიკროკლიმატი საუკეთესო საშუალებაა სუნთქვის ორგანოებისა და ნერვული დაავადებების სამკურნალოდ.

ზემოთ აღნიშნული ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები და სამკურნალო-სარეაბილიტაციო ფაქტორები, გამართული მენეჯმენტისა და სათანადო პიარ-აგიტაციის პირობებში სავსებით მიმზიდველი და მოთხოვნადი შეიძლება გახდეს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე უცხოელი ტურისტებისათვის.

კორონავირუსით დაზარალებულ მოსახლეობას, გამომდინარე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, შესაძლებლობა ექნება გაიაროს სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსი როგორც ქვეყანაში არსებულ მრავალ, სხვადასხვა პროფილის კურორტზე, ასევე არანაკლებ მიმზიდველ საკურორტო ლოკაციებში.

გასული საუკუნის მიწურულს ქვეყანაში 102 კურორტი ფუნქციონირებდა, რომელთაგან 6 - წყალტუბო, გაგრა, ბორჯომი, ქობულეთი, ახალი ათონი და ბიჭვინთა - საკავშირო მნიშვნელობის იყო, 35 - რესპუბლიკური, დანარჩენი კი - ადგილობრივი. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში. კურორტების ტიპის მიხედვით კლიმატურია 44 (მათ შორის 25 ზღვისპირაა), შერეული (კლიმატურ-ბალნეოლოგიური ან ბალნეოკლიმატური) – 31 და ბალნეოლოგიური - 28.

კურორტების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მთავარი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი. შესაბამისად, მათი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოს კურორტები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

- კლიმატური კურორტი, სადაც ძირითადი სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაქტორია კლიმატი (მაგ., მთის, ტბის, მდინარის ან ზღვისპირა კურორტი), ხოლო მკურნალობის მეთოდები - აეროთერაპია, ჰელიოთერაპია, თალასოთერაპია;
- ბალნეოლოგიური კურორტი, სადაც ძირითადი სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაქტორია ბუნებრივი მინერალური წყალი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს გარეგანი მიზნით (აბაზანა. შხაპი, აუზი და სხვ.), სასმელად, ინჰალაციისა და სხვა პროცედურებისთვის. ბალნეოლოგიური კურორტი აღჭურვილია ბალნეოსამკურნალოებით, სასმელი გალერეებით, ბიუვეტებით, აუზებით, ინჰალატორებით და ა.შ. მკურნალობის მეთოდი - ბალნეოთერაპიული;
- პელოიდური კურორტი, სადაც ძირითად ან ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორად, კლიმატთან და ბუნებრივ მინერალურ წყალთან ერთად, გამოიყენება სამკურნალო ტალახი;
- შერეული ტიპის კურორტი, სადაც ერთდროულად რამდენიმე ტიპის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი არსებობს. შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს კლიმატურ-ბალნეოლოგიური, ბალნეოკლიმატური და კლიმატურ-ბალნეო-პელოიდური კურორტი.

ქვეყნის საკურორტო მეურნეობის და ტურიზმის განვითარების რეგიონული თავისებურებების, აგრეთვე საკურორტო რესურსების ხასიათის, დანიშნულებისა და განლაგების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 12 საკურორტო-რეკრეაციულ რაიონად, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სპეციალიზაციით, დაწესებულებების სტრუქტურითა და განვითარების პოტენციური შესაძლებლობებით.

განვიხილოთ ეს რაიონები და მათი საკურორტო-რეკრეაციული ფაქტორები, რათა პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეებს (როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე უცხოელ ტურისტებს და ვიზი-

ტორებს) საშუალება ჰქონდეთ იხელმძღვანელონ ამ მონაცემებით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისას (მკურნალობა, რეაბილიტაცია, დასვენება).

- თბილისი - თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ლისის ტბა, კუს ტბა, წყნეთი, კოჯორი და თბილისის წყალსაცავი (ზღვა); გამორჩეული მრავალფუნქციური რაიონი როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. დედაქალაქი-კურორტი თბილისი ვითარდება როგორც საერთაშორისო ტურიზმის ცენტრი და, იმავდროულად, საერთაშორისო ბალნეოლოგიური ცენტრი.
- იმერეთი - წყალტუბო, საირმე, ზეკარი, სულორი, სამტრედია, გორდი, ცხრაჯვარი, კვერეთი, ზვარე, ნუნისი და იმერეთის მღვიმეები. მსხვილი ტურისტული ცენტრია - ქ. ქუთაისი - საქართველოს მეორე დედაქალაქი; აქ ფუნქციონირებს ცნობილი ურولოგიური პროფილის კურორტი საირმე, ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო. იმერეთის მღვიმეების მიკროკლიმატი წარმატებით გამოიყენება სამკურნალოდ.
- კახეთი - თუშეთი, ომალო, დართლო, თელავი, ზინობიანი, ყვარლის ტბები, ლაგოდეხი, ახტალა, უჯარმა, არხილოსკალო, თუშეთის და ვაშლოვანის ეროვნული პარკები, სიღნაღი. აქ არის პოპულარული ტალახით სამკურნალო კურორტი ახტალა; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრები - სიღნაღი, თელავი, ლაგოდეხი, გურჯაანი, წინანდალი, ყვარელი. რეგიონი ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ცენტრია.
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - მესტია, სქური, ლუგელა, ლებარდე, მენჯი, ცაიში, ანაკლია და პალიასტომის ტბა; მოიცავს კოლხეთის დაბლობს ზღვისპირა სანაპირო ზოლით და მიმდებარე მთისწინეთს. აქ განლაგებულია სხვადასხვა მინერალურ წყაროებზე დაფუძნებული ბალნეოლოგიური კურორტები - ცაიში, მენჯი; ზღვისპირა კლიმატური კურორტები - ანაკლია, მალთაყვა. მთის ჰავა, მაღალმთიანი ლანდშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური და თერმული წყაროები - ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ რაიონად წარმოაჩენს როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით (არის ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის მნიშვნელოვანი არეალი).
- ქვემო ქართლი - კუმისი, დმანისი და მანგლისი.
- გურია - ბახმარო, ნაბეღლავი, გრიგოლეთი, შეკვეთილი, ურეკი, ნასაკირალი და ანაკლია. მთისა და ზღვის ჰავა, მაღალმთიანი ლანდშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები - ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ რაიონად წარმოაჩენს როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უნიკალური კურორტული თვისებებით გამორჩეული ბახმარო და ურეკი.
- შიდა ქართლი - ჯავა, სურამი, ქვიშხეთი, აბანო, გორიჯვარი და ხოვლე; აქ მდებარეობს პოპულარული ბალნეოკლიმატური კურორტები ჯავა, სურამი და ქვიშხეთი. ძალიან პერსპექტიული რაიონია სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის.
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - უწერა, შოვი, ლაშიჭალა, ხიდიკარი, შაორის წყალსაცავი და მუაში. ბუნებრივი ფაქტორებით სამეგრელო-ზემო სვანეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის ანალოგიურია; განსაკუთრებით ცნობილია ბალნეოკლიმატური კურორტი უწერა და მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი შოვი, რომელიც იმავდროულად არის ტურისტული ცენტრი.
- მცხეთა-მთიანეთი - გუდაური, საგურამო, სიონი, ბაზალეთის ტბა, ფასანაური, ფშავ-ხევსურეთი, სტეფანწმინდა და ყანჩავეთი. მოიცავს საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ ტერიტორიას, აქვს მდიდარი ტურისტული ტრადიციები. ალპინიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია სტეფანწმინდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო სამთო-სათხილამურო ცენტრი და ბალნეოლოგიური კურორტი გუდაური. ფუნქციონირებს ტურისტული ცენტრი ქ. მცხეთაში.
- სამცხე-ჯავახეთი - ბორჯომი, აბასთუმანი, ბაკურიანი, წაღვერი, ცემი, მიტარბი, ლიკანი, ჯავახეთის ეროვნული პარკი, ასპინძა და ურაველი. ფუნქციური თვალსაზრისით, ყველაზე მრავალფეროვანია ცნობილი ბორჯომის საკურორტო-რეკრეაციული კომპლექსი, რომელიც, პირველ რიგში, საკურორტო და იმავედროულად ტურიზმისა და დასვენების ცენტრია. ბაკურიანის ლოკალურ კომპლექსს აქვს ორმაგი ფუნქცია: ზაფხულში მთის კლიმატური კურორტია, ხოლო ზამთარში - უმსხვილესი საერთაშორისო სამთო-სათხილამურო კურორტი. მნიშვნელოვანი კურორტებია: წაღვერი, ცემი, პატარა ცემი, ლიბანი და სხვ. უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე მთის ჰავამ და მრავალი მინერალური წყაროს არსებობამ განაპირობა აქ კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება. მათ შორის მნიშვნელოვანია ცნობილი ფთიზიატრიული პროფილის კურორტი აბასთუმანი და უნიკალური კლდეში ნაკვეთი ქალაქ-კურორტი ვარძია.
- აფხაზეთი - სოხუმი, გულრიფში, კინდღი, ტყვარჩელი, ახალი ათონი, გუდაუთა, რიწა, ავადჰარა, ბიჭვინთა, გაგრა და ღესელიძე. ბუნებრივმა ფაქტორებმა - რბილი სუბტროპიკული ჰავა, თბილი ზღვა, მზის ნათების მაღალი ინტენსივობა, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები, მრავალფეროვანი ლანდშაფტი - განაპირობა საკურორტო და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ბუნებრივი ფონის შექმნა.
- აჭარა - ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, გონიო, კვარიათი, სარფი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, ჩაქვი, კოკოტაური, ბაბანაური, გომარდული და ბეშუმი. ძირითადი ცენტრებია - ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი. ყველაზე პერსპექტიულია ქობულეთი, გამორჩეული განსაკუთრებული სამკურნალო კლიმატით.

ვფიქრობთ, დაინტერესებულ პირთათვის (მათ შორის პირველ რიგში უცხოელთათვის) საინტერესო იქნება ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი კურორტების შესახებ მოკლე ინფორმაცია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია საქართველოს ცნობილი კურორტების შესახებ ზოგადი მონაცემები სამკურნალო პროფილის მიხედვით.

მთის კლიმატური კურორტები

კურორტი	გეოგრაფიული მონაცემები	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები	მკურნალობის სახეობები	სამკურნალო ჩვენებები
ბაკურიანი	მდებარეობს ბორჯომის ხეობაში (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 180 კმ და ბორჯომიდან 28 კმ მანძილზე. რელიეფი - მთაგორიანი, გარშემორტყმულია წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი) უნიკალური კორომებითა და ალპური მდელოებით. კლიმატი - საშუალომთის. ზამთარი ცივი, ზაფხული ზომიერად გრილი, მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 სთ.	საშუალომთის ზედა სარტყლის ჰავა.	პასიური და აქტიური კლიმატოთერაპია, ჰაერისა და მზის აბაზანები.	ლიმფადენტები, სუნთქვის ორგანოთა ქრონიკული არატუბერკულოზური დაავადებები, სისხლნაკლებობა. აღსანიშნავია, რომ ბაკურიანი არის საერთაშორისო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო კურორტი.
ბახმარო	მდებარეობს მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის ფერდობზე, მდ. ბოხვისწყლის ხეობაში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ზღვის დონიდან 1920-2050 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 365 კმ და ჩოხატაურიდან 55 კმ მანძილზე, შავი ზღვიდან სწორი ხაზით 50 კმ მანძილზე. რელიეფი - მთაგორიანი, გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის მარადმწვანე ტყით, კლიმატი - საშუალომთისა და ზღვის ჰავა, ზამთარი ცივი, ზაფხული გრილი და ზომიერად მშრალი. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2050-2200 სთ.	ზღვის ჰავასთან შეჯერებული საშუალომთის ჰავა.	პასიური და აქტიური კლიმატოთერაპია.	სუნთქვის ორგანოთა ქრონიკული დაავადებები, ტუბერკულოზის სხვადასხვა (ფილტვის, ძვალ-სახსართა, ჯირკვლოვანი, პლევრალური) ფორმა, მეორეული ანემია, ნევრასთენია.
ცემი და პატარა ცემი	მდებარეობენ თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მიეკუთვნებიან ბორჯომის კურორტების ჯგუფს, ზღვის დონიდან 1120 და 1370 მ სიმაღლეზე შესაბამისად, თბილისიდან 165 და 171 კმ, ბორჯომიდან 15 და 17 კმ მანძილზე. რელიეფი - მთაგორიანი, კლიმატი - საშუალომთის, ზამთარი ცივი, ზაფხული ზომიერად თბილი, მშრალი. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 სთ.	საშუალომთის ქვედა სარტყლის ჰავა წიწვნარის სურნელით.	პასიური კლიმატოთერაპია.	გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, ფილტვების, ლიმფური კვანძების და პლევრის ტუბერკულოზის დახურული ფორმა, ნერვული სისტემის ფუნქციური და სხვ. დაავადებები, რკინა-დეფიციტური ანემია.
მანგლისი	მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ალგეთის ხეობაში (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 65 კმ და თეთრიწყაროდან 45 კმ მანძილზე. რელიეფი - ბორცვიანი პლატო. მცენარეულობა წარმოდგენილია წიწვოვანი (ძირითადად ფიჭვი) და ფოთლოვანი ჯიშებით. კლიმატი - საშუალომთის, ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი, მზის ნათების ხანგრძლივობა - 2000 სთ. წელიწადში.	საშუალომთის ქვედა სარტყლის ჰავა.	პასიური კლიმატოთერაპია.	ფილტვის ტუბერკულოზური და არატუბერკულოზური ქრონიკული დაავადებები, ბრონქული ასთმა, ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი, მშრალი პლევრიტი, სისხლნაკლებობა, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები.

გარდა ზემოთ აღნიშნული კურორტებისა, ქვეყანაში კიდევ მრავალი მთის კლიმატური კურორტია, რომელთაც გააჩნიათ ღირებული სამკურნალო, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ფუნქცია. მათ შორისაა კოჯორი, წავკისი, კიკეთი, წყნეთი, წოდორეთი (თბილისის შემოგარენის კურორტები და საკურორტო ადგილები), ბაზალეთის ტბა, სიონი, შაორის წყალსაცავი, ბეშუმი, ლიბანი, ჩითახევი, არხილოსკალო, გომის მთა, ცივი კოდა და სხვ.

ბალნეოლოგიური კურორტები

კურორტი	გეოგრაფიული მონაცემები	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები	მკურნალობის სახეობები	სამკურნალო ჩვენებები
წყალტუბო (კურორტი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში)	მანძილი ქუთაისიდან - 7 კმ, თბილისიდან - 250 კმ, სიმაღლე ზღვის დონიდან 95-120 მ, რელიეფი - ვაკე. კლიმატი - სუბტროპიკული, ზამთარი რბილი, უთოვლო; ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად ნოტიო; მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2050 სთ.	სუსტად რადიოაქტიური რადონული, აზოტიანი, ქლორიდ-ჰიდროკარბონატული-სულფატური ნატრიუმიან-კალციუმიან-მაგნიუმიანი მინერალური წყლები, ტემპერატურით 35-37°C; დებიტი: 20 მლნ ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის აბაზანები.	საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, ნევროლოგიური, კარდიოლოგიური და გინეკოლოგიური დაავადებები, ენდოკრინული სისტემის პათოლოგიები და სხვ. კურორტის უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე თერმულ-რადონული მინერალური წყლები კურნავს 60-მდე დაავადებას.
მენჯი (კურორტი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში)	მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში, მდ. ცივის (მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში (სენაკის მუნიციპალიტეტი), მანძილი სენაკიდან - 5 კმ, ზუგდიდიდან - 50 კმ, თბილისიდან - 295 კმ. სიმაღლე ზღვის დონიდან 29 მ, რელიეფი - ვაკე. კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული, ზამთარი რბილი, ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო; მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2160-2200 სთ.	მეთანიანი, სულფიდური, კაჟიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიანი და აზოტიანი, სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები. დებიტი: 700 ათასი ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის აბაზანები (ბალნეოთერაპია).	ძვალ-სახსართა, გულ-სისხლძარღვთა, პერიფერიული ნერვული სისტემებისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებები.
ცაიში (კურორტი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში)	მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ჯუმის ხეობაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ზუგდიდიდან 15 კმ და თბილისიდან 310 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 120-150 მ სიმაღლეზე; რელიეფი - ვაკე, კლიმატი - სუბტროპიკული, ზამთარი რბილი, უთოვლო; ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო; მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2300-2400 სთ.	ორი ტიპის მინერალური წყალი - სულფიდურ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი და აზოტიანი, კაჟიანი, ქლორიდულ-სულფატურ-ნატრიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები. ორივე წყლის დებიტი ერთად: 3 მლნ ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის აბაზანები.	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფუნქციური დარღვევები, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებები.

ქვეყნის სხვა ბალნეოლოგიური კურორტებიდან აღსანიშნავია: ნოქალაქევი, ამაღლება, სულორი, კურსები, სამტრედია, გორმაღალა, სიმონეთი; ხოლო საკურორტო ადგილებიდან: მუხური, ნასაკირალი.

ზღვისპირა კლიმატური კურორტები

კურორტი	გეოგრაფიული მონაცემები	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები	მკურნალობის სახეობები	სამკურნალო ჩვენებები
ბათუმი (ბათუმს გააჩნია კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა. მრავლად არის მსოფლიოში ცნობილი სასტუმრო ბრენდების ობიექტები, კაფე-რესტორნები, საკონცერტო, გასართობი პარკები და სხვ.)	საქართველოს ყველაზე სამხრეთით მდებარე ქალაქი-კურორტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ა/რ) დედაქალაქი. მანძილი თბილისიდან - 360 კმ. სიმაღლე ზღვის დონიდან: 5 მ. რელიეფი - ვაკე-ბორცვიანი. კლიმატი - ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული, ზამთარი ძლიერ რბილი და თითქმის უთოვლო, იანვრის საშუალო ტემპერატურა - 6,5°C, ზაფხული ძლიერ თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 2718 მმ. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში 130-170 დღე. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1958 სთ.	ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი	ჰაერისა და მზის აბაზანები, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.	გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემის (არატუბერკულოზური ხასიათის) დაავადებები, რკინადეფიციტური ანემია, ენდოკრინული და მცირე ფიზიკური დატვირთვით გამოწვეული სიმსუქნე.
ქობულეთი*	მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლში, აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობებზე (ქობულეთის პუნიციპალიტეტი, აჭარის ა/რ), ბათუმიდან 30 კმ და თბილისიდან - 335 კმ მანძილზე. რელიეფი - ვაკე; მცენარეულობა წარმოდგენილია ძირითადად დეკორატიული ჯიშებით, ციტრუსების, ჩაისა და ბამბუკის პლანტაციებით. კლიმატი - ზღვისპირა სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო, იანვრის საშუალო ტემპერატურა - 5°C. ზაფხული ძალიან თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 23 °C. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 2200 სთ.	უნიკალური ქვიშის პლაჟი და განსაკუთრებული მიკროკლიმატი.	ჰაერისა და მზის აბაზანები	ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების, სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადებები, სისხლნაკლებობა და რაქიტი.

ურეკი **	მდებარეობს კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის ნაპირზე (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ქობულეთიდან - 12 კმ, ფოთოდან - 15 კმ, თბილისიდან - 320 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 2-10 მ. რელიეფი - ვაკე. კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული, ზამთარი რბილი უთოვლო, იანვრის საშუალო ტემპერატურა - 5,8°C.ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 2000-2100 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 სთ.	ზღვისპირა ჰავა, ზღვის წყალი, პლაჟის მაგნიტური რკინის შემცველი ქვიშა, მაგნიტური ველი, „დამაგნიტებული“ წყალი. კურორტის უნიკალურობას განაპირობებს აქ ბუნებრივად შექმნილი დაბალი ინტენსივობის მაგნიტური ველი და მის თავზე არსებული სასწაულმოქმედი მაგნიტური ქოლგა.	თალასოთერაპია, ქვიშის აბაზანები, „დამაგნიტებული“ წყლის მიღება (დალევა).	გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, სასუნთქი გზების (მშრალი პლევრიტი), საყრდენ-მამოძრავებელი და ენდოკრინული სისტემებისა და გასტროენტეროლოგიური დაავადებები.

შენიშვნები:

* ამჟამად ქობულეთი აჭარის შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია, მისი პლაჟი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე; კურორტის მთელ სიგრძეზე (12 კმ), პლაჟსა და დასახლებულ ნაწილს შორის რამდენიმე მეტრი სიგანის სანაპირო ზოლი უჭირავს ფიჭვის ჭალებს, რაც ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს (ძალიან სასარგებლოა განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ფილტვების დაავადებებისთვის). ქობულეთის სიახლოვეს არის სამი დაცული ტერიტორია - ქობულეთისა და კინტრიშის (1959 წ.) დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი. პარკში მდებარე მტირალას მთა (ზ.დ. 1381 მ) ყველაზე უხვნალექიანი ადგილია საქართველოში.

** ურეკის სანაპიროდან 100 მ მანძილზე ზღვა ძალიან დაბალია (სიღრმე არ აღემატება 2 მ--ს), ფსკერი დაფარულია მაგნიტური შავი ქვიშით, რის გამოც მთელი დღის განმავლობაში მზისგან თბება არა მხოლოდ წყალი, არამედ ფსკერის ქვიშაც, რომელიც ღამეც ათბობს ზღვის წყალს. სწორედ ამიტომ არის ზღვის წყალი ურეკში ძალზე თბილი. გარდა ამისა, ამგვარი ორმხრივი სითბო ხელს უწყობს იოდის გამომყოფი მიკროორგანოზმების ინტენსიურ გამრავლებას.

აჭარისა და გურიის შავიზღვისპირეთში კიდევ მრავალი გამორჩეული კურორტია, სადაც კარგი პირობებია მკურნალობის, რეაბილიტაციისა და დასვენებისათვის. ესენია: ციხისძირი, მწვანე კონცხი, ჩაქვი, მალთაყვა, გრიგოლეთი, შეკვეთილი, გონიო, კვარიათი და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზეთის ა/რ-ის შავიზღვისპირა კურორტები (გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, სოხუმი, მიუსერა, ოქროს ნაპირი, ლესელიძე, გუმისთა, აგუძერა და სხვ.), რომლებსაც გააჩნიათ უნიკალური ბუნებრივი პირობები (კლიმატი, ჰავა, რელიეფი და მცენარეული საფარი, ზღვის წყალი და სანაპირო ზოლი, ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობები) და შესაძლებლობები სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის. სამწუხაროდ ცნობილი მოვლენების გამო ვერ ხერხდება ამ უნიკალური მხარის სამკურნალო-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენება.

ბალნეო-კლიმატური კურორტები

კურორტი	გეოგრაფიული მონაცემები	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები	მკურნალობის სახეობები	სამკურნალო ჩვენებები
თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი (კურორტი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში)	მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 420 მ სიმაღლეზე, კლიმატი - რბილი, კონტინენტური, ზომიერად მშრალი. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი; იანვრის საშუალო ტემპერატურა - -1°C. ზაფხული ცხელი და მშრალი; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 24°C . ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა - 554 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2112 სთ.	დაბალმთის ჰავა და სუსტად მინერალიზებული თერმული (37-47°C) სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული და ჰიდროკარბონატულ-კარბონატულ-ქლორიდული ნატრიუმიანი მინერალური წყლები. გამოიყენება ახტალისა და კუმისის სამკურნალო ტალახები. ამჟამად ბალნეოლოგიური კურორტი არის თანამედროვე კეთილმოწყობილი სამკურნალო დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება.	მინერალური წყლის აბაზანები, შესხურება, ჰიდროთერაპია; ტალახის აბაზანები, აპლიკაციები, ტამპონები; წყალქვეშა და მშრალი დაჭიმვის პროცედურები; მასაჟები, მათ შორის ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვებისთვის; პასიური კლიმატოთერაპია.	სახსრების ქრონიკული დაავადებები (რევმატული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული), გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემების დაავადებები, ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები, სხვადასხვა წარმოშობის კუნთების, მყესების ანთება.
ბორჯომი (კურორტი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში)	მდებარეობს მესხეთისა და თრიალეთის ქედების ფერდობებს შორის, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობაში (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), თბილისიდან - 155 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 800-1000 მ. რელიეფი - მთაგორიანი. ქედების ფერდობები დაფარულია ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით. კლიმატი - სუბტროპიკული ზონის დაბალმთიანი ტყის ჰავა. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი, იანვრის საშუალო ტემპერატურა - -2,1°C. ზაფხული თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 20,1°C. ნალექების წლიური რაოდენობა: 653 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 სთ.	დაბალმთის ჰავა; ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი, ბორიანი (და კაჟმჟავა-ბორიანი) მინერალური წყლები.	პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დალევა), აბაზანები, გამორეცხვა და ინჰალაცია.	ქრონიკული გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, კოლიტი და ენტეროკოლიტი, ღვიძლისა და ნაღვლმდენი გზების დაავადებები, პანკრეატიტი.

საირმე	მდებარეობს მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. წაბლარისწყლის ხეობაში (ბაღდათის მუნიციპალიტეტი), ქუთაისიდან - 55 კმ, ბაღდათიდან - 25 კმ, თბილისიდან - 255 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 950 მ სიმაღლეზე. რელიეფი - მთაგორიანი. კლიმატი - სუბტროპიკული, საშუალომთის (ქვედა სარტყელი) ტყიანი ზონა. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი; იანვრის საშუალო ტემპერატურა - -1°C. ზაფხული ზომიერად თბილი, ზომიერად ნოტიო; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 17°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა: 1000-1100 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 1273-1459 სთ.	საშუალომთის ქვედა სარტყლის ჰავა; ნახშირმჟავა, კაჟიანი, ბორიანი, რკინიანი მინერალური წყლები და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული კალციუმიან-მაგნიუმიანი, კაჟიანი, რკინიანი მინერალური წყლები, დებიტი: 50 ათასი ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.	გინეკოლოგიური და უროლოგიური პროფილის დაავადებები, თირკმლების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების სხვადასხვა ეტიოლოგიის ქრონიკული და ანთებითი დაავადებები, ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. საირმის ნახშირმჟავა წყლების განსაკუთრებულად სასარგებლო მოქმედებამ თირკმლებსა და საშარდე გზების დაავადებებზე განაპირობა კურორტის უროლოგიური პროფილი.
ნაბეღლავი	მდებარეობს მესხეთის ქედის მთისწინეთში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ჩოხატაურიდან - 25 კმ, სამტრედიიდან - 50 კმ, თბილისიდან - 335 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 470-490 მ. რელიეფი - მთაგორიანი. მცენარეულობა წარმოდგენილია სუბტროპიკული კულტურებით. კლიმატი - სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო ჰავა. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო; იანვრის საშუალო ტემპერატურა - 3,6°C. ზაფხული თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 20°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა - 1438 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 სთ.	დაბალმთის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი (ბორჯომის ტიპის) მინერალური წყლები, შეიცავენ კაჟმჟავას, ბრომს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს; დებიტი: 600-700 ათასი ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის მიღება (დალევა) და აბაზანები; პასიური კლიმატოთერაპია. მინერალური წყალი „ნაბეღლავი“ გამოიყენება ავადმყოფთა სამკურნალოდ როგორც სასმელად, ისე სააბაზანო პროცედურებისთვის.	კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიანი დაავადებები, ქრონიკული კოლიტები და ენტეროკოლიტები, ქრონიკული გასტრიტი, ჰიპოაციდური გასტრიტი, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ქრონიკული ანთება, ნითიერებათა ცვლის მოშლით გამოწვეული დაავადებები (შაქრიანი დიაბეტის მსუბუქი და საშუალო ფორმა, სიმსუქნე), საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები).

ქვეყნის სხვა ბალნეოკლიმატური კურორტებიდან აღსანიშნავია: უწერა, ნუნისი, უჯარმა, სქური, ჯავა, ვაჟას წყარო, თორღვას აბანო, ყანჩავეთი, გორიჯვარი, ყვარლის ტბები და სხვ., ხოლო საკურორტო ადგილებიდან - ლისის ტბა, კუს ტბა, ზვარე, ხიდიკარი და სხვ.

კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები

კურორტი	გეოგრაფიული მონაცემები	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები	მკურნალობის სახეობები	სამკურნალო ჩვენებები
აბასთუმანი	მდებარეობს მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ოცხის ხეობაში, თბილისიდან - 340 კმ, ახალციხიდან - 28 კმ, ადიგენიდან - 25 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან 1250-1450 მ. რელიეფი - მთაგორიანი. კლიმატი - საშუალომთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი, იანვრის საშუალო ტემპერატურა - -6°C; თოვლის საფარი მდგრადი, შუა დეკემბრიდან მარტვის თვის მეორე დეკადის ბოლომდე. ზაფხული ზომიერად თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 16°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 688 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 1967 სთ.	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალომთის ქვედა სარტყლის ჰავა და თერმული კაჟიანი, სულფატურ-ქლორიდულ-კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,6 გ/ლ. დებიტი: 70 ათასი ლ/დღ.-ღ.	პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის აბაზანები.	ფილტვების ტუბერკულოზი განვითარების ყველა ფაზაში, პნევმო-პლევრიტისა და ლიმფადენიტის ქრონიკული და მწვავე ფორმები; ძვალ-სახსართა და პერიფერიული ნერვული სისტემების, გინეკოლოგიური დაავადებები.
სურამი	მდებარეობს ლიხის ქედის სამხრეთ კალთის ძირში, მდ. სურამულას (მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი) სანაპირო ზოლში (ხაშურის მუნიციპალიტეტი), ხაშურიდან - 7 კმ, გორიდან - 50 კმ, თბილისიდან - 110 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 740 მ. რელიეფი - გორაკებიანი. ირგვლივ მთების კალთები დაფარულია შერეული ტყეებით (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, წიფელი, მუხა და სხვ.). კლიმატი - ზომიერად კონტინენტური. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო; იანვრის საშუალო ტემპერატურა - -9°C. ზაფხული თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 20,2 °C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა: 781 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 2300 სთ.	დაბალმთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, დებიტი - 40 ათასი ლ/დღ.-ღ.	პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის აბაზანები.	სასუნთქი ორგანოების (არატუბერკულოზური ხასიათის), საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ქრონიკული, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. სურამი გამორჩეული მიკროკლიმატის მრავალფეროვნებით, იგი ასევე ცნობილია როგორც საბავშვო პროფილის კურორტი.

შოვი	მდებარეობს დიდი კავკასიონის მთავარი (წყალგამყოფი) ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარეების - ბუბასა და ჭანჭახის (მდ. რიონის შენაკადები) ზედა წელში (ონის მუნიციპალიტეტი), ონიდან - 35 კმ, თბილისიდან (ტყიბულის გავლით) – 340 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1600 მ. რელიეფი - მთაგორიანი. კლიმატი - საშუალომთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლის მდგრადი საფრით; იანვრის საშუალო ტემპერატურა - -5,8°C. ზაფხული ზომიერად თბილი; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 15,7°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა - 1050-1100 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 2000-2100 სთ.	საშუალომთის ზედა სარტყლის ჰავა; ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-ნატრიუმიანი რკინის შემცველი და აზოტიანი, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიანი მინერალური წყლები, დებიტი - 150 ათასი ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.	სასუნთქ ორგანოთა დაავადებები (ბრონქული ასთმა), ანემია, კუჭ-ნაწლავის, ნაღვლის და საშარდე გზების დაავადებები, ლიმფოდენიტები და სხვ.
ლებარდე	მდებარეობს სამეგრელოს (ეგრისის) ქედის სამხრეთი ფერდობის განშტოებაზე, მდ. ლებარდეს (მდ. ტეხურის შენაკადი) ხეობაში (მარტვილის მუნიციპალიტეტი), მარტვილიდან - 55 კმ, თბილისიდან (ჩხოროწყუს გავლით) – 340 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1600 მ. რელიეფი - მთაგორიანი, ირგვლივ მდებარე მთის ფერდობები ძირითადად წიწვოვანი ტყეებითაა დაფარული (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი). კლიმატი - საშუალომთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად რბილი, იანვრის საშუალო ტემპერატურა - -4°C; მდგრადი თოვლის საფარი ნოემბრიდან მაისამდეა. ზაფხული ზომიერად თბილი და მშრალი; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 15,4°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა: 2000-2050 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 2000-2150 სთ.	საშუალომთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, კალციუმიან-ნატრიუმიანი (ან ნატრიუმიან-კალციუმიანი, ნარზანის ტიპის) საკმაო რაოდენობით რკინის შემცველი მინერალური წყლები, დებიტი - 40 ათასი ლ/დღ.-ღ.	მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.	კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, საშარდე სისტემის დაავადებები, მეორეული ანემია, სასუნთქი გზების დაავადებები.

სხვა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტებიდან აღსანიშნავია: ქვიშხეთი, ფასანაური, წაღვერი, ახალდაბა, სტეფანწმინდა, სიონი, თეთრი წყლები, მახინჯაური, კინდღი, ბესლეთი, ავადჰარა და სხვ.

პელოიდური კურორტები

კურორტი	გეოგრაფიული მონაცემები	ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები	მკურნალობის სახეობები	სამკურნალო ჩვენებები
ახტალა	მდებარეობს ალაზნის ველზე, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობების ძირში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), თელავიდან - 25 კმ, თბილისიდან - 145 კმ მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონოდან - 145 მ. რელიეფი - ვაკე. კლიმატი - ზომიერად კონტინენტური. ზამთარი რბილი, იანვრის საშუალო ტემპერატურა - -0,9°C. ზაფხული მეტად თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 23°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა - 741 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში: 2100-2200 სთ.	ფსევდოვულკანური წარმოშობის ტალახი და დაბალმთის ჰავა.	ტალახის აბაზანები (ზოგადი და ადგილობრივი), აპლიკაციები, ვაგინალური და რექტალური ტამპონები (კურორტზე და კურორტის გარეშე); პასიური კლიმატოთერაპია.	ძვალ-სახსროვანი, პერიფერიული ნერვული და შარდ-სასქესო სისტემების დაავადებები; ბავშვთა ცერებრალური დამბლებისა და პოლიომელიტის ნარჩენი მოვლენები.
კუმისი	მდებარეობს იაღლუჯის მაღლობსა და წალასყურის ვაკეს შორის, კუმისის ტბის ჩრდილო-დასავლეთით (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), შედის თბილისის კურორტების ჯგუფში. მანძილი თბილისიდან - 20 კმ. სიმაღლე ზღვის დონიდან - 189 მ. რელიეფი - ბორცვიანი ვაკე. კლიმატი - კონტინენტური, მშრალი (ძირითადად თბილისის კლიმატის ანალოგიური). ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი; იანვრის საშუალო ტემპერატურა - 0°C. ზაფხული ცხელი, მშრალი; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 24°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა - 550 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200 სთ.	დაბალმთის ჰავა და კუმისის ტბის ლამის სულფიდური ტალახი სილიციუმის, ალუმინის, რკინის ჟანგეულებისა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით; კუმისის ტბის წყალი - ქლორიდულ-სულფატურ-მაგნიუმიან-კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყალი.	სამკურნალო ტალახის აბაზანები, თალასოთერაპია.	გულ-სისხლძარღვთა, გინეკოლოგიური და ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებები, ქრონიკული პიელონეფრიტი და ნეფრიტი, ცისტიტი, ქრონიკული გასტრიტები, კოლიტი და ენტეროკოლიტი, ქრონიკულიჰეპატიტი, ასევე ნერვული სისტემის დაავადებები: რედიკულიტი, იშიასი, ენცეფალიტი.

ცალკე უნდა გამოვყოთ მრავალპროფილური სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, სადაც მსურველებს (პაციენტებს) საშუალება ექნებათ მიიღონ კომპლექსური სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურება ერთ სივრცეში, სპეციალურად შედგენილი პროგრამის მიხედვით. სავარაუდოდ, მომავალში ასეთი კატეგორიის დაწესებულებები მოთხოვნადი გახდება. ამის საშუალება საქართველოს გააჩნია, რამეთუ ქვეყანაში ფუნქციონირებს ორი, მაღალი დონის სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი - სამედიცინო Wellness კურორტი „ბიოლი“ და თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“ (იხ. ზემოთ - ბალნეოლოგიური კურორტები)

დღეს მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება Wellness პროდუქტების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რელაქსაციას. Wellness-ი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ღონისძიებების ურთიერთკავშირის მოქნილი სისტემაა, რომელიც მიმართულია ადამიანის არა მხოლოდ ავადმყოფობისგან პროფილაქტიკაზე, არამედ ასევე სასიცოცხლო ძალების აღდგენასა და მკურნალობაზე. Wellness მომსახურების მიზანია ადამიანს შესთავაზოს და განუვითაროს ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, რაც გულისხმობს SPA მომსახურებას, ფიზიკურ ვარჯიშებს, Wellness განათლებას, ჯანსაღ სამზარეულოს და ა.შ. დღეისთვის საქართველოში ფუნქციონირებს პირველი სამედიცინო Wellness კურორტი „ბიოლი“, რომელიც გაშენებულია თბილისთან ახლოს, კოჯრის სარეკრეაციო ზონაში, ზღვის დონიდან 1200 მეტრზე. კურორტზე უჯრედის დონეზე ხდება ორგანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობის დიაგნოსტიკა და მიღებული შედეგების საფუძველზე ინიშნება ინდივიდზე მორგებული კონკრეტული Wellness პროგრამა, რაც მოიცავს როგორც ფუნქციონალურ კვებას სამკურნალო მცენარეების დამატებით, ასევე ანტისტრესულ ფიზიკურ აქტივობებს, სათანადო SPA თერაპიებს და ინდივიდუალურად ორგანიზმზე მორგებულ სხვადასხვა პროცედურებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურება „ბიოლში“ გათვლილია მაღალგადახდისუნარიანი კატეგორიის მომხმარებლებზე.

საქართველოს მრავალფეროვანი და მდიდარი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მოსახლეობის რეაბილიტაცია-გაჯანსაღების ეფექტის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ სამკურნალო მეთოდებით, არამედ ეკოტურიზმის ფარგლებშიც.

კორონავირუსისა დ სხვა დაავადებებისაგან უარყოფითად დამუხტული მოქალაქეებისათვის მნიშვნელოვანია დასვენება და მოგზაურობა ბუნებრივ ნაკრძალებსა და დაცულ ტერიტორიებში: საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი, იმერეთში სათაფლია და პრომეთეს მღვიმე, აჭარაში მტირალას და კინტრიშის დაცული ტერიტორიები. განუმეორებელია ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, კახეთი, სადაც ლაგოდეხის ნაკრძალი და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებია. სამცხე-ჯავახეთი ცნობილია ვარძიითა და მრავლად მიმობნეული უნიკალური ძეგლებით. ულამაზესი ადგილებია სვანეთში.

დასვენებისა და ფსიქოლოგიური განმუხტვისთვის საუკეთესო საშუალებაა სათავგადასავლო ტურებში მონაწილეობა - საფეხმავლო მარშრუტები რთულ ადგილებში ფიზიკური დატვირთვით; ხანმოკლე ველო- და ავტოტურები; ალპინიზმი და კლდეზე ცოცვა; სპელეო-, წყლისა და საცხენოსნო ტურიზმი; პარაპლანერიზმი; სათხილამურო ტურიზმი და სხვ.

აქტიური დასვენებისა და ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის სულ უფრო პოპულარულია სოფლის (აგრო-, ფერმერული) ტურიზმი, რომელიც ორიენტირებულია ტურისტების აქტიურ მონაწილეობაზე ფერმერულ საქმიანობაში სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. ამ შემთხვევაში ტურისტები ბინავდებიან ფერმერთა სახლებში და გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობენ ადგილობრივი ცხოვრების წესით.

სოფლის ტურიზმი ორმხრივი ინტერესების სფეროს განეკუთვნება. ერთის მხრივ, იგი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას მომსახურების სფეროში და მათი სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მეორე მხრივ დაკმაყოფილებულია ტურისტის ინტერესები - ბუნების წიაღში, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრება (დასვენება), ნატურალური სოფლის პროდუქტებით კვება, მხარის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების გაცნობა (ტრადიციები, ნაციონალური სამზარეულო რეწვის ხელოვნება, ფოლკლორი და სხვ.), სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში მონაწილეობა ფერმერულ და საოჯახო საქმიანობაში (პლანტაციების გაშენება, მიწის დამუშავება, სოფლის პროდუქტების მოყვანა-დაბინავება, შინაური ფრინველისა და საქონლის მოვლა-მოშენება, პირუტყვის საკვების დამზადება, ღვინის დაწურვა, ჩურჩხელის ამოვლება, ყველის ამოყვანა, პურის ცხობა, თაფლის ამოღება და სხვ. ტურისტულ-რეკრეაციულ აქტივობებში მონაწილეობა (ლაშქრობები, სპორტული ღონისძიებები, თევზაობა, ნადირობა, ფრინველებზე დაკვირვება, სამკურნალო მცენარეების შეგროვება და სხვ.).

სოფლის ტურიზმი იმით არის მიმზიდველი, რომ ტურისტი ღებულობს რეკრეაციულ მომსახურებას შედარებით მცირე დანახარჯებით და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ცხოვრობს სოფლის ჯანსაღ პირობებში.

როგორც სტატიის დასაწყისში იყო აღნიშნული, საქართველოს გააჩნია კარგი პერსპექტივები სამკურნალო-გამაჯანსაღებელი (სარეაბილიტაციო) ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევისა, მთავარია ოპერატიულად მივადევნოთ თვალი და სწორად შევაფასოდ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მუდმივად ცვალებადი ეპიდემიური სიტუაცია და აქედან გამომდინარე დავგეგმოთ დარგის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ცხადია, პანდემიის და პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო მეტად აქტუალური და მოთხოვნადი იქნება სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი შიდა ტურიზმის მიმართულება. ეპიდსიტუაციისგან მორალურად და ფსიქოლოგიურად გადაღლილი მოსახლეობა, სავარაუდოდ, ისარგებლებს ქვეყნის რეკრეაციული შესაძლებლობებით, იქ ,სადაც აუცილებელი არ არის სამკურნალო ჩვენებები, პრიორიტეტს მიანიჭებს ჯანმრთელობის

აღდგენას (როგორც გარკვეულწილად დაავადების პრევენციულ ღონისძიებას), რამეთუ მასზე გაღებული ხარჯები ბევრად ნაკლებია, ვიდრე მკურნალობაზე. რაც შეეხება უცხოელ ტურისტებსა და ვიზიტორებს, მას შემდეგ რაც მოიხსნება შეზღუდვები გადაადგილებაზე, მოსალოდნელია კვლავ აღსდგეს საერთაშორისო ტურიზმის ადრინდელი მასშტაბები.

წინამდებარე სტატიაში გაშუქებული საკითხი მრავალწახნაგოვანია - იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკა და მისი ცალკეული სეგმენტები (სოფლის მეურნეობა - სასურსათო უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, საკადრო უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.), რომლებიც ცალკე ანალიზს და განსჯას საჭიროებს.

ამჟამად ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ქვეყნის საკურორტო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოტენციალი და მისი შესაძლებლობები.

ოთარ ფარესიშვილი,
ქიმიის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ლაურა კვარაცხელია,
ქიმიის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ვალენტინა მირზაევი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მეცნიერი თანამშრომელი

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვარაცხელია ლ., "სამკურნალო (საკურორტო) რესურსები", საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ.II, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, თბილისი, 2015, გვ. 875-1062.

2. ვადაჭკორია გ., უშვერიძე გ., ჯალიაშვილი ვ., საქართველოს კურორტები, თბილისი, "საბჭოთა საქართველო", 1987.

3. მესხია ი., ასათიანი რ., "საკურორტო-რეკრეაციული რესურსები და ტურიზმი", წიგნში: საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2012.

4. საქართველოს ეროვნული ატლასი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.

5. საქართველოს 100 კურორტი, "კლიო", თბილისი, 2014.

6. ერქომაიშვილი გ., "სამედიცინო ველნეს კურორტები - საქართველოს ბრენდ კოდი მსოფლიოში", უნივერსალი, 2016.

7. O.Paresishvili, L.Kvaratskhelia, V. Mirzaeva, "Rural tourism as a promising trend of small business in Georgia: topicality, capabilities, peculiarities", Annals of Agrarian Science, Vol.15, Issue 3, 2017.

8. Z.Lomsadze, O.Paresishvili, L.Kvaratskhelia et al. "Georgian natural rersources (brief review)", Annals of Agrarian Science, Vol.17, No. 1, 2019.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გაწეული დაფინანსების სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა და ანალიზი

ანოტაცია

საქართველოში აუტიზმს „ახალგაზრდა დიაგნოზს“ უწოდებენ. მაშინ, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა უკვე შექმნეს ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის მრავალფეროვანი პროგრამები, რომლებიც გულისხმობს როგორც 18 წლამდე, ისე ზრდასრულ ასაკში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე პირებზე ზრუნვას. კვლევებმა აჩვენა, რომ დროული ჩარევით და რამდენიმეწლიანი სისტემატიური მუშაობით შესაძლებელია, აუტიზმის მქონე პირების მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდეს.

სტატიაში საუბარია ჯანდაცვის სისტემაში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ფორმებსა და მეთოდებზე, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2016-2019 წლებში გაწეული აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის სტატისტიკური მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: ანგარიშგება, სპეციალიზირებული ანგარიშგება, ბიუჯეტი, ბენეფიციარი.

DYNAMICS AND ANALYSIS OF THE STATISTICAL MEASURES OF THE FUNDING FOR THE TREATMENT AND REHABILITATION OF CHILDREN WITH AUTISM SPECTRUM DISORDER

Badri Giorgidze
Academic Doctor of Economics,
Sokhumi State University
Associate Professor

ABSTRACT

ASD is considered as a “young disease” in Georgia. However, the countries of the developed world already have in place diverse programs for the families affected with ASD, which cover treatment for both children and adults. The research has shown that timely interventions and systematic treatment can have a tremendously positive effect on improving the daily life of people with ASD.

The article covers the different forms and methods of collecting statistical data in the healthcare system. It also reviews the statistical measures of the rehabilitation program for the children with ASD conducted between 2016-2019 under the healthcare protection program by the Tbilisi Municipality City Hall.

Keywords: Report, Specialized Report, Budget, Beneficiary.

შესავალი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების, შერჩევითი დაკვირვების, ანგარიშგების, გამოკითხვის ნაირსახეობებისა და სხვა სტატისტიკური მეთოდების გამოიყენებით. სამედიცინო სექტორში ყველაზე ფართოდ გამოიყენება ამ სფეროში ერთერთ საიმედო სტატისტიკური დაკვირვების ფორმად მიჩნეული ფორმა - ანგარიშგება. ზემოაღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებისთვის გამოყენებული იქნა სპეციალიზირებული, მიმდინარე და წლიური ანგარიშგების ფორმები. სპეციალიზირებული ანგარიშგება იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნას იგი ცალკეული სექტორებისათვის, მათ შორის, წარმატებულად გამოიყენება ჯანმრთელობის სტატისტიკაშიც. აღნიშნული ანგარიშგებით შესწავლილ იქნა 2016-2019 წლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებული აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობრივი მაჩვენებლები. ასევე, ზემოთ მითითებულ პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ აღნიშნული დაავადების მკურნალობისათვის გამოყოფილი თანხები და მათი დინამიკა 2016-2019 წლების განმავლობაში.

საკითხის განხილვა

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა[1] ამოქმედდა 2015 წლის 1 ივლისიდან და მოიცავს შემდეგ მომსახურებებსა და ღონისძიებებს:

• მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსის ჩატარებას, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში საჭიროებისამებრ ტარდება ABA-ქცევითი თერაპიის, მეტყველების, სენსორული, ხელოვნებითი, ფიზიკური, აკადემიური უნარებისა და ოკუპაციური თერაპიები. ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალური ოდენობა, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენდა:

✓ 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის არანაკლებ 14 სეანსს;

1 წყარო: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სახალაქო სამსახური

✓ 8-12 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის არანაკლებ 12 სეანსს;

✓ 13-15 წლის ასაკის ჩათვლის მოსარგებლეებისათვის არანაკლებ 10 სეანსს.

• ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალური ოდენობა, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შეადგენდა:

✓ 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10-ს;

✓ 8-12 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10-ს;

✓ 13-15 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის სეანსების ოდენობის არანაკლებ 5/10-ს.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

თბილისის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ძირითად დიაგნოზად გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0; F84.9) ჯგუფის დიაგნოზი. თუმცა, 2019 წლის ივნისის თვიდან განხორციელდა ცვლილება და ასაკობრივ ზედა ზღვრად განისაზღვრა 18 წელი ნაცვლად 15 წლისა.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიტის სახე და ოდენობაა:

კომპლექსური თერაპიის 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) ინდივიდუალური სეანსი. ინდივიდუალური სეანსის ღირებულება შეადგენდა 20 ლარს. დაფინანსება ხორციელდებოდა არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს, თვეში 400 ლარისა.

გავაანალიზეთ 2016-2019 წლების სტატისტიკური მაჩვენებლები აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის შესახებ ბენეფიაციართა, ჩატარებული სეანსებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული დაფინანსების ჭრილში.

მოცემული დიაგრამის ანალიზიდან ჩანს, რომ 2016 წელს აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 566-მა ბენეფიციარმა, მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და 2019 წელს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 1000, ანუ 2016 წელთან შედარებით გაიზარდა 434 ბენეფიციარით. აღნიშნული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ზრდის ტემპმა 2016-2019 წლებში შეადგინა 76,7%.



2016 წელს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭიროებისდა შესაბამისად ჩატარდა სხვადასხვა სახის 85 671 სეანსი. აღნიშნული მონაცემი 2019 წლისთვის გაიზარდა 112 435-ით და შეადგინა 198 106. ზრდის ტემპი ამ შემთხვევაში 131,2%-ია (იხ. ცხრილი).

თერაპიის სახე	2016 წელი			2017 წელი			2018 წელი			2019 წელი		
	რაოდ.	%	თანხა	რაოდ.	%	თანხა	რაოდ.	%	თანხა	რაოდ.	%	თანხა
ABA თერაპია	64,672	75.5	1,358,112	102,899	77.1	2,119,775	144,873	78.5	2,645,369.7	155,349	78.5	3,106,980
მეტყველების თერაპია	6,337	7.4	133,077	10,053	7.5	207,329	12,655	6.9	231,079.3	12,576	6.9	251,520
სენსორული თერაპია	3,146	3.7	66,066	4,301	3.2	88,855	5,956	3.2	108,756.1	5,760	3.2	115,400
ხელოვნების თერაპია	3,628	4.2	76,188	6,568	4.9	135,395	6,176	3.3	112,773.3	5,589	3.3	111,780
ფიზიკური თერაპია	3,737	4.4	78,477	5,119	3.8	105,518	8,355	4.5	152,561.6	10,623	4.5	212,460
აკადემიური უნარების თერაპია	3,269	3.8	68,649	4,227	3.2	86,986	5,999	3.3	109,541.3	7,920	3.3	158,400
ოკუპაციური თერაპია	882	1.0	18,522	364	0.3	7,573	449	0.2	8,198.7	289	0.2	5,780
სულ	85,671	100	1,799,091	133,531	100	2,751,431	184,463	100	3,368,280	1345,55	100	3,962,320.0



ზემოთ მოცემული ცხრილი იძლევა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია სტატისტიკური მონაცემები ჩატარებული სეანსების რაოდენობისა და შესაბამისად გადახდილი თანხების მიხედვით თერაპიის სახეების ჭრილში.

• ***ABA[1] თერაპია*** ყველაზე ეფექტური მიდგომაა აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის. იგი მიმართულია იმ უნარების დასწავლაზე, რომლის დეფიციტსაც ასეთი ბავშვები განიცდიან. გარდა კომუნიკაციური უნარებისა, აღნიშნული თერაპია აქტიურად გამოიყენება აკადემიური, წვრილი და მსხვილი მოტორული უნარების, სოციალური და ფუნქციური უნარების დასასწავლად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებული *„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“* პროგრამის ფარგლებში, ABA თერაპიის საეანსები ჩატარებული სეანსების საერთო რაოდენობის საშუალოდ 77,4%-ია და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან პროგრამის ფარგლებში 2016-2019 წლებში აღნიშნული სეანსები დაფინანსებულია 9 230 236.67 ლარით. 2016 წელს ჩატარებული სეანსების რაოდენობამ შეადგინა 64 672, რომლის მაჩვენებელიც ყოველწლიურად იზრდებოდა და 2019 წელს ABA თერაპიის 155 349 საეანსი ჩატარდა. აღნიშნული თერაპიული სეანსების რაოდენობა ამ შემთხვევაში გაზრდილია 90.68%-ით;

• **მეტყველების თერაპიის** 6 337 სეანსი ჩატარდა 2016 წელს. 2019 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაზრდილია 6 239-ით, ანუ 98,5%-ით და შეადგინა 12 576. აღნიშნული თერაპიის შესაბამისი სეანსების რაოდენობა, ჩატარებული საერთო საენსების რაოდენობის დაახლოებით 7%-ია და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2016-2019 წლებში აღნიშნული სეანსები დაფინანსებულია 823005 ლარით;

1 ABA თერაპია - ქცევითი თერაპია

• **ფიზიკური თერაპიის** მაჩვენებელიც 2016-2019 წლების განმავლობაში ზრდადია. 2019 წელს ჩატარდა თარაპიის 10 623 სეანსი, მაშინ როცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი 3 737 იყო. ზრდა 184,3%-ია, ანუ ჩატარდა 6,886-ით მეტი სეანსი. ფიზიკური თერაპიის შესაბამისი სეანსების რაოდენობა საერთო მაჩვენებლის საშუალოდ 4,5%-ია; ბიუჯეტიდან გადახდილია სულ 549016 ლარი;

• **აკადემიური უნარების** თერაპიის სეანსები საერთო რაოდენობის 3,6%-ს შეადგენს. პერიოდის განმავლობაში დინამიკა აქაც ზრდადია და შეადგენს 142,3%-ს. 2016 წელს სეანსების რაოდენობამ შეადგინა 3 269, 2019 წელს კი აღნიშნული მონაცემი გაიზარდა 4 651-ით და შეადგინა 7 920. თუ 2016 წელს აღნიშნული სეანსებისთვის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 68 649 ლარი, 2019 წელს ბიუჯეტიდან გადაირიცხა 158 400 ლარი. 2016-2019 წლების განმავლობაში კი სულ ბიუჯეტიდან აკადემიური უნარების თერაპიის სეანსები დაფინანსებულია 423 576 ლარით;

• **სენსორული თერაპიის** 3 146 სეანსი ჩატარდა 2016 წელს, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ დაფინანსდა 66 066 ლარით. 2019 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინეს 760 სეანსი და 115 400 ლარი. ზრდის მაჩვენებელი 83,1%-ია, ანუ პერიოდის განმავლობაში სეანსების რაოდენობა გაზრდილია 2614-ით; საერთო რაოდენობაში მოცემული თერაპიის სახეს 3,3% უკავია.

• **ხელოვნების თერაპიის** მაჩვენებელი 2016-2019 წლებში გაზრდილია 54,1%-ით. 2016 წელს ჩატარდა 3 628 სეანსი და ბიუჯეტიდან გადახდილ იქნა 76 188 ლარი. 2019 წელს 111 780 ლარით დაფინანსდა 5 589 სეანსი, ანუ სეანსების რაოდენობა გაიზარდა 1 961 ერთეულით. მოცემული პერიოდის განმავლობაში თერაპიისთვის, რომელიც სეანსების საერთო რაოდენობის 3,8%-ს შეადგენს, ბიუჯეტიდან ჯამში გახარჯულია 436 136 ლარი.

• **ოკუპაციური თერაპია,** თერაპიის ერთადერთი სახეა, სადაც მაჩვენებელი კლებადია. 2016 წელს აღნიშნული თერაპია დაფინანსდა 18 522 ლარით და ჩატარდა 882 სეანსი, 2016-2019 წლების განმავლობაში მაჩვენებელი იკლებს და 2019 წლისთვის სეანსების რაოდენობა შემცირებულია 67,2%-ით, ანუ 593-ით, ხოლო დაფინანსება 12 742-ით, ანუ 68,8%-ით. შესაბამისად 2019 წელს ჩატარდა აღნიშნული თერაპიის 289 სეანსი, რისთვისაც ბიუჯეტიდან გადახდილ იქნა 5 780 ლარი.

ქვემოთ მოცემულ წრიულ დიაგრამებზე ნაჩვენებია პროცენტული განაწილება ჩატარებული სეანსების სახეების მიხედვით 2016 და 2019 წლებში.







როგორც დიაგრამების ანალიზიდან ჩანს, ყველაზე აქტუალურია ქცევითი თერაპია. შემდეგ კი ფიზიკური თერაპია.

2016 წელს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოყოფილი იყო 1 799 091 ლარი, 2019 წლისთვის კი იგივე ქვეპროგრამა დაფინანსდა 3 962 320 ლარით, ანუ გაიზარდა 2 163 229 ლარით. ზრდის ტემპმა შეადგინა 120,2%.

დასკვნა

მოპოვებული და დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მერიის მიერ გაწეული მომსახურებისა და ფინანსური დახმარების დინამიკის მაჩვენებელი 2016-2019 წლებში ზრდადია. ამასთან, 2016 წელს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს მხოლოდ სამი ორგანიზაცია უწევდა მომსახურებას. ფსიქოლოგია არ იყო საქართველოში რეგულირებადი პროფესია, არ არსებობდა დამტკიცებული პროგრამები. ამჯერად კი თბილისის მერიას აღნიშნულ სერვისს აწვდის 7 ორგანიზაცია (შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი"; სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვის განვითარების ინსტიტუტი"; რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები"; შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი"; ა(ა)იპ „პირველი ნაბიჯი საქართველო"; შპს „ფაზლი" და ფსიქონევროლოგიური კლინიკა „ვალეო 2011").

ქვეყანაში არსებობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, ასევე უწყვეტი განათლების ფარგლებში სხვადასხვა სასერტიფიკაციო პროგრამები, რომელიც ამ მიმართულებებით ახალი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ითვალისწინებს. კვლევები აჩვენებს, რომ დროული ჩარევით და რამდენიმეწლიანი მუშაობით შესაძლებელია, აუტიზმის მქონე ბავშვის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება.

გასულ წელს დედაქალაქის მერიამ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდს" ორ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი გამოუყო აუტიზმის ეროვნული ცენტრის მშენებლობისთვის. 2020 წლიდან კი თბილისის მერია "აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამას" აფართოებს და მასში დამატებით 230 ბენეფიციარს რთავს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ბიუჯეტით აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხაც იზრდება და შეადგენს 4 510 000 ლარს.

ბადრი გიორგიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2016 – 2019 წლების ქალაქ თბილისის ბიუჯეტი;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2016 -2018 წლების სტატისტიკური კრებულები;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ. გვერდზე http://tbilisi.gov.ge/ განთავსებული ინფორმაცია.

ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის ანალიზისა და აუდიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია, რამ გამოიწვია საწარმოებში ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის ანალიზისა და აუდიტის ზოგიერთი საკითხისადმი ინტერესის გაღვივება. ფინანსური ინფორმაცია არის ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. ფინანსური ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ფინანსური ანგარიშგების კომპონენტი – ბუღალტრული ბალანსი. კონკურენტულ გარემოში ინფორმაციის მომხმარებლებს ესაჭიროებათ სრული და საიმედო ფინანსური ინფორმაცია. აღნიშნულმა აჩვენა იმის აუცილებლობა, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს და გამოქვეყნდეს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით და მისი აუდირება ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რაც დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. სწორედ ამიტომ აუცილებელია სრულყოფილად ბალანსის შედგენის, მასში ასახული ინფორმაციის ანალიზისა და აუდიტის საკითხების შესწავლა.

სწორი და უტყუარი ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს საწარმოების ეფექტიან მუშაობას, ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: საწარმო, ბუღალტრული ბალანსი, ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ინფორმაცია, ანალიზი, აუდიტი.

SOME TOPICAL ISSUES IN ACCOUNTING INFORMATION ANALYSIS AND AUDITING

Natela Vashakidze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor,
Dezdemona Maghlakelidze,
Akaki Tsereteli State University
Associate Professor,
Diana Uglava
Akaki Tsereteli State University
Invited specialist
Doctor of Business Administration

RESUME

The paper discusses what has led to the analysis of accounting information in enterprises and the interest in some audit issues. Financial information is the most important tool for making economic decisions. One of the main sources of financial information is the financial reporting component – the balance sheet. In a competitive environment, information users need complete and reliable financial information. This showed the need for financial reporting in our country to be prepared and published in accordance with international accounting and financial reporting standards and to be audited in accordance with international audit standards, which are associated with certain difficulties. That is why it is necessary to study the issues of compiling a perfect balance, analyzing the information reflected in it and auditing it.

Based on accurate and unambiguous financial information, economic decisions will help businesses to operate efficiently, grow their businesses in the country, and improve the well-being of their population.

Keywords: Enterprise, Accounting Balance, Financial Reporting, Financial Information, Analysis, Audit.

შესავალი

საქართველოში ბიზნესისა და საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფილი დამკვიდრება მკვეთრად ზრდის საწარმოს ფინანსების და ფინანსური ურთიერთობების შესახებ უტყუარი ინფორმაციის მოთხოვნადობას. საბაზრო ურთირთობა პირველ რიგში გულისხმობს შესატყვის ეკონომიკურ სივრცეს, რომელშიც მონაწილეობენ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ობიექტები, იურდიული და ფიზიკური პირები, რომელთა უმრავლესობას, ყოველგვარი შუამავლების გარეშე, სურს დაადგინოს ვისთან შეიძლება საქმიანი ურთიერთობების დამყარება. ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ინფრასტრუქტურა, ფინანსურ ინფორმაციულ კავშირს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგება. საინფორმაციო კავშირის სათანადოდ შეუფასებლობა, ითვლება ბაზრის ეკონომიკური კონიუქტურის და პოტენციური პარტნიორების შესაძლებლობათა არაადეკვატური აღქმის ერთ-ერთ მიზეზად. პოტენციური პარტნიორების ფინანსური ანგარიშგების შესწავლისადმი არასაკმარისი ყურადღება გაანაპირობებს არაეფექტური კონტრაქტების დადებას.

ძირითადი ტექსტი

დღეისათვის, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის გარდაქმნისა და სრულყოფილი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესები დაჩქარებულად მიმდინარეობს. ამიტომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა წრე აუცილებელს ხდის მასში ასახული ინფორმაცია იყოს აღქმადი, რაც მოითხოვს მის მომზადებას საერთაშორისო სტანდატების შესაბამისად. „საწარმოში ფორ-

მირებული საინფორმაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საწარმოს რესურსების შეფასებისა და ანალიზის, შემოსავლების, ხარჯებისა და რისკების პროგნოზირების წყაროა და მისი ფორმირების ძირითადი პრინციპები განისაზღვრა ბაას1-ით, – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლებით“, რომელიც ამჟამად ჩანაცვლებულია „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით“.[1.51]

ფინანსური ანგარიშგება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას, რომელიც სასარგებლო იქნება როგორც პოტენციური პარტნიორებისთვის, ისე თვით წარმდგენი საწარმოსა და აგრეთვე სხვა პირთათვის, რათა მათ შეძლონ რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღება სესხებსა და კაპიტალდბანდებებზე (ფასიანი ქაღალდების შეძენასთან ერთად). კონკრეტულად საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას ამ საწარმოს განკარგულებაში არსებულ ბიზნესის რესურსებზე, მათი გაადადგილების ვალდებულებებზე, მესაკუთრეების წილზე, ასევე აქციების ღირებულების ცვლილებების შედეგებზე. „ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება (შედგენილი ფასს-ის მიხედვით), ხელს უწყობს ბაზარზე საწარმოს პოზიციის განმტკიცებას, ასევე მათი მართვის სრულყოფას. იმდენად, რამდენადაც მენეჯერები უფრო სრულად წარმოადგენენ რეალურ ეკონომიკურ პირობებს, რომელშიც ფუნქციონირებს სამეურნეო სუბიექტი“[2.134]. აუცილებელია აღნიშნულთან ერთად ხაზი გავუსვათ იმას, რომ მომხმარებელს გადაწყვეტილების მისაღებად ფინანსურთან ერთად, არაფინანსური ინფორმაციაც სჭირდება. არაფინანსური ინფორმაციის წყაროა მმართველობის ანგარიშგება.

„მმართველობის ანგარიშგება, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, ერთიან კონტექსტს ქმნის და დაინტერესებულ პირებს მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის სუბიექტის შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიცავს ხელმძღვანელი პირების ხედვას, არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა (დადებითი და უარყოფითი გარემოებებით), არამედ იმასაც, თუ რატომ მოხდა და რა შესაძლო გავლენა ექნება მომხდარს სუბიექტის სამომავლო საქმიანობაზე“[3. 5]

საწარმოს ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების ინფორმაციის გამოქვეყნებისას წამოიქმნება კომერციული საიდუმლოებების დაცვის პრობლემა. საბაზრო ურთიერთობათა და კონკურენციის პირობებში მას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს და საჭიროებს ამ კანონით გათვალისწინებული გარკვეული ნორმების დაცვას. ამიტომ საწარმოს ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებები მიმართული უნდა იყოს მესაკუთრეების ინტერესების მაქსიმალური დაცვისაკენ. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის შიგნით ცალკეული საქონლის წარმოება მონოპოლიზებულია და მათთან ერთად, უცხოელი კონკურენტებიც გამოდიან საგარეო გასაღების ბაზრებზე, მაშინ თვალნათელია, გამოქვეყნებას დაექვემდებაროს ის ინფორმაცია, რომლებიც ზიანს არ მოუტანს საწარმოს. დღევანდელი გადასახედიდან საქართველოს მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ხარისხიანი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენის საკმარისი ინსტიტუციური და სამართლებრივი სტრუქტურული საფუძვლები.

როგორც, ზემოთ ავღნიშნეთ ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესს, როგორებიცაა სახელმწიფო ორგანოები, ინვესტორები, კრედიტორები, აქციონერები თუ უბრალოდ, სხვა მომხმარებლები. ფინანსურ ანგარიშგებაში სააღრიცხვო მონაცემების მართებულად ასახვას, ფინანსური ანგარიშგების ადეკვატურობას დამოუკიდებელი აუდიტორი უნდა ადასტურებდეს. „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, დღის წესრიგში დადგა სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებისა და სისტემატიზაციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმართვისა და მომზადების საერთო კონცეფციაზე“.[4. 75]

საქართველოში აღრიცხვა, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს საკანონმდებლო აქტების თანახმად, ფინანსური ანგარიშგება სავალდებულოა მომზადდეს

და გამოქვეყნდეს ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით და მისი აუდირება კი ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რაც წარმოშობს საწარმოს აღრიცხვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტების აუცილებლობას, მნიშვნელოვან მატერიალურ და ინტელექტუალურ ძალისხმევას, რომელიც მიღწევადია მხოლოდ ადეკვატური სტიმულირების პირობებში.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ერთ-ერთი კომპონენტია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისათვის (ბუღალტრული ბალანსი).

როგორც ცნობილია, ფინანსური მდგომარეობა აისახება ბალანსში, რადგან იგი ასახავს აქტივებს, ვალდებულებებს და საკუთარ კაპიტალს. კერძოდ, ბალანსის ერთი ნაწილი ასახავს აქტივებს, რაც წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკურ რესურსებს, ქონებას: როგორებიცაა ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ფულადი საშუალებები, მოთხოვნები და სხვა. ბალანსის მეორე ნაწილი მოიცავს ვალდებეულებებსა და საკუთარ კაპიტალს. „ბალანსის ორივე ნაწილში ორმხრივობის პრინციპის თანახმად ტოლფასი სიდიდეები თავსდება“. [1.გვ. 75]

ინფორმაცია, რომელიც განზოგადებულია ბუღალტრულ ბალანსში, საჭიროებს მისი სტრუქტურის მუდმივ სრულყოფას იმ მიზნით, რომ იგი უკეთ იქნეს გამოყენებული საწარმოს მართვის პროცესში. „ბუღალტრულ ბალანსს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სარკეს უწოდებენ. მასში მოცემულია საწარმოს რესურსებისა და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, მოცემული თარიღისათვის.“[5.94] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ „ბუღალტრული ბალანსში ინფორმაცია მოცემულია წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შესწავლილი იქნას საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ცვლილება წლის განმავლობაში“[6.95] აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსის ინფორმაციის ანალიზური მნიშვნელობა დიდია, რადგან იგი საშუალებას იძლევა შევაფასოთ:

- ბალანსის მუხლების სასურველი და არასასურველი ცვლილებების ტენდენციები;
- საწარმოს ფინანსური პოზიცია და ფინანსური დამოუკიდებლობა;
- შეუძლია თუ არა დროულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები;
- ფინანსური სტაბილურობა და სხვა.

ამდენად, ბალანსის ანალიზით დგინდება არის თუ არა საწარმო გადახდისუნარიანი, რა რაოდენობის საკუთარი სახსრები გააჩნია, არის თუ არა ფინანსურად დამოუკიდებელი.

ბალანსის ანალიტიკურობის ხარისხი განისაზღვრება მასში გამოხატული აგრეგირების (განზოგადების) მონაცემების დონით. ამასთან, ეს კავშირი არის უკუპროპორციული: რაც უფრო მაღალია აგრეგირების დონე, მით უფრო ნაკლებად ანალიტიკურია ბალანსი. ამიტომ საკითხი ბალანსის სირთულის აუცილებელი ხარისხისა და მიზანშეწონილობის, აგრეთვე მუხლების შემადგენლობის გაფართოების თუ გარდაქმნის აუცილებლობის, დამატებითი დაჯგუფებების შემოტანის საკითხები უწყვეტი პროცესია და ამ პროცესს შეისწავლიან პროფესიონალი ბუღალტრები. “სტრუქტურა ნიშნავს ნაწილის ხვედრით წილს, რომელიც გამოიყენება ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზისას, რომლის მეშვეობით შეისწავლება საწარმოს ქონებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, რომელიც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება.[5. 98].

ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზს ავსებს დინამიკური ანალიზი ანუ ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი, რომლის დროს ანალიზდება მუხლების ცვლილების ტენდენციები, რისთვისაც გამოითვლება აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის დინამიკური კოეფიციენტები პროცენტულად საბაზისო წელთან შედარებით, წმინდა მიმდინარე აქტივების დინამიკა და სხვა.

ბუღალტრული ბალანსის შიდა დაბალანსება სავალდებულოა, რადგან შიდა დაბალანსების უქონლობის შემთხვევაში, მისი მუხლების უმეტესი ნაწილი, მასში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით ართულებს ბალანსის წაკითხვას და ანალიზს. ბალანსის მუხლების სტრუქტურამ და შინაარსმა ძირითადად უნდა უპა-

სუხოს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია ბალანსის წაკითვისათვის, თუ აქტივის მუხლები შედგენილია მუხლების ლიკვიდობის ხარისხის ზრდის პრინციპით და ბალანსის მეორე ნაწილში კაპიტალი მკაფიოდაა დაყოფილი საკუთარ და ნასესხებად. საბოლოოდ, ბალანსი იძლევა საშუალებას შეფასდეს საწარმოს ლიკვიდობა.

ბალანსის აქტივის რეალიზება ნიშნავს ქონების ფულად გადაქცევას. ბალანსის პასივისათვის დამახასიათებელია ვალის დაფარვის უნარიანობა, ე.ი. მას შესწევს უნარი გაქრეს გადახდის შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდურობა არის კავშირი აქტივის რეალიზებადობასა და პასივის ვალის დაფარვის უნარს შორის. ამ მაჩვენებლებით დაინტერესებულნი არიან ბანკები, მომწოდებლები, აქციონერები. ბალანსის ვალუტა ასახავს ერთ მხრივ, საწარმოს ქონების ნამდვილ სიდიდეს, და მეორე მხრივ, კაპიტალს (ვალდებულებას + საკუთარი კაპიტალი).

ბალანსის ლიკვიდურობის დონის განსაზღვრისათვის საჭიროა აქტივის იმ ნაწილის შედარება, რომლის რეალიზება გარკვეულ ვადებში ხდება, პასივის იმ ნაწილთან, რომელიც ასევე დროის ამავე პერიოდში უნდა იქნეს გადახდილი. თუ ასეთი შედარებისას აქტივის რეალიზაცია ისეთ თანხას იძლევა, რომელიც საკმარისია ვალდებულებების დასაფარად, მაშინ ამ საწარმოში ბალანსი ლიკვიდური იქნება, ე.ი. საწარმო გადახდისუნარიანია. შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც დროის ამა თუ იმ მონაკვეთში პასივის ვალდებულებები სარეალიზაციო ღირებულებას აღემატება, საწარმო არ არის გადახდისუნარიანი.

ლიკვიდურობის რაოდენობრივი შეფასება ბალანსის მონაცემების მაჩვენებლების მიხედვით გამოითვლება. ამ მაჩვენებლებს მიეკუთვნება აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი, დაფარვის შუალედური კოეფიციენტი, დაფარვის საერთო კოეფიციენტი და სხვა.

ფინანსური ინფორმაციის და მისი ხარისხის შესაფასებლად საბაზრო ურთიერთობის პირობებში საჭირო გახდა აუდიტორული მომსახურება, რომელიც სამეურნეო საქმიანობაზე ინფორმაციის მომხმარებელს მიაწვდის სპეციალისტის კომპეტენტურ მოსაზრებას ფინანსური ანგარიშგების სისწორისა და ხარისხის შესახებ.

საბაზრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, საქართველოში ხდებოდა აუდიტორული სამსახურის მოცულობისა და სახეების გაფართოება, რის შედეგად ჩამოყალიბდა მრავალი აუდიტორული ფირმა. ისინი ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მომსახურებასა და კონსულტაციასთან ერთად, ეწევიან საექსპერტო საქმიანობას საგადასახადო დაბეგვრის საკითხებზე, იძლევიან რეკომენდაციებს საწარმოს (ბიზნესის) მმართველობითი საქმიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიის, მარკეტინგის, საწარმოო მარაგების, დაგეგმვისა და პროგნოზირების, საბანკო და სადაზღვევო საქმის და სხვა საქმიანობის სწორი და ყაირათიანი წარმართვისათვის. ყოველივე აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია ეკონომიკური ანალიზის და ბალანსის წაკითხვის გარეშე. ანალიზის საკითხები ბალანსის აუდიტის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, ამ შემთხვევაში აუდიტი ანალიზის შედეგების მაჩვენებელთა სისწორის (უტყუარობის) შემოწმებას წარმოადგენს და მის მომხმარებელზე დაყვანის საქმეს ემსახურება. საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მოიცავს ამ ორგანოს და მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=10).

აუდიტის ჩატარების ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელია იმის შესწავლა, თუ რამდენად სრულად და უტყუარად არის ასახული საბუღალტრო ანგარიშებსა და ანგარიშგებებში ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, მიღებული შემოსავლები და ფინანსური შედეგები. მით უმეტეს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გარეშე შეუძლებელია გამოვავლინოთ საწარმოს სამეურნეო საშუალებების, მთლიანად (ქონებისა) და მათი წარმოქმნის წყაროების რაციონალურად განთავსებისა და მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობა და სხვა. მთლიან აუდიტში ბალანსის ნაწილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური მდგომარეობის შეფასების საქმეში.

ბალანსის აუდიტი უნდა ჩატარდეს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მუხლების მიხედვით. მაგალითად, შესაძლებელია დაიწყოს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენის, უსასყიდლოდ მიღების და სხვა ოპერაციების აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვის, გადაფასების სისწორის შესწავლა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათზე მიღება-ჩაბარების აქტებს, ცვეთის დარიცხვის სისწორეს, კაპიტალური რემონტის ხარჯების გატარებას და სხვა.

აუდიტორი საწარმოო მარაგების შესამოწმებლად მიმართავს და შეისწავლის ბალანსის შესაბამისი მუხლების უტყუარობასა და მათ ტოლობას მთავარ დავთარში და ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში მოცემულ ინფორმაციასთან. ამასთან, უნდა გამოავლინოს ზენორმატიული საწარმოო მარაგების წარმოქმნის მიზეზები, უნდა შემოწმდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემოსავალში აღების დროულობა და სისრულე.

ბალანსში განზოგადებული ფულადი საშუალებების ნაშთი, ფულადი საშუალებების მოძრაობის ამსახველი ოპერაციები უნდა შედარდეს საბანკო ამოწერებთან და შემოწმდეს კანონიერად გამოიყენებიან თუ არა საბანკო ჩეკები და საგადასახადო დავალებები.

აუდიტორი ერთმანეთს უდარებს რა საბალანსო მუხლების მონაცემებს შესაბამისი ანგარიშის მთავარ დავთარში ჩანაწერების გაკეთების წესს და შესრულებული ოპერაციების კანონიერებას, აღნიშნულით ადასტურებს ამ მაჩვენებლის უტყუარობას. საბანკო დოკუმენტების შემოწმება არსებითია, რაც იძლევა საშუალებას დადგინდეს, ხომ არა აქვს ადგილი ავანსებისა და გადასახადების არასწორად ჩარიცხვის ფაქტებს და სხვა უკანონო ოპერაციებს.

ბალანსის ვალდებულებების მუხლების აუდიტის შემთხვევაში მოწმდება თუ რამდენად სწორად და დრო-

ულად გამოიყენებიან ისინი, უტყუარია თუ არა მათი მოძრაობის დოკუმენტაცია.

აუდიტორი აუცილებლად უნდა ამოწმებდეს ბალანსზე ჩაწერილ მოთხოვნებსა და ვალდებულებების მაჩვენებლების სისწორეს საგადასახადო დისციპლინის დაცვის ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, ისინი უნდა შეუდაროს ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის ჩანაწერებს.

აუდიტორმა მთლიანად უნდა შეამოწმოს საავანსო ანგარიშები, მათი თანმხლები დოკუმენტების გაფორმებისა და დანახარჯებზე მიკუთვნების სისწორე.

აუდიტორმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ბიუჯეტთან და ბიუჯეტგარეშე გადასახდელებით ანგარიშსწორება. დადგინოს ხომ არ არის შეცდომები გადასახდების გაანგარიშებაში, ყურადღება უნდა მიაქციოს გადასახადების განაკვეთებისა და ვადების დაცვას.

ბალანსში ნაჩვენები მოგება/ზარალის სისწორის შემოწმებისას საჭიროა დაზუსტდეს შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა, შეფასდეს რეალიზაციის და რეალიზაციის გარეშე საქმიანობის შედეგები. განისაზღვროს მოგების სიდიდის გამოყვანის უტყუარობა, მისი განაწილება და მოგების გადასახადის დარიცხვის სისწორე.

ამდენად, ბალანსის ყველა ცალკეული და თითოეული მუხლის ჩანაწერის სისწორისა და უტყუარობის დასადგენად საჭიროა იგი შეუდარდეს მთავარ დავთრის ჩანაწერებს. აუდიტორული სამუშაოების დამთავრების თაობაზე, ხელშეკრულების პირობების შესრულება ფორმდება აუდიტორული დასკვნის მიღება-ჩაბარების აქტით. აუდიტორულ დასკვნას ადგენენ შესაბამისი ფორმით და დაამოწმებენ. „აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს გარიგების პარტნიორი ან/და აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილი პირი.“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=10.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა ბუღალტრული აღიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაცია. აღნიშნულის აუცილებლობა განმტკიცებულია საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. სწორედ ამრიგად შედგენილი საწარმოს ბუღალტრული ბალანსისა და აუდიტისგან მიღებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ნათელა ვაშაკიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დეზდემონა მაღლაკელიძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დიანა უგლავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ. გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, მეშვიდე შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2017;

2. ნ. ხოჭოლავა, აუდიტი - ეკონომიკის მდგრადი განვითარების სისტემის ელემენტი, ჟ.ეკონომიკა #1 2017წ 134 გვ.;

3. https://saras.gov.ge/Content/files/mmartvelobis-angarishgebis-saxelmzgvanelo.pdf;

4. დ. ჯალაღონია, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, ნაწილი I. თბილისი, 2011;

5. ჭილაძე, ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი), სახელმძღვანელო, მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ. 2018;

6. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=10.

გლობალური გამოწვევების გავლენები მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებაზე

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: ჩინურ ქალაქ უჰანში ფეხადგმულმა ახალი შტამის ვირუსმა ადამიანის ჯანმრთელობასა და მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ გარემოს უმოწყალოდ შეუტია. ამ რეგიონის ფანტასტიკურად განვითარებულმა ტექნიკურმა, ტექნოლოგიურმა, კომუნიკაციურმა თუ ინფრასტრუქტურულმა მიღწევებმაც კი ვერ შეაფერხა მსოფლიოს მასშტაბით „უხილავი მტრის" გავრცელება. **Covid-19**-ის პრევენციის მიზნით შემოღებულმა შემაკავებელმა ღონისძიებებმა (კარანტინი, საგანგებო მდგომარეობა, იზოლაცია და სხვა) გლობალური ეკონომიკის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნა. ფაქტობრივად, გაჩერდა ეროვნული სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს მსხვილი (გამონაკლისის გარდა), მცირე და საშუალო ბიზნესი. გლობალური ეკონომიკა ფაქტობრივად, კრიზისში აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ ადრეა შეფასდეს და სტატისტიკურ მაჩვენებლებში გამოისახოს გამოცხადებული პანდემიის გამო შექმნილი კრიზისის შედეგები, მაგრამ კვალიფიციური გათვლების გარეშეც კი, ადვილი წარმოსადგენია, რომ უმოქმედების პერიოდში საწარმოებს სოლიდური ზარალი წარმოექმნათ და ვალდებულებებიც გაეზარდათ. მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა დიდი უმრავლესობა, დამოუკიდებლად, ფინანსური დახმარების გარეშე, დიდხანს ვერ დაუბრუნდება გაჩერებამდელ ნიშნულს, ხოლო ნაწილი - ვეღარ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.

მდგომარეობის სტაბილიზაციისა და საფრთხეების ნეიტრალიზების მიზნით, სავსებით გონივრულია, რომ ვირუსის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ბრძოლასთან ერთად, დაიწყო კრიზისის შემაკავებელი და ბიზნესის დახმარების ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს ეკონომიკის პოსტკრიზისული პერიოდის პროგრამის შექმნაზე მუშაობა.

ნაშრომის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოების, როგორც ეკონომიკური აღორძინებისა და მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ყველაზე მოქნილი სექტორის, ამოქმედებისთვის საფრთხეების გამოკვეთა და მათი პრევენციისთვის წინადადებების შემუშავება.

მეთოდოლოგია: ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესწავლილია საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები, დარგის სპეციალისტების, ექსპერტებისა და მეცნიერების მოსაზრებები. მათზე დაყრდნობით, საკუთარი პოზიციის წაარმოსაჩენად, გამოყენებულია ურთიერთშედარების, განზოგადების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვების შედეგებსა და დაგროვილი გამოცდილების შეჯერებით, გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო წინადადება, რომელთა გაზიარება წაადგება პოსტკრიზისულ პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოების ამოქმედების და, მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესს.

დასკვნა: ნაშრომზე მუშაობის შედეგებიდან ჩანს, რომ კრიზისშემქმნელი ვითარებიდან დაღწევის საუკეთესო შესაძლებლობებს იძლევა შინა მრეწველობის, საკუთარი სამეწარმეო სფეროს განვითარება, მინის, სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და პრიორიტეტის მიკუთვნება იმპორტჩამნაცვლებელი პროდუქციის გამოშვებისთვის, რაშიც, ყველაზე უკეთ, მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით კი აგრარულ სექტორს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ. პანდემიის პერიოდში, სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები აღმოჩნდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. მათი ამოქმედება და მხარდაჭერის ღონისძიებები პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკის განვითარების პროგრამაში განსაკუთრებული უპირატესობით უნდა იყოს წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო საწარმოები; ბიზნესის დახმარების ანტიკრიზისული ღონისძიებები; პოსტკრიზისული პერიოდის საქართველოს ეკონომიკის ამოქმედების პროგრამა.

IMPACTS OF GLOBAL CHALLENGES ON SME DEVELOPMENT

Natia Kurdgelia
PhD student at Kutaisi University

ABSTRACT

The circumstances created by the corona virus have complicated the situation of small and medium enterprises so much that the vast majority of small and medium enterprises, independently, without financial assistance, will not be able to return to the pre-stop mark for a long time, and some will not be able to continue operating.

In order to stabilize the situation and neutralize the threats, along with the large-scale fight against the virus, crisis prevention and anti-crisis measures have been implemented to help businesses, although they are not comprehensive.

The aim of this paper is to identify the threats for the implementation of small and medium enterprises as the most flexible sector for economic revival and meeting the basic needs of the population and to develop proposals for their prevention.

The paper presents interesting proposals, the sharing of which will help the process of launching small and medium enterprises in the post-crisis period and the recovery of the Georgian economy.

Keywords: small and medium enterprises; Anti-crisis business assistance measures; Post-Crisis Georgian Economy Activation Program.

გასული წლის დეკემბრის მიწურულს ჩინურ ქალაქ უჰანში ფეხადგმულმა ახალი შტამის ვირუსმა ადამიანის ჯანმრთელობასა და მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ გარემოს უმოწყალოდ შეუტია. ამ რეგიონის ფანტასტიკურად განვითარებულმა ტექნიკურმა, ტექნოლოგიურმა, კომუნიკაციურმა თუ ინფრასტრუქტურულმა მიღწევებმაც კი ვერ შეაფერხა მსოფლიოს მასშტაბით „უხილავი მტრის" გავრცელება. არაეკონომიკური (უფრო ბიოლოგიური) წარმომავლობის Covid-19-ის პრევენციის მიზნით, შემოღებულმა შემაკავებელმა ღონისძიებებმა (კარანტინი, საგანგებო მდგომარეობა, იზოლაცია და სხვა), ჯანმრთელობაზე არანაკლები საფრთხე ეკონომიკის სტაბილურობას შეუქმნა. პრობლემები განსაკუთრებით გამწვავდა იმ ქვეყნებში, რომლებსაც ძლიერი ადგილობრივი სამეწარმეო სექტორი არ გააჩნიათ და ძირითადად იმპორტირებულ საქონელზე არიან დამოკიდებულნი. ეკონომიკის მდგრადობის სიმყიფის გამო, მაჩვენებლების დაღმასვლის დინამიკაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოც აღმოჩნდა. ფაქტობრივად, გაჩერდა მსხვილი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), მცირე და საშუალო ბიზნესი მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ტურიზმის, სარესტორნო, სასტუმრო და მომსახურების სხვა, აგრეთვე აგროპროდუქციის წარმოების სფეროებში. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, კრიზისამდელი დონის აღდგენას ორი წელი მაინც დასჭირდება.

მდგომარეობა იმთავითვე დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ ადამიანების სიცოცხლეს დამუქრებულ ჯერ არნახულ გლობალურ გამოწვევას შეზღუდული ფინანსური და მატერიალური რესურსები დახვდა, თუმცა უბედურების სათავე მარტო დაუნდობელი, საფრთხობელა ვირუსის მიერ „საგულდაგულოდ დაცული" სახელმწიფო საზღვრების „გარღვევა" და გავრცელება როდია. ეპიდემიამ, მის წინააღმდეგ საერთო უძლურობის გარდა, ბაზრის „უჩინარი ხელის" მარეგულირებელ უნარზე მინდობილი ერთპოლუსიანი მართველობის, სახელმწიფო სტრუქტურების გაუმართავი მუშაობის ათასი სხვა სუსტად შეკრული არასაიმედო კვანძები გამოავლინა. მიზეზთა შორის, წარუმატებლობის დიდი წილი წარსულში ეკოსისტემის მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ, პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა და ეკონომიკის განვითარებაში დაშვებულმა გლობალურმა შეცდომებმა განაპირობა.

ეკონომიკური ჩავარდნა და სხვა უარყოფითი გვერდითი მოვლენები სახეზეა არამხოლოდ სუსტი ეკონომიკის, არამედ ზეგანვითარებული ინდუსტრიისა და შესაძლებლობების ქვეყნებშიც.

ჯერ კიდევ ადრეა შეფასდეს და სტატისტიკურ მაჩვენებლებში გამოისახოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიის გამო შექმნილი საერთო კრიზისის შედეგები, მაგრამ კვალიფიციური გათვლების გარეშეც კი, ადვილი წარმოსადგენია, რომ უმოქმედების პერიოდში საწარმოებს სოლიდური ზარალი წარმოექმნათ და უფრო მეტი ვალდებულებებიც დაუგროვდათ. მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა დიდი უმრავლესობა, დამოუკიდებლად, ფინანსური დახმარების გარეშე, დიდხანს ვერ დაუბრუნდება გაჩერებამდელ ნიშნულს, ხოლო ნაწილი - უკვე ვერც შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა, მისი კეთილმყოფელი ნიშან-თვისებები და განვითარების გარდაუვალობა, აგრეთვე ეკონომიკური რყევებისადმი მისი მედეგი შესაძლებლობები ისედაც ცნობილია და აქ ამ საკითხებზე მსჯელობის გაგრძელება, შესაძლოა, სათქმელის გასაუხვებლად ჩაითვალოს. განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პოზიტიური გავლენის გამო, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება მოიაზრება, ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესის ამ სეგმენტის აღდგენის ღონისძიებებზე საყურადღებო მოსაზრებები ჩამოყალიბდეს და პოსტკრიზისული პერიოდისთვის სამოქმედოდ დაისახოს.

არსებული სირთულის მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობა, უპრეცედენტო ვითარებაში, არნახული გამოწვევის წინაშე პირისპირ დადგა და ორგანიზებულად მოქმედებდა. შთამბეჭდავია პანდემიის დაძლევაში შეტანილი მისი წვლილი;

შექმნილი მდგომარეობიდან ნაკლები დანაკარგებით დაღწევის ანტიკრიზისული ძალისხმევა და პოსტკრიზისულ პერსპექტივაში ეკონომიკის აღორძინების მიზანდასახულობა.

არსებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უთუოდ დიდია რეალური სექტორისა და ყველაზე მეტად დაზარალებული სფეროების სწრაფი აღდგენისთვის მთავრობის მიერ გაცხადებული განზრახულებები.

ანტიკრიზისული გეგმის ცალკეული ღონისძიება, ცხადია, იმავდროულად არ იძლევა ნაყოფს და მისი ეფექტიანობა მოგვიანებით გამოჩნდება. მაგრამ ზოგიერი მათგანი, გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლოა, აქედანვე შეფასდეს და მოსალოდნელი შედეგიც განიჭვრიტოს. სავსებით ლოგიკურ და მარტივად წარმოსახვად, მრავლისმომცველ დარიგებად ჩაითვლება თუ ვიტყვით, რომ წარმატებები მიღწევადია იმ შემთხვევაში, როცა გამოწვევებზე დროულად, ადექვატურად მოხდება სისტემური რეაგირება. როდესაც შემოქმედებითი, მაღალინტელექტუალური ინოვაციური ტექნოლოგიები ჩაანაცვლებენ კრიზისამდე პერიოდის წარმოების საშუალებებს, კვალიფიციური კადრები შეცვლიან უკვე არაეფექტიან მმართველობით და ქანცგაცლილ ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მაღალი მოტივაციის, სტიმულირებისა და წახალისების ფორმები დაიჭერენ დრომოჭმული, მხოლოდ ენთუზიაზმზე და არაღირსეულ საწყისებზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემის ადგილს. კრიზისიდან გაღწევის ამ ლაკონურად ჩამოყალიბებულ თეზაში არის ანგარიშგასაწევი საორიენტაციო აზრი, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ შორია. ჩვენ უფრო კონკრეტული, შესაძლებელი და შესასრულებელი გადაწყვეტილებებით უნდა დავცილდეთ ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ, შემდგომ კი კორონავირუსის შემოტევით კიდევ უფრო დაზარალებულ წარმოებას.

პანდემიამ გამოკვეთა საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ისეთი მიმართულებები, რომლის არგათვალისწინება, - წარსულში დაბრუნება დაუშვებელია. შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ ნათლად დაგვანახა უკვე შორსწასული მეტასტაზები, რომლითაც ვცხოვრობდით და გვაახლოებდა უკიდურესად უარესს. აწუკვე მწარე გამოცდილების საფუძველზე, კრიზისი უნდა გახდეს შესაძლებლობების მობილიზაციის, უძრაობის რკალიდან გარღვევისთვის გონივრული გადაწყვეტილებებისა და წერტილოვანი დარტყმების სასტარტო მოედანი, მწყობრი, გათვლილი და მიზანმიმართული ნაბიჯებით, რაც შეიძლება ჩქარა დაიწყოს გაჩერებული სამეწარმეო სუბიექტების ამუშავება ეკონომიკაში განხორციელდეს საფუძვლიანი გარდაქმნები, რადიკალურად შეიცვალოს ქვეყნის იმპორტდამოკიდებულება, განვითარდეს რეალური სექტორი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა), მომსახურების სფეროს იმიჯიდან ქვეყანა მატერიალური მწარმოებლური პოტენციალის გაძლიერებაზე გადაეწყოს და ახერხებდეს მოსახლეობის პირველადი შიდა მოთხოვნების (აგრო და სამრეწველო პროდუქციაზე) სრულად დაკმაყოფილებას, რისთვისაც „დღეს საქართველოს სამი სტრატეგიული რესურსი აქვს: **მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები; გეოეკონომიკური უპირატესობა; ინტელექტუალური პოტენციალი.** ამ რესურსების კომპლექსურად გამოყენების გარეშე, წინსვლა წარმოუდგენელია“[1].

მთავრობის ანტიკრიზისული სოციალ-ეკონომიკური გეგმა, უმთავრესად, პანდემიის გამო, მკვეთრად უარყოფითი შედეგების განეიტრალებისკენაა მიმართული. მას მხოლოდ მოსახლეობისთვის ზრუნვის, სოციალური დახმარებების გაწევის, ბიზნესის ხელშეწყობისა და შეზღუდვების თანდათანობით მოხსნის დანიშნულება გააჩნია. სახელმწიფომ სრულად აიღო თავისთავზე **Covid-19**-ით დაინფიცირებულთა მკურნალობა, მოქალაქეებისთვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების, ეპიდემიის გავრცელების საწინააღმდეგო შეზღუდვების (საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, კარანტინი, იზოლაცია) და სხვა ანტივირუსული ღონისძიებების მთლიანი დანახარჯები, დაზარალებულთა კომპენსაციები, საგადასახადო შეღავათები და სხვა. დასახული და უკვე განხორციელებულ ღონისძიებათა დადებითი შედეგების უკან დგას უზარმაზარი ენერგია, გაღებული მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომლის არდანახვა, რბილად რომ ვთქვათ, უმადურობაა, თუმცა შედეგები მხოლოდ მადლიერების ან უმადურობის გამოხატვით როდი იზომება, მთავარი კრიტერიუმი მაინც ციფრებით გამოსახული მისი ეფექტიანობაა. ეს უკანასკნელი კი ასე აშკარად ჯერ არ ჩანს. პოსტკრიზისული პერიოდისათვის გამიზნული ცალკეული ღონისძიება ბოლომდე გააზრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ასეთთა შორის ერთ-ერთია ძირითადი ორიენტირების განსაზღვრა.

როგორც გაცხადდა, პოსტპანდემიური პერსპექტივისთვის, ანტიკრიზისული ღონისძიებებისა და შეზღუდვების მოხსნის უპირველეს პრიორიტეტებში მოექცა საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტებისათვის ქვეყნის გახსნა, ტურიზმის ამოქმედება. ამ გადაწყვეტილების ნაწილია ტურისტული კომპანიებისა და ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ობიექტების (სასტუმროების, რესტორნების) დახმარებების გაწევა. სახელმწიფოს ტურიზმის სფეროს კრიზიდან დახსნის (გადასახადებიდან განთავისუფლებისა და სუბსიდირების) მიზნებისთვის გათვალისწინებული აქვს 200 მილიონლარიანი პაკეტი, რაც ყველა ნიშნის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, პოსტკრიზისული პერიოდის ღონისძიებებისთვის დაზუსტდება და კიდევ უფრო გაიზრდება.

ბოლო წლებში, ვიზიტორთა რაოდენობისა და მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპები, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკა ცალსახად ცხადყოფს, რომ მის მთავარ მამოძრავებელ ძალად ტურიზმი იძენს უპირატესობას. საქართველო, როგორც უაღრესად მიმზიდველი, მრავალფერადი, ეგზოტიკური, განუმეორებელი წარსულის, ისტორიის, კულტურის, ლანდშაფტის მქონე ქვეყანა, საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებში ძალზე ცნობილი და ყველაზე ხელმისაწვდომი გახდა. მიმზიდველობის წარმოჩენის მხრივ, ჯერ გაუხსნელი და აუთვისებელი უზარმაზარი რესურსი არსებობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ტურიზმი, მართლაც, ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია.

ტურიზმის მთელი ინდუსტრია, ფაქტობრივად, კერძო სექტორის მცირე და საშუალო საწარმოების ხელშია. პანდემიამ ყველაზე მეტად სწორედ ამ დარგს დაარტყა,

თუმცა მისი აღდგენა შედარებით ადვილად და ყველაზე მოკლე დროშია შესაძლებელი.

კრიზისამდელი პერიოდის ნიშნულამდე და ვიზიტორთა რაოდენობის შემდგომი მკვეთრი გაზრდის მთავარი წინაპირობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კორონავირუსი (აგრეთვე ყველა ეპიდემიური ბაცილა) მართვადი გახდეს და საქართველო პანდემიისგან უსაფრთხო, ე.წ. „მწვანე ზონად" გადაიქცეს. მედიცინის დარგის სპეციალისტთა გმირული თავგანწირვა და მიღწეული წარმატებები ამის გარანტიას იძლევა. მაგრამ, ცხადია, ტურიზმის აღორძინებისთვის ეს არ არის საკმარისი და ერთადერთი პირობა.

ტურისტული ინდუსტრია ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების (ტრანსპორტის, გზების, კომუნიკაციის სხვა საშუალებების, სასტუმრო კომპლექსების, სარესტორნო-გასართობი და კვების, მომსახურების ობიექტების, აგრარული სექტორის) ჰარმონიული თანამშრომლობის, მაღალი ეტიკეტის, დაცულობის გარანტიების და უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სამსახურების ერთობლიობაა. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ამ ინდუსტრიის თითოეული შემადგენელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა გაუმჯობესდეს და თანაბარი პრიორიტეტით უნდა ვითარდებოდეს. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, **ტურიზმის ინდუსტრია სამამულო წარმოების პროდუქციას და რესურსებს უნდა იყენებდეს.** როცა უპირატესობა მხოლოდ ტურისტებისთვის დროებით მიხურული კარების გახსნას ენიჭება და მისი დამხვედრი ინდუსტრია ჯერ კიდევ მიყუჩებული იქნება, ეს ახალ საფრთხეს შექმნის, ამასთან, ქვეყნის იმიჯიც, ბაზის მოუმზადებლობის გამო, პირველსავე ნაკადის დასრულებისთანავე, შეილახება. არის არსებითად უფრო საყურადღებო გარემოებაც:

• პანდემია მარტო საქართველოს არ შეეხო, მეზობელი ქვეყნებიც და მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიებიც არანაკლებად დაზარალდნენ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საგანგებო ვითარების გამო, სახლებში გამოკეტილი და პანდემიით დაზარალებული მოსახლეობა, მიმოსვლის შეზღუდვის მოხსნისთანავე, სამოგზაუროდ გაეშუროს. შესაბამისად, არ არსებობს მყარი გარანტია იმისა, რომ საქართველოს ტურისტების ნაკადი ერთბაშად მოაწყდება, ხოლო შემოსული ტურისტების გადახდისუნარიანი მოთხოვნილება წინა, კრიზისამდელ პერიოდთან აშკარად შემცირებული იქნება. ყოველივე ამის გამო, არაა იმის მაღალი ალბათობა, რომ ტურიზმი შეუფერხებლად და წარმატებით იმუშავებს;

• პანდემიის შედეგად დაზარალებული ტურიზმის ინდუსტრიის, მათ შორის აგროსექტორის მცირე და საშუალო საწარმოები, ფერმერული მეურნეობები ასამოქმედებელია. ამ დარგის ოპერატორებს შორის შეჩერებული ურთიერთობები, მარშრუტები, უსაფრთხოების ნდობა და გარანტიები აღსადგენია. ქონების და სხვა გადასახადებისგან განთავისუფლება ან მათზე გასაცემი/გაცემული სესხების პროცენტის სუბსიდირება ტურისტული სეზონის დასახვედრად მზადების პროცესისთვის არასაკმარისია. ამ პროცესს დამატებითი რესურსები და დრო სჭირდება;

• ავია და სხვა გადამყვანი სატრანსპორტო კომპანიები, გლობალური გამოწვევის გამო, ყველაზე მეტად დაზარალდნენ. ტურიზმი, ამ კომპანიების გარეშე, ვერ აღდგება. სოციალური დისტანცირების აუცილებლობა ჯერ კიდევ დიდხანს შენარჩუნდება. დისტანცირების, დეზინფექციისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის ახალი წესრიგი უთუოდ აისახება ტრანსპორტისა და ტურისტული ობიექტების მომსახურების ღირებულებაზე და სავარაუდოდ, გაძვირდება. აღნიშნული, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებს დასვენებისა და ეგზოტიკის მოყვარულთა სამოგზაურო ბიუჯეტზე, რაც ასევე შეაფერხებს ტურიზმის გააქტიურებას;

• საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა. მას აგროსასურსათო პროდუქციის ძირითად ჩამონათვალსა და სხვა სამრეწველო საქონლის ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდო გააჩნია, გასაკვირია, მაგრამ აგრომიმართულების პროდუქციის წარმოების წარმატებული ტრადიციების ქვეყანაში - „საქართველოში მოხმარებული ფრინველის ხორცის მხოლოდ 30 პროცენტია ადგილობრივი წარმოების, დანარჩენი - 70 პროცენტი - იმპორტირებულია [2]. ასეა პროდუქციის სხვა საახეებშიც. „ჩვენს სამომხმარებლო კალათაში, რომელსაც ტურისტს ვახვედრებთ, 80% იმპორტირებული საქონელია ანუ იმისთვის, რომ ყოველმა ჩამოსულმა ტურისტმა 100 დოლარი დახარჯოს საქართველოში, ამ 100 დოლარიდან 80 დოლარი იმპორტი უნდა განვახორციელოთ, ანუ ისევ უნდა ვამუშაოთ თურქეთის ეკონომიკა [3]. ცნობილი მეცნიერის ამ ღია მინიშნებაში აშკარაა, რომ

თუ ტურიზმი გაიხსნება და მეტი ვიზიტორი გვეყოლება, ისინი თავიანთი გართობისთვის მაქსიმალურ კომფორტის მისაღებად იმპორტით შექმნილ პროდუქციაზე ფულს დახარჯავენ, ამით სხვა ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერებაზე იზრუნებენ, საქართველოს კი აქედან მხოლოდ უმნიშვნელო სარგებელი შერჩება.

საკამათო არაა, რომ ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკას წაადგება, მაგრამ მასზე გადაჭარბებული წარმოდგენის შექმნა და განსაკუთრებული პრიორიტეტის მინიჭება საუკეთესო გადაწყვეტილებად არ აღიქმება. იმპორტჩამნაცვლებელი, კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საწარმოების განვითარების გარდაუვალობა პანდემიის გამოცდილებამ უკვე დაადასტურა.

ვფიქრობ, სავსებით სწორია და ანგარიშგასაწევია მოსაზრება, რომ „ტურიზმი პერსპექტიული დარგია. მაგრამ მისი გაფეტიშება სწორი არ არის. მას თავისი ადგილი აქვს. იგი ეკონომიკაში დამბალანსებელი დარგის ფუნქციას ასრულებს“ [4].

ყველა ნიშნის და წარმოქმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ექსპერტები თანხმდებიან ერთიან მოსაზრებაზე, რომ უპირატესობა შიდა აგროწარმოების, ფერმერული და საერთოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებას უნდა მიეკუთვნოს.

„დღეს პრიორიტეტად უკვე არა ტურიზმი და ტურისტული ინდუსტრიის განვითარება, არამედ სოფლის მეურნეობა სახელდება“ [5].

„სახელმწიფოებმა თვითუზრუნველყოფის საჭიროება დაინახეს და სხვაზე დამოკიდებულის მდგომარეობა წამგებიანი გახდა. ყველა ქვეყნისთვის, და მათ შორის საქართველოსთვის, პირველი რიგის ამოცანად იქცა ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება“. [6].

მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მევენახეობის, მემცენარეობის, მარცვლეული კულტურის და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა მიმართულების აღორძინებისა და სამრეწველო გადამუშავებისთვის საქართველოს ყველა რესურსი (ბიოკლიმატური პირობები, რელიეფი, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა, აგროპროცედურების გამოცდილება) გააჩნია, შეუძლია საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ბიუჯეტში შემოსავლების მიღება.

ამ მხრივ, ნიდერლანდები „ყველაზე საინტერესო მაგალითია საქართველოსთვის. 2018 წელს სოფლის მეურნეობიდან მიიღო თითქმის 100 მლრდ. ევროს შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიით საქართველოზე უფრო პატარაა, ჰოლანდიას უკავია მეორე ადგილი მსოფლიოში (აშშ-ის შემდეგ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტში“[7].

აგროსექტორის განვითარების მიმართულებით, საქართველოს მთავრობა შთამბეჭდავ განზრახულობებს აცხადებს. პანდემიის გამო შექმნილი კრიზისისგან სოფლის მეურნეობის დაღწევის პროგრამის განსახორციელებლად მთავრობა ბიუჯეტიდან ახერხებს 300 მილიონი ლარის მობილიზებას. თუმცა ამ ანტიკრიზისული გეგმისა და პოსტკრიზისული პერიოდისთვის მზადების მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და სლაიდები არსებობს, ერთიანი სამოქმედო დოკუმენტად კი ჯერ არ გამოქვეყნებულა, ამიტომ საფუძვლიანი ანალიზისა და თუნდაც შესრულების საინფორმაციო-საკონტროლო მიზნებისთვის, საჭიროა მისი დამტკიცებული სახით გამოქვეყნება. პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკის აღორძინებაში მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის ღონისძიებებს განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. ძლიერი ეკონომიკის ქვეყნების პოსტპანდემიური პერიოდისთვის მზადების გამოცდილება მოწმობს, რომ ძირითადი აქცენტები სწორედ ამ მიმართულებითაა გასაკეთებელი. მით უფრო, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რადგანაც ამ სფეროში ისედაც ბევრი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს.

ნათია კურდღელია
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდარ ჭითანავა: „გარღვევის სტრატეგიის კონცეპტუალური წახნაგები - ყველაფერს კორონავირუსს ნუ დავაბრალებთ. ინტერვიუ http://econews.ge/ka/news/1359
2. სოსო არჩვაძე - დღევანდელი ეკონომიკური კრიზისი სერიოზული შანსია ეკონომიკის გადაფორმატებისა და ახალი ეკონომიკური ლანდშაფტის ფორმირებისათვის, ინტერვიუ „ინტერპრესნიუსთან“, https://www.interpressnews.ge/ka/article/598160-soso-archvaze
3. ლადო პაპავა - ვისურვებდი, რომ პირველი ყოფილიყო არა ტურიზმის შესახებ გეგმა, არამედ სოფლის მეურნეობა, შემდეგ ეკონომიკის რეალური სექტორი, ინტერვიუ, https://www.interpressnews.ge/ka/article/
4. ნოდარ ჭითანავა: „გარღვევის სტრატეგიის კონცეპტუალური წახნაგები - ყველაფერს კორონავირუსს ნუ დავაბრალებთ. ინტერვიუ, http://econews.ge/ka/news/1359
5. პაატა კოღუაშვილი: „ჩვენ, უწინარესად, ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ იმაზე, რომ შიმშილი არ დაიწყოს“, ინტერვიუ გათეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“, 14.05.2020, http://geworld.ge/ge/;
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II -ის სააღდგომო ეპისტოლე, 18 აპრილი, 2020 წ., https://www.interpressnews.ge/ka/article/595830-patriarkis-saagdgomo-epistole/
7. „ჰოლანდია - ყველაზე საინტერესო მაგალითი საქართველოსთვის“. https://www.facebook.com/avoeeee/posts/2628561310702031
8. mof.ge;
9. iverioni.com.ge.

ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** უკვე გასული წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში **- Google Scholar.**

ჟურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და გააგრძელებს ამ ტრადიციას.

ჟურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომებდაციები.

ჟურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და გაწვდით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით.** მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალით** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **20 გვერდს.** მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული - შრიფტით **Sylfaen**, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - **Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;.

- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3,გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებუილი წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამონაკლისის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია. **ერთი გვერდის საფასურია 5 (ხუთი) ლარი.** ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია ჟურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის ჟურნალის არანაკლებ 4 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: **b-k.ge.**

ჟურნალის რედაქცია